


# მეტი წვეთები

მისტერია  
მონყალეზა  
მესიოლოგია



ჯორჯ ვერვერი

**„ხანდახან ცხოვრება ძალიან მოუწესრიგებელი მეჩვენება და ალბათ ამიტომ ვასწავლი „მესიოლოგიას“, რომ ღმერთი თავისი წყალობითა და იდუმალებით ხშირად დიდებულ საქმეებს აკეთებს ამ არეულობის შუაგულში.“**

ამ თანამედროვე ბიოგრაფიულ წიგნში ჯორჯ ვერვერი, მისთვის ჩვეული გულწრფელობით და განახლებული რეალიზმით, გველაპარაკება საკუთარ მარცხებზე და გვიჩვენებს, როგორ მუშაობს ღმერთი მოუწესრიგებელ სიტუაციებში.

ეს კაცი, რომელსაც დიდი რწმენა აქვს, გვეუბნება: მიუხედავად იმისა, რომ ყოველივეს, რასაც შევვხებით საკუთარი სუსტი მხარე და ნაკლი გააჩნია, ღმერთი მაინც მოქმედებს ჩვენი ჩავარდნებისა და ადამიანური ბუნების მეშვეობით. ჯორჯისათვის იდუმალების იდუმალება არის ის, თუ როგორ ქმნის ღმერთი არაჩვეულებრივსა და მშვენიერს ამ არეულობის შუაგულში.

წაიკითხეთ ჯორჯ ვერვერის *მეტი წვეთები: მისტერია, მოწყალება და მესიოლოგია* და დატკბით ჩვენი დიდებული ღმერთის საქმეებით და ნახეთ, როგორ შეიძლება მის საქმეებში ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა.

**„ეს არის კლასიკური ჯორჯი! და წიგნის შინაარსი ონკანიდან ჩამონადენი წვეთებით კი არ ივსება, არამედ ამ გულწრფელი კაცის გულიდან გამომავალი ძვირფასი მარგალიტებით.“**

**დოქ. ტონი სარგენტი**

(საერთაშორისო ქრისტიანული კოლეჯის გადამდგარი დირექტორი).

**ჯორჯ ვერვერმა** დაარსა ორგანიზაცია ოპერატიული მობილიზაცია (OM). თითქმის 60 წლის წინ და 46 წლის განმავლობაში მისი აღმასრულებელი დირექტორი გახლდათ. მეუღლე-დრენასთან ერთად, ჯორჯი კვლავ აგრძელებს შეუსვენებელ მსახურებას და ამჟამად განსაკუთრებული პროექტების დირექტორი გახლავთ.

# მეტი წვეთები

მისტერია  
მონყალეზა  
მესიოლოგია

ჯორჯ ვერვერი



„მიყვარს ჯორჯ ვერვერიც და ეს წიგნიც! ცოტა ვინმე თუა ეკლესიის ცხოვრებაში ისე გამომწვევად მქადაგებელი, როგორც ჯორჯი, ვინც ათეულობით წლების განმავლობაში მსოფლიოში მოგზაურობდა და დაუღალავად სტუმრობდა უმცირეს, მივიწყებულ და დაკარგულ ადამიანებს. ამ გზაზე, ღვთის დახმარებით, მნიშვნელოვანი მოძრაობა დაარსა, რომლის მეშვეობითაც ადამიანები ყოველდღიურად ათასობით მოყვასს უზიარებდნენ სახარებას.“

- **ენდი ჰაუთორნი, ბრიტანელი ევანგელისტი, ნდობის სიტყვის ავტორი და დამფუძნებელი.**

„ვერვერი ორმოცდაათ წელზე მეტია, მადლზე ორიენტირებული შემრიგებელი, ცოდვილების მეგობარი და პრაქტიკული სიბრძნის შუქურაა. ეს წიგნიც ასეთია – არა ტრილერი, არა რელიგიური, არამედ ბიბლიური მაგალითებით გაჯერებული სამაგიდო წიგნი, რომელიც დაეხმარება მკითხველს, შენიშნოს და თავიდან აირიდოს ის საფრთხეები, რომლებიც მას ცხოვრებაში ემუქრება.“

- **ლოქტორი გრეგ ლივინგსტონი (ფრონტიერების დამფუძნებელი).**

„ეს არის ნამდვილი ვერვერი! ამ წიგნში ერთ ერთი საუკეთესო თანამედროვე მქადაგებელი ყურადღებას ამახვილებს უბრალოებასა და მოწოდებაზე, რაც მისი სიტყვიერი ქადაგების გვირგვინია, როცა საქმე ქრისტიანული ეკლესიისათვის მნიშვნელოვან პრობლემას ეხება. ეს პატარა, ადვილად წასაკითხი წიგნი კლასიკაა პრაქტიკულ თეოლოგიასა და დამოწაფებაზე. და წიგნის შინაარსი ონკანიდან ჩამონადენი წვეთებით კი არ ივსება, არამედ ამ გულწრფელი კაცის გულიდან გამომავალი ძვირფასი მარგალიტებით. ჩემი მიზანია, რომ ეს წიგნი თეოლოგიის შემსწავლელი ყოველი სტუდენტის ხელში მოხვდეს.“

- **საპატრიოლო დოქტორი ტონი სარგენტი (საერთაშორისო ქრისტიანული კოლეჯის გადამღვარი დეკანი).**

„ჯორჯთან ფილმის გადაღების, მოგზაურობისა და მუშაობისას ჭეშმარიტი კურთხევა მივიღე. „ცოცხალი წყლის წვეთებისაგან,“ რომელთაც იგი ყოველდღიურად გვიზიარებს, არა მხოლოდ საუბრების მეშვეობით, არამედ იმ გზითაც, რომლითაც იგი თავის ცხოვრებას წარმართავს. ამის პრივილეგია მქონდა, მაგრამ მკითხველიც მიიღებს კურთხევას, შთაგონებას, გამხნევდება და ჯორჯის გატაცებასაც ჩასწვდება, რათა ქვეყნიერებამ იცოდეს და გახდეს იესოს მსგავსი.“

- **მალკომ ტერნერი (ქრისტიანული ტელევიზიის ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი).**

„ეს არის ჯორჯ ვერვერის შრომების მწვერვალი! წიგნში ყოველი თავი დამოუკიდებელია და ყოველთავე შიდადმოაჩენთ ჭეშმარიტების შეუდარებელ ზოდებს. ვფიქრობ, სიტყვა „მესიოლოგია“ ძალიან შემოგა ყოველდღიური საუბრის ლექსიკაში.“

- **პიტერ მეიდენი (კეზიკის ქრისტიანული საერთაშორისო კრების ყოფილი დირექტორი, OM-ის ყოფილი საერთაშორისო დირექტორი).**

„ეს არის აუცილებლად წასაკითხი შთამაგონებებელი წიგნი! მისი სიძალდე, სიღრმე და სიგანე მკითხველს აძლევს სარკეს, რომლის მეშვეობითაც ჩვენი სულიერი სვლა შეგვიძლია შევამოწმოთ. ჩვენთვის ჯორჯის დამოწმება არის გამოწვევა, თუ როგორ გავლენას ახდენს, ღმერთი წერილის მეშვეობით, როგორ გვაძლიერებს და მოგვიწოდებს. დარწმუნებული ვარ, რომ იგი ჩვენი სულიერი მოგზაურობის ყოველ ასპექტს შეეხება.“

- **რობინ რაკი (ყოფილი პოლიციის უფროსი და ავტორი წიგნისა მამაო გვაპატიე: დავიწყებული სიტყვა მ-ის ავტორი).**

„ძალიან ვისიამოვნე მოკლე, გამამხნევებელი თავებით. ამ წიგნში არის იუმორი და გულითადი ტირილი რეალობაზე, თავმდაბლობასა და ბალანსზე.“

- **მაიკლ ვილტშეარი (ფაინანშელ თაიმის ყოფილი ჟურნალისტი).**



eBooks for download  
[east.om.org/ebooks](http://east.om.org/ebooks)



Originally published in English under the title  
*More Drops* by George Verwer  
Copyright © 2015 George Verwer  
English edition published by CWR, Waverley Abbey House, Waverley Lane,  
Farnham, Surrey, GU9 8EP, UK.

© 2018 by OM EAST from the Georgian edition.  
Translated by permission. All rights reserved.

მთარგმნელი: ლალი ჰანშერი  
რედაქტორი: ლუხუმ მაისურაძე  
სტილისტი ელგუჯა გიუნაშვილი  
Design and Layout: OM EAST

ადგილები მოყვანილია წმინდა ბიბლიიდან, ნიუ ინტერნეიშენელ ვერსიიდან (NIV) საავტორო უფლება გაცემულია 1979,1984,2011 წლებში ყოფილი საერთაშორისო ბიბლიური საზოგადოების მიერ.

eBooks for download: [east.om.org/ebooks](http://east.om.org/ebooks)

# მიძღვნა

ეს წიგნი ეძღვნება ყველა ადამიანს ვისაც კი შეეხვედრივარ ოემის (OM) მეშვეობით, თუ სხვაგვარად, ვისთვისაც ადამიანური ენით რომ ვთქვათ, ცხოვრება ვერ აუწყო. ეს ადამიანები არ არიან არც ა. გეგმაში და არც ბ გეგმაში, ალბათ უფრო მ გეგმაში. როცა მათ ვესაუბრები, ღმერთის დიდ ანბანს ვახსენებ და ვთხოვ, მიიღონ რადიკალური მადლი და ცხოვრება ასე გააგრძელონ.

გამუდმებით მახსენდება 1 იოანე 3.16, რითაც შევიცანით სიყვარული: „რომ მან (იესო ქრისტემ) საკუთარი სიცოცხლე გაწირა ჩვენთვის, და ჩვენც უნდა გავწიროთ სიცოცხლე ძმებისა და დებისათვის.“

# სამადლობელი

მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც დამეხმარა ამ წიგნის რეალობად ქცევაში. განსაკუთრებით მინდა მადლობა მოვუხადო იმ ადამიანებს, რომელთაც მნიშვნელოვანი სულიერი გავლენა მოახდინეს (ხანდახან აუდიო ჩანაწერებითა თუ წიგნებით) ჩემს ცხოვრებაზე. პირველ რიგში, ჩემს სულიერ მამას, ბილი გრეემს, და ჩემს მეორე გავლენიან სულიერ წინამძღოლს, დოქ. ოსვალდ ჯ. სმითს. განსაკუთრებით მსურს, მადლობა მოვუხადო უფალს ჩემი დის ბარბარასათვის, ჩემი მშობლების, ჩემი ცოლის – დრენას და მთელი ჩემი ოჯახისათვის.



# წინასიტყვაობა

*მეტი წვეთები:* მისტიერია, მოწყალება და მესიოლოგია ძალიან მნიშვნელოვანი წიგნია ორი მიზეზის გამო: პირველი მიზეზი ავტორია, მეორე უწყება.

პირველი, ჯორჯ ვერვერი არის ქრისტიანული ორგანიზაცია (OM) ოპერეშენ მობილიზეშენის დამფუძნებელი, რომელიც, ღვთის წყალობით, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამისიონერო ორგანიზაციაა მსოფლიოში. იგი 1950-იანი წლების ბოლოს დაფუძნდა, და OM-ის სახელით არის ცნობილი.

- მას აქვს მყარად გამოსახული ვალდებულება ქრისტიანული წიგნების გამოცემისა და გავრცელების საქმეში; წიგნებისა, რომლებიც დღემდე ფასეულია და გააჩნია საევაგელიზაციო მნიშვნელობა, რომლებიც მრავალ ენაზე ითარგმნება და ვრცელდება მთელს მსოფლიოში. ორგანიზაციამ მტკიცე მხარდაჭერა გამოუცხადა ოპერატიული მსოფლიოს პირველ გამოცემას, მისიონერული აზროვნების შესანიშნავ წყაროს.
- ალბათ ეს ორგანიზაცია იყო პირველი სამისიონერო სააგენტო მსოფლიოში, რომელმაც ყურადღება გაამახვილა და შექმნა მოკლევადიანი სამისიონერო მსახურების შესაძლებლობა (თუმცა ისინი მთელი ცხოვრების სამისიონერო საქმესაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ), რის გამოც, სხვადასხვა ორგანიზაციების, როგორებიც არის: YWAM (ახალგაზრდობა მიზნით); IFES (სტუდენტური მოძრაობა); Frontiers (მესაზღვრეები) ლიდერებმა, დიდი დრო გაატარეს ოქმთან თანამშრომლობაში.
- ჯორჯის ინიციატივით, ოქმმა წამოიწყო გემზე მსახურება ლოგოსი, დულოსი და ლოგოს ჰოუფი, რაც მილიონობით ადამიანთან სახარების მიტანის გზა გახდა.

- როცა მოდაში არ იყო ამის გაკეთება, 1960-იანი წლების შემდეგ ოემმა დაიწყო სახარების მიტანა წერილის მოწინააღმდეგე კულტურებში, როგორცაა: ინდოეთი, თურქეთი, აღმოსავლეთ ევროპა და შუა აღმოსავლეთი – ყველა ეს მსახურება დღეს უხვ ნაყოფს იძკის.
- მრავალ სხვა სამისიონერო ორგანიზაციას ჩაეყარა საფუძველი ოემ-ში გამოზრდილი ადამიანების მიერ, რომელთაგან ყველაზე აღსანიშნავია კეთილი მწყემსის მოძრაობა ინდოეთში მცხოვრებ დალიტებს შორის და პიონერების მოძრაობა, რომელიც ძირითად ყურადღებას ხალხთა ჯგუფებზე და დიდ ქალაქებზე ამახვილებს.

ასეთი შემოქმედებითი და სტრატეგიული გამოგონებებისათვის მრავალი (ჩემი ჩათვლით) ჯორჯ ვერვერს ყველაზე მნიშვნელოვან და გამოცდილ მისიონერად მიიჩნევენ, ჩრდილოეთ ამერიკიდან გამოსულ მისიონერთა შორის ბოლო 60 წლის განმავლობაში. ამიტომ მე თუ მკითხავთ, ყველაფერი, რაც მას დაუწერია, იმსახურებს წაკითხვას.

მეორე, წიგნი მოიცავს უწყებას. ეს წიგნი არის ჯორჯისა და მისი ორგანიზაციის საქმიანობის შეჯამება, დაახლოებით 60 წლის განმავლობაში, როგორებიცაა:

- ბიბლიის საფუძვლების ჭეშმარიტებაში მყარად ფესვგადგმის საჭიროება, და ამავე დროს სხვა მოსაზრებების მქონე ადამიანებისადმი სათნობის გამოვლენა.
- მოწოდება ქრისტეს მსახურებისას საფუძვლიანი დამოწაფებისაკენ, რომელიც მოიცავს წესრიგიან, გულითად და სათნო ცხოვრების წესებს.
- სხვა ქრისტიანების შესახებ საუკეთესო რწმენა, ჭორის უარყოფა, იმის გააზრება, რომ თავიდან უნდა მოცილო და არ უნდა შეინახო გულში სხვებისაგან მოყენებული წყენა და სიმწარე და სულგრძელი უნდა იყო სხვებთან თანამშრომლობისას.

- რწმენა იმისა, რომ თავისი შეუცნობი და პროვიდენციალური სუვერენობით, დმერთს შეუძლია არჩიოს უფრო მეტი კურთხევის მოტანა, თუნდაც ყველაზე არეულ და მოუწესრიგებელ სიტუაციებში (რასაც ჯორჯი „მესიოლოგიას“ უწოდებს).
- სახარების თამამი გაცხადების მნიშვნელოვანი ბალანსი თანადგომის მსახურებასთან ერთად. სახარების ყველა ერში მიტანის დღევანდელი აუცილებლობის დანახვა.
- ეს საკითხი დღემდე რჩება ჯორჯისა და მისი ორგანიზაციის გულისცემად.

ამ საკითხებში დარწმუნება აძლიერებდა ჯორჯის მსახურებაში ათეულობით წლების განმავლობაში – და ღირს მათი მოსმენა. *მეტი წვეთების ბოლო თავში, ჯორჯი ამბობს: „თუ მისტერიის, მოწყალებისა და მესიოლოგიის (და მადლის) უწყება ვერ დაინახა მკითხველმა ამ წიგნში, მაშინ დავმარცხებულვარ.“* ჯორჯი არ დამარცხებულა. და სწორედ ამის გამო მთელი ცხოვრება სწავლებისა და მისიონერთა ხელმძღვანელობის გამო ღირს წიგნის წაკითხვა. თუ გავიაზრებთ და ცხოვრებაში გამოვიყენებთ, ამ წიგნს შეუძლია, რადიკალური ცვლილების მოხდენა და მომავალ თაობაში მრავალი მისიონერის დამოწაფება.

### **ლინდსი ბრაუნი**

(მსოფლიო ევანგელიზაციის ლაუსანის მოძრაობის საერთაშორისო დირექტორი, 2008-დან დღემდე; ევენგელისტი სტუდენტების საერთაშორისო თანამშრომლობის გენერალური მდივანი (IFES), 1991-2007; ყოფილი OM-ელი 1976-1977).

# შესავალი

## მისტერია, მოწყალეობა, მესიოლოგია

რამოდენიმე წელი ვლოცულობდი და ვწუხდი მომდევნო წიგნის დაწერის თაობაზე. საკუთარ თავს ვერ ვხედავ ნიჭით დაჯილდოებულ მწერლად და საკმარის დროსაც ვერ ვპულობ ამისათვის და ესეც ართულებს საქმის წინსვლას.

ჩემი წიგნებისადმი სიყვარული, რაც ახლადმოქცეულობის პერიოდიდან იწყება, ყოველთვის სხვა ადამიანების წიგნები იყო. მთელი ცხოვრება ცნობილი ქრისტიანების, ქალებისა და კაცების, წიგნების ბეჭდვასა და გავრცელებაში გავლიე. ჩემს წიგნებზე როცა ვფიქრობ, მგონია, რომ ერთ-ერთი საუკეთესო რამ, რაც მათ მოიტანეს, არის მკითხველისათვის მათი საშუალებით ბევრი სხვა წიგნის წარდგენა. თუ ჩემი სხვა წიგნებიცა გაქვთ, ხომ არ შეამოწებდით ამ აზრის სიმართლეს? ამ წიგნის დასასრულს მოცემულია ჩემი სხვა წიგნებისა და ჩემს მიერ რეკომენდირებული სხვა ავტორების წიგნების ჩამონათვალი.

ჩემს განცვიფრებას საზღვარი არა აქვს – მილიონზე მეტი ჩემი წიგნი გავრცელდა მსოფლიოში, დაახლოებით ორმოცდაათ ენაზე. ერთ-ერთი პირველი წიგნი, *შიმშილი რეალობისათვის* (კლასიკური ცხოვრების სტილი, 1996 – ორიგინალური სათაური იყო *მოდო! იცოცხლე! მოკვდი!*) 25 000 პირადი წერილი მივიღე. სადაც კი წავალ, ყველგან მეუბნებიან ადამიანები, თუ როგორი დახმარება გაუწიეს მათ ჩემმა წიგნებმა. რაც უდიდესი გამხნევებაა ჩემთვის და ღმერთს ვუძღვნი ამისათვის დიდებას. ჩემს ადრეულ წიგნში – *წვეთები გაფუჭებული ონკანიდან* (კლასიკური მედია, 2011), მხოლოდ ერთი თავი ლაპარაკობს

იმ დიდ ცვლილებებზე, რომელიც მოხდა ჩემსა და ოპერეიშენ მობილიზეიშენის (OM) ცხოვრებაში: სოციალური საკითხები და მოქმედება საზოგადოების საკეთილდღეოდ ჩვენი მსახურების არსებითი ნაწილია. ამ ბოლო წიგნში, *მეტი წვეთები*: მისტერია, მოწყალეობა და მესიოლოგია მინდა, კარგად გავიაზრო ეს და ისიც, რაც წარსულიდან ვისწავლე ამ ყოველივეს კომპლექსურობასა და პრობლემატურობაზე, და რამდენად ადვილია სირთულეებში გახვევა.

არ ვიცი, როგორ ჩამოვაცალიბო, მაგრამ ვგრძნობ, რომ მრავალი ხელმძღვანელი და ქრისტიანი საერთოდ დიდ შეცდომას ჩადის საკუთარ ცხოვრებასა და მსახურებაში. რადგან მე თვითონაც მათ რიცხვს ვეკუთვნი, ვიმედოვნებ, რომ ჩემი გაზიარება დახმარებას გაუწევს ადამიანებს და ისინი ცოდვის ორმოში ჩავარდნას თავს აარიდებენ. დაკვირვებიდან ვისწავლე, რომ ზოგიერთ სირთულეს პირადი და ეკლესიის სხეულისადმი სერიოზული ზიანის მიყენების გარეშე თავს ვერ დააღწევ. პირველ თავში წაიკითხავთ: როცა 18 წლის ვიყავი, მეხანძრის სამსახურში, აღმოსავლეთისაკენ გავეშურე გრანდ კანიონისაკენ, თან საქმეების წიგნს ვკითხულობდი. იმ პერიოდში ჩემი ყველაზე საყვარელი მუხლი იყო:

*„სიცოცხლე არად მიღირს, ოღონდ კი იმ ჩემს სარბიელსა და მსახურებას დავასრულებდე, რომელიც უფალ იესოსგან მივიღე, რათა დავამოწმო ღვთის მადლის სახარება.“ (საქ. 20.24).*

ახლა, როცა ქრისტეში ყოფნის 58 წლის შემდეგ უკან ვიხედები, შემიძლია ვთქვა, რომ ეს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხდებოდა მეტ-ნაკლებად. ჩემი ლოცვა ამ დარჩენილი წლების განმავლობაშიც ეს იქნება, რომ ასე გაგრძელდეს რეალურად. გრძნობთ ამ მუხლის რეალობასა და ვნებას? შევიძლიათ წაიკითხოთ და თქვენი ცხოვრების მიზნად და სწრაფვად

გადააქციოთ? თუ ასეა, ვფიქრობ, რომ ამ წიგნს მრავალგზის სასარგებლოდ დაინახავთ.

როგორც ძველი ონკანის წვეთები, ყოველი თავი აქაც დამოუკიდებელია. ჩემი მეხსიერების გამო, შესაძლოა, სხვა წიგნებში ნახსენები ფაქტების მცირეოდენ განმეორებას ჰქონდეს ადგილი, თუმცა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანის ხელმეორედ წაკითხვა ზიანს არ მოგვიტანს.

გულწრფელი ვიქნები, ჩემი ლოცვაა, რომ მეტმა წვეთებმა ადამიანებში აღძრან ჩემი სხვა წიგნების, რომლებიც ამ წიგნის ბოლოშია ჩამოთვლილი, კითხვის, ან ხელახლა წაკითხვის სურვილი. იმასაც ვლოცულობ, რომ ამ სიტყვის გავრცელებაში სხვები შემოგვიერთდნენ. დიდი სურვილი მაქვს, რამდენადაც შესაძლებელია, მომავალ თაობას გადავცე ის, რაც ღვთისა და მისი ხალხისაგან ვისწავლე. რაღაც კუთხით, ჩემი ნაწერი შესაძლოა „შეუფერებლად“ მიიჩნიოთ, მაგრამ სხვა კუთხით, ძალიან საფუძვლიანია და, არც თუ ისე, რთული გასაგებად, განსაკუთრებით, თუ ადამიანებს აქვთ გრძნობისა და სულიერი გარჩევის უნარი.

ამ წიგნის აკრეფა დავასრულე და ჩაიკოვსკის, მოცარტისა და ბეთჰოვენის დიდებულ კლასიკურ მუსიკას მოვუსმინე. რამოდენიმე დღის წინ, ჩემი მეუღლე, დრენა, წავიყვანე დიდ კონცერტზე, ლონდონის როიალ ალბერტ ჰოლში. ვლოცულობ, რომ ჩემს მიერ ამ წიგნში აღწერილი სულ მცირე რამოდენიმე საკითხი, განსაკუთრებით, მიტევებასა და მადლზე, მუსიკასავით განზიანდეს თქვენს სულში და თქვენი სიცოცხლე, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ, იქცეს უფრო უკეთეს სიმფონიად, ვიდრე ახლა, ამ წუთშია. ვეცდები გავაცოცხლო და დავაბალანსო, დევიდ პლატის *რადიკალური* (რენდომ ჰაუზი, 2010) და ჩარლზ სვინდოლის *გამომღვიძებელი მადლი* (ტომას ნელსონი, 2006) წიგნებში წარმოდგენილი რადიკალური დამოწაფების გამოწვევა. მინდა კიდევ ერთი თხოვნა დავამატო, რომ მსოფლიოს ყველა ხალხებს ჰქონდეთ სახარება და ეკლესია იყოს ყველა

ერში. ვიმედოვნებ, რომ ამ წიგნის მკითხველთაგან ზოგიერთები მაინც შემომიერთდებიან დიდ მისიაში და საქმეში. ყოველ იმეულს პირადად ვპასუხობ, და თქვენც ეცადეთ, მომწეროთ. **george.verver@om.org**.

მისი მადლით  
ჯორჯ ვერვერი

პირველი თავი

# მესიოლოგია

როცა დავწერე წიგნი *კომფორტის ზონიდან* (ბეთანი ჰაუს, 2 000), ჩემი ერთ-ერთი ყველაზე დიდი თემა გახლდათ, დაძინება უფრო მეტი გამომდვილებელი მაღლი, განსაკუთრებით მათში, რომლებიც გლობალურ მისიაში მონაწილეობდნენ. ფაქტობრივად თავი „მაღლის“ შესახებ შერწყმული იყო „წინამძღოლობის“ თავთან, რათა გამოსულიყო ავტონომიური ბუკლეტი, რომლებსაც დავარიგებდით. ამ ბუკლეტს „გამომდვილებელი მაღლის წინამძღოლობა“ დავარქვი. კვლავ და კვლავ გვესმის იმ დაძაბულობის შესახებ, რომელიც არსებობს სახარების გამავრცელებელთა და მრავალ ადგილობრივ ეკლესიებს შორის, და რაც თავის მხრივ მძიმე და კომპლექსურ განხეთქილებებს იწვევს. კი გვსმენია მრავალი გარღვევის შესახებ ურთიერთობებში, მაგრამ თუ გულწრფელნი ვიქნებით, ზოგიერთ შემთხვევაში ამ სფეროში საქმე იმაზე უარესად არის ვიდრე ოდესმე.

დარწმუნებული ვარ, რომ იმან, რაც წარსულში დავწერე „მესიოლოგიის“ თეოლოგიის შესახებ, მარცხი განიცადა და მსურს ხელახლა ვცადო. მესიოლოგია არის ჩემი პირადი ტერმინი, მაგრამ სინამდვილეში ის არის ყველაფერი ღმერთზე და იმაზე, თუ როგორ მოქმედებს ახლა და მოქმედება საუკუნეების წინ. ბიბლია სავსეა სწავლებითა და მოწოდებით, რომ ვიცხოვროთ ღვთისმოსავი და სავსე ცხოვრებით. თუ 1 კორ. 13 თავის მიხედვით ვიცხოვრებთ, იგი სრულიად შეცვლიდა ჩვენსა და ჩვენი



ეკლესიების ცხოვრებას. ამის შესახებ ჩემს ადრეულ წიგნშიც ვისაუბრე, *სიყვარულის რევოლუცია* (კლასიკური მედია, 2008).

*„თუ მე ადამიანთა და ანგელოზთა ენებით ვლაპარაკობ, ხოლო სიყვარული არა მაქვს, მაშინ ჟღარუნა რვალი ვარ ან ჩხარუნა წინწილა. წინასწარმეტყველებაც რომ მქონდეს, ყოველი საიდუმლო და მთელი ცოდნაც რომ ვუწყოდე, სრული რწმენაც რომ მქონდეს, ისეთი, მთების გადაადგილება რომ შეძელოს, ხოლო სიყვარული არ მქონდეს, არარაობა ვიქნებოდი. მთელი ჩემი ქონება რომ დავარიგო და ჩემი სხეული დასაწვავად გავწირო, ხოლო სიყვარული არ მქონდეს, არაფრად ვეპარები“ (1 კორ. 13.1-3).*

ჩვენ ვხედავთ, როგორ მუშაობს ღმერთი ყოველგვარ „Messy situations“ არეულ-დარეულ სიტუაციებში საიდანაც ჩემი ტერმინი „Messiology“ მესიოლოგია მოვიგონე. წლების განმავლობაში ჩემს საკუთარ იგავს ვცეტირებდი, სადაც ორი ან სამია შეკრებილი მისი სახელით, ადრე თუ გვიან, არეულობა წარმოიშვება. თითქმის ყოველთვის იცინოდა მრევლი. შემდეგ ვეკითხებოდი: რამდენ თქვენგანს გამოგიცდიათ ეს, დაუმეტესობა იწევდა ხელს. შემდეგ ავხსნიდი მესიოლოგიის მნიშვნელობას. ეს არის ის, რომ ღმერთი, თავისი მოთმინებით, მოწყალებითა და გრძნობით ცდილობს, ადამიანები თავისთან მიიყვანოს, და ხშირად დიდებულ საქმეებს ამ არეულობაში აკეთებს. რა თქმა უნდა ეს არ არის მიზეზი არეულობის შექმნის, ცოდვის ჩადენისა და მარცხისათვის, ყოველ ქრისტიანს საწინააღმდეგოს კეთება უნდა სურდეს, მაგრამ ეს მონეტის მეორე მხარეა. ეს არის ღვთის მოქმედების გზა. საქმეების დიდი ნაწილი და წერილების უმეტესობა გამოდგება ამის ღმერთისტირებისათვის. გორდონ მაკლონალდის წიგნი, *ხელახლა ააშენე შენი დანგრეული სამყარო* (ტომას ნელსონი, 2004), სხვა დიდებულ წიგნებთან ერთად, დამეხმარა ამის დაჯერებასა და რწმენაში და

დიდი ადგილი დაიკავა ჩემს გულში. დამეხმარა, გამეგო ღმერთი და მისი საქმე, ვიდრე ნებისმიერი სხვა რამ. ხანდახან ამას მე „რადიკალურ მადლს“ ვუწოდებ.

57 წლის მანძილზე, 90 ქვეყანაში, ათასობით ეკლესიაში და სხვა ორგანიზაციებში, ხშირად მინახავს სხვადასხვაგვარი არეულობა. ხანდახან აშკარა ცოდვას აქვს ადგილი, რასაც აუცილებლად სჭირდება მონანიება. სხვა შემთხვევებში ეს არის სულელური, ან თავად გადაწყვიტეთ როგორც აღწერდით ღვთის შვილების ამ უაზრო ქცევას. ბევრჯერ მითქვამს და ვგრძნობ კიდევ, რომ მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად ვართ აღვსილნი სულიწმიდით, ჩვენ მაინც ადამიანები ვართ. ჩვენს ადამიანურობას თავისი სილამაზე აქვს, ისევე როგორც უსიამოვნო მხარე.

მე პატივს ვცემ ჩემს ქრისტიან ხელმძღვანელებს და ვცდილობ, მადლით გაღვიძებული დამოკიდებულება მქონდეს ყველა მათგანის მიმართ, მაგრამ ამ 57 წლის მანძილზე, მინახავს ქრისტიანი წინამძღოლები, მისიონერების ჩათვლით, რომლებიც ძალიან სულელურ და უაზრო რამეებს აკეთებდნენ და ამაზე უფრო სულელურ და უაზრო რამეებს ამბობდნენ. და ხანდახან შეიძლება მეც ვიყო ასეთი. მიუხედავად ამისა, უფრო ახლოს დავკვირვებივარ და მინახავს ამ ყველაფრის შუაგულში მომუშავე ღმერთი. შესაძლოა, არ გსურთ ამის წაკითხვა, მაგრამ მრავალი ადამიანი მინახავს, რომელთაც იყენებს ღმერთი, თუმცა ისინი ამ დროს აშკარად ცოდვაში ცხოვრობენ. გვინახავს ღვთის მსახურებაში მყოფი ხუცესები, დახსნილი ადამიანები, ზრდადი ეკლესია და დამოწაფებული ადამიანები და აღმოგვიჩენია, რომ ისინი რეგულარულად მრუშობდნენ და ერთგულების ფიცს არღვევდნენ. დაქორწინებულ და შვილებიან ადამიანებზე ვამბობ. რა თქმა უნდა, ხშირად, გარკვეული დროის შემდეგ, ისინი ცოდვაზე პასუხს აგებენ, მათ მსახურებიდან დაითხოვენ, ან განქორწინდებიან ან უფრო უარესიც მოხდება. წლების შემდეგ შეხვედები მათ ახალ მეუღლესთან ერთად და ნახავ, რომ ისინი კვლავ მსახურებაში არიან ჩართულნი. მთელი წიგნი რომ მიმეძღვნა ამ საკითხებისთვის ასეულობით

მაგალითის მოყვანას შევძლებდი. როგორ შეგვიძლია ამის ახსნა? მხოლოდ **მესიოლოგიით!**

ამ იდეის რამოდენიმე სხვა მონათესავე და საკვანძო სიტყვა არის „მისტერია“ და „მოწყალეობა“. რომაელთა მე-11 თავის ბოლო მუხლები ყოველთვის მეხმარება: „ო, ღვთის სიმდიდრეთა და სიბრძნისა და ცოდნის სიღრმე!“ (რომ. 11.33).

ყველაზე რთული რამ ზოგთათვის, განსაკუთრებით ხელმძღვანელებისათვის, არის იმ ადამიანების მიღება, რომლებშიც ღმერთი თავისი ძალით მოქმედებს და რომლებზეც ისინი ფიქრობენ, რომ მათ მცდარი თეოლოგია აქვთ. როგორ შეიძლება, ეს მოხდეს? შევხვედრივარ ადამიანებს, რომლებიც გაბრაზებულნი არიან ტელევიზიის წამყვანებზე, ევანგელისტებზე და სხვებზე ამ უნიკალურ კომპლექსურ სამყაროში. უამრავი ადამიანი მეუბნება, რომ არც უსმენენ ამ გადაცემებს. ბევრი სტატიები იწერება გარკვეული ქრისტიანული ტელევიზიის წინააღმდეგ და მეც ვეთანხმები ზოგიერთ მათ ნათქვამს. ამ პროგრამაში ნანახს ხშირად ცრემლი მოუვვრია ჩემთვისაც, განსაკუთრებით სახსრების მოძიების ექსტრემალურ, ეგრეთ წოდებულ, ვაჭრობის ხერხებს. მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ, როცა ზეცაში მიხვალთ და ასი ათასობით ადამიანს შეხვდებით ამ მსახურებებიდან ქრისტესთან მოსულთ! განა უფრო მეტი გვჭირდება ვიდრე მოციქულ პავლეს დამოკიდებულებაა, რომელიც ფილიპელთა წერილის 1.15-18 მუხლებშია აღწერილი?

*„თუძცა ზოგიერთები შურიანობით და ჯიბრით  
ქადაგებენ ქრისტეს, ზოგნი კი კეთილი ზრახვით.  
ესენი სიყვარულით, ვინაიდან იციან, რომ სახარების  
დასაცავად ვართ დაყენებული. ზოგნი კი ჯიბრით  
ქადაგებენ ქრისტეს არაწმიდად, რადგან ფიქრობენ,  
დაამძიმონ ჩემი ბორკილები. მერედა რა? როგორც  
არ უნდა იქადაგონ ქრისტე, რაღაც მიზეზით, თუ  
გულწრფელად. მე ასეც მიხარია და კვლავაც ვავიხარებ.“*

ძალიან რთულია დაიჯერო, რომ ღმერთი იმ მსახურებსა და ადამიანებს იყენებს, რომლებთანაც ჩვენ საქმის დაჭერა არ გვსურს. ღმერთი ისეთ მსახურებებს ეხმარება, რომლებსაც 5 ფუნტსაც კი არ ვაუგზავნიდი. გვსურს ამ საკითხებს ახსნა მოვუძებნოთ და ჩვენს ჩარჩოში ჩავსვათ, მაგრამ ხანდახან აღმოვაჩინოთ, რომ ეს საკითხები ჩარჩოს მიღმა რჩება. პასუხია – მესიოლოგია! სხვა წიგნი დამჭირდებოდა ამ საკითხის დეტალური აღწერისათვის. ორი მწერალი მყავს, რომელთაც ამ საკითხში ჩემი დახმარება სურთ, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ ეს საქმე შედეგს ყველაფერი ძალიან აირეგ-დაირეგა.

შემდეგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გასაღები არის ფინანსების სფერო და იმ მისიონერებისა და პროექტებისათვის თანხების გაგზავნა, სადაც საქმე ძალიან ქაოტურია. საშინელი ამბებით ნებისმიერი სასურველი ვერსიის „დამოწმება“ შეგვიძლია, და ზოგიერთებიც ყვებიან ამ საშინელ ისტორიებს ფინანსების ფლანგვისა და არასწორი გამოყენების შესახებ სამისიონერო ადგილებში და ხალხს საერთოდ ეკარგება დახმარების ინტერესი. არსებობს სიტყვა, როგორიცაა „დამოკიდებული“ და რამოდენიმე ექსტრემალური წიგნი და სტატიაც კი დაწერილა ამ საკითხთან დაკავშირებით. მჯერა, რომ ამას დიდი გაუგებრობა მოსდევს ხოლმე შედეგად. ამავე დროს ისიც მჯერა, რომ ისტორია დაადასტურებს ამ სიკეთეს და პროექტის დახმარებისათვის რისკის გაწევა (როგორიცაა სკოლა) ათასობით მილის დაშორებითაც კი, პოზიტიური ფაქტორია სახარების გავრცელებასა და ეკლესიის დაარსების საქმეში. ვისურვებდი, რომ საკმარისი დრო და ნიჭი მომეცეს ამ საკითხზე წიგნის დასაწერად.

სამწუხარო ფაქტია, რომ ზოგიერთი ადამიანი არ ეხმარება ახალ სკოლას ან სხვა მსგავს პროექტს, თუ ვერ დაინახავენ როგორ შეიძლება საქმემ ძალევე შეძლოს თვითდაფინანსება. ეს ძალიან დიდი შეცდომაა, განსაკუთრებით ინდოეთის შემთხვევაში. მრავალი წელია ინდოეთში დიდი ყურადღება თვითდაფინანსების მქონე სკოლებს ექცევა და სწორედ ამის გამო გვაქვს ხელზე

ჩამოსათვლელი კარგი სკოლები უკიდურესად ღარიბ (უმეტესად დალიტებსა და ტომის ხალხებს შორის) მოსახლეობაში, მაშინც, როცა ათასობით სკოლაა იმ მოსახლეობაში, რომელთაც სწავლის ქირის გადახდა შეუძლიათ (თუმცა არ ვამბობ, რომ ეს არასწორია). ექსტრემალური სიღუბჭირის კომპლექსურ მდგომარეობაში, დიდი თანხის გაღებაა საჭირო ვიდრე სკოლა თვითკმაყოფაზე გადავა. შეიძლება ამას რამოდენიმე ათეული წელი დასჭირდეს, როცა მათ, ვინც ეს სკოლა დაამთავრა სამსახური ექნება, ან ვიდრე რაიმე შეიცვლება. შეუძლია ხალხს წარმოიდგინოს რის წინააღმდეგ ვართ ინდოეთში დაახლოებით 300 მილიონი უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები უმწეო ადამიანების შემთხვევაში? ასეთია განსაკუთრებული სიტუაციები, და ანალოგიური მდგომარეობა ბევრგანაა მთელს მსოფლიოში. ასეთ პირობებში მცხოვრებ ადამიანებს განსაკუთრებული დახმარება ესაჭიროებათ. ამიტომაც თუ მოვშლით და დაგვაფრთხობს ზემოთნახსენები „დამოკიდებულის“ ტაქტიკა, ეს შესაძლოა, ერთ-ერთ უდიდეს დაბრკოლებად იქცეს კარგ საქმეში. რაც იმას არ ნიშნავს ცხადია, რომ არ გამოვიყენოთ გარჩევისა და ძიების მეთოდები ჩვენს მიერ გაღებულ თანხებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია ორგანიზაციაში იყვნენ ფინანსებისა და პროექტების სწორად მართვისათვის შესაფერისი ადამიანები. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება რაღაც არასწორად განვითარდეს და სიტუაცია აირიოს, მაინც მჯერა, რომ ისტორია დაგვანახვებს, რომ ღმერთი იმაზე მეტს აკეთებდა ასეთ მოუწესრიგებელ სიტუაციებში, ვიდრე ეს მაშინ წარმოგვედგინა. ადამიანებმა, ეკლესიებმა, თუ ორგანიზაციებმა, რომლებიც ფიქრობენ, რომ ფული იმ პროექტებზე გაფლანგეს, რომელთა საქმეც კარგად ვერ წავიდა. შეიძლება ზეცაში მისვლისას აღმოაჩინონ, რომ მათმა შეწირულობამ დიდი შედეგები გამოიღო.

ამ ყველაფრთან დაკავშირებით უფრო მეტი სიბრძნე და ზოგადი უნარები გვჭირდება და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რასაც მე „დამანგრეველ იდეალიზმს“

ვუწოდებ. თუ ეს იდეალიზმი შერწყმულია პერფექციონიზმთან, რაც მრავალ ჩვენთაგანს გვახასიათებს, ეს იწვევს დიდ იმედგაცრუებას, დაყოფასა და დაბნეულობას. სწორედ ამიტომ გვაქვს უამრავი წიგნი, რომლებიც მავანთა სწავლებას ან გეგმებს წარმოგვიდგენენ, და რომლებიც სხვა ადამიანების, ეკლესიებისა და ორგანიზაციებისა და მათი საქმიანობის შესახებ არასწორ სურათს გვიხატავენ. ცოტა მეტი სიბრძნე, მოთმინება და თავმდაბლობა უფრო შორს წავგვიყვანდა დიდებული რეალობისა და გამარჯვების საქმეში.

ახლა, მისიონერებსა და ეკლესიის ხელმძღვანელებს შორის არსებული დაპირისპირება იმაზე მეტია, ვიდრე მთელი ჩემი ცხოვრება ვიცოდი. ადამიანების დიდი ჯგუფი არსებობს, რომელთაც სურთ, რომ ბიბლის მიმდევრებად და ევანგელისტებად აღიარონ, და შეუმჩნეველად, მაგრამ მაინც, რწმენის საფუძვლებს უარყოფენ და ამბობენ, რომ არ ხარ დაკარგული ქრისტეს გარეშე; უარყოფენ ქრისტეს მონაცვლე სიკვდილს და სხვა მრავალ ძირითად დოქტრინას, რომელთაც მრავალი სახარებისეული წინამძღოლი და ორგანიზაცია აღიარებდა ასობით წლის განმავლობაში.

დავინახე, რომ მრავალი წიგნია კრიტიკულად განწყობილი ეკლესიებისა და თანამედროვე გლობალური ევანგელისტური მოძრაობების წინააღმდეგ, რაშიც ასობით მილიონი ადამიანი იღებს მონაწილეობას თითქმის მსოფლიოს ყველა ერიდან. თითქოს ისინი ამბობენ, რომ ჰადსონ ტეილორი, ჯონ სტოტი, ბილი გრეემი, ჯონ კალვინი, ვოტჩმენ ნიი, ბაკთ სინგი, უილიამ ქერი, დოქტორი ფრენსის შეიფერი, ჩარლზ სპერჯენი, მუდი, ფესტო კივენგერი, უილიამ ბუთი, ჯონ ვესლი, ემი კარლმაიკლი, აგვუსტინე, ჰიბონის ეპისკოპოსი და ასობით სხვა, რომლებიც იბრძოდნენ, რომ ჩამოყალიბებულიყო ის საფუძვლები, რომლებზედაც დღეს ვდგავართ, რომ თურმე ეს ყველაფერი მცდარი ყოფილა. შეიძლება ისინი სიტყვიერად ზუსტად ასე არ ამბობენ, მაგრამ, ჩემთვის, მათ ნაწერებში ეს იგულისხმება. მათი წიგნები პოპულარულია და შეიძლება ბევრ კარგ რამესაც

ამბობენ, მაგრამ, ჩემის აზრით, კიდევ და კიდევ, ჭეშმარიტების გზიდან ცდომილებისაკენ გადადიან და მკითხველს ეჭვებსა და ქაოსში ტოვებენ, რამაც ქრისტეს სხეულში უთანხმოება და ეკლესიებში დიდი დაყოფები გამოიწვია. ხშირად, ბუნებრივი შედეგი მათივე ეკლესიის ან დენომინაციის კრიტიკაა. რის შედეგადაც მრავალი ტოვებს ეკლესიას და ახალ ეკლესიას აფუძნებს, და ეს ხდება არა ბიბლიური ჭეშმარიტების გამო, არამედ მხოლოდ საპასუხო მოქმედების გამო. ჩემთვის, ამას მესიოლოგიის უფრო მაღალი მწვერვალისაკენ მიყვავართ ვიდრე ოდესმე. დარწმუნებული ვარ, რომ ამ შემთხვევაში უფრო მეტი სიბრძნე, სიყვარული და გარჩევის უნარი გვჭირდება ვიდრე ოდესმე. რეალურად მეტი ძალისხმევა გვჭირდება, მეტი შემართებისა და „იესოზე თვალის მიპყრობა“ სირთულეებისა და გამოწვევების შუაგულში.

# ცეცხლმაქრები, წიგნები და იგავები

მეორე თავის წერისას, ჩვენი ქალიშვილის, ქრისტას, დაბადების დღეა და მსურს მას მივუძღვნა ეს თავი. იმ დროის ერთ-ერთი ჩემი მარცხი ის იყო, რომ ქრისტას დაბადების დღეზე ლეის, ლანკეშიაიერის საავადმყოფოში არ ვიყავი, საბედნიეროდ დრენა იყო იქ. რომელიღაც ქვეყნიდან მოვდიოდი, შეხვედრიდან და ასეთ მნიშვნელოვან მოვლენას ვერ დავესწარი. ქალიშვილს ქრისტა ფიშერის სახელი დავარქვით, ვინც იმდროინდელი აღმოსავლეთ გერმანიიდან იყო და მოგვიანებით მისის რეი ეიჩერი გახდა. იგი, ოთხი წლის განმავლობაში ალფ ფრანკთან ერთად, ინდოეთში ჩვენი საქმიანობის ხელმძღვანელი იყო. ქრისტა მადრიდში ჩვენი საქმიანობის პირველ წლებში მივიდა იესოსთან, სადაც ევროპაში ჩამოსვლისას ვცხოვრობდით 1960 წელს. ბენი, ჩვენი პირველი ვაჟი, მალევე დაიბადა ამის შემდეგ.

1957 წლის ზაფხულში, სამივე მექსიკაში წასვლას ვგეგმავდით წიგნების გავრცელებისა და ხალხთან სახარების სიტყვის მისატანად. ესპანურს საშუალო სკოლის დამამთავრებელ კლასშიც ვსწავლობდი და მარივილის კოლეჯის პირველ წელსაც, სადაც ვალტერ ბორჩარდთან ერთად ვცხოვრობდი, და სადაც დეილ როტონს შევხვდი, რომლის ღვთისმოსაობამაც ძლიერი გავლენა მოახდინა ჩემს ცხოვრებაზე. შუა ივლისამდე ვერ მოვახერხეთ წასვლა, რადგან დეილი ვიტონის საზაფხულო სკოლაში სწავლობდა და ვალტერი და მე ქრისტიანულ ლიტერატურას ვყიდოდით კარდაკარ, ნიუ ჯერსის ჩრდილო



აღმოსავლეთში, ჩემს რეგიონში. წლების განმავლობაში ცეცხლმაქრებს ვყიდდი იმ რეგიონში და კარგად მიდიოდა ბიზნესი. ქვაბში ცეცხლს დავანთებდი ხოლმე ვილაცის სახლის წინ და მეპატრონეები უყურებდნენ როგორ ვაქრობდი მას პატარა „პრესტოს ცეცხლმაქრით“. მალე სხვა ბევრი ადამიანი შემოვიერთე ამ საქმეში დიდი მოგების გამო. ჩემი უფროსი ებრაელი კაცი იყო, ბატონი ფლინკეშტეინი მანჰეტენში მცხოვრები, და რაღა თქმა უნდა, განსაკუთრებული მოვლენა იყო თექვსმეტი წლის ბიჭისთვის მასთან შეხვედრა. იგი იმდენად გახარებული იყო ჩემი წარმატებით, რომ უფლებამოსილი აგენტობა მიბოძა და ჩემი საკუთარი კომპანია გავხსენი, *ბერგენ ქანთრი სეილს კო.* ეს ყველაფერი იქამდე მიდიოდა წარმატებით, ვიდრე ქრისტე შემოიჭრებოდა ჩემს ცხოვრებაში და „მარადიული ცეცხლმაქრის“ ბიზნესისაკენ არ წამიძღვებოდა. 1955 წლის ზაფხულის განმავლობაში და 1956 წელს, ჩემი მოქცევის შემდეგ, კვლავ ცეცხლმაქრებს ვყიდდი, მაგრამ 1957 წელს ბიბლიამ და ქრისტიანულმა წიგნებმა შეცვალეს ცეცხლმაქრები და მალე დავიწყე მისია სახელად, „გააგზავნე სინათლე“.

ვიდრე ვალტერი და მე ნიუ ჯერსიში ქრისტიანულ წიგნებს ვყიდდით კარდაკარ, სიტყვის გავრცელებისა და მექსიკაში წასასვლელი თანხის მოსაგროვებლად, გამახსენდა, რომ ჩრდილო ჰალელონში იყო ქალბატონი, რომელმაც ბევრი წიგნი შეიძინა, რამაც ძალიან გამახარა. ვფიქრობ მიხვდა, რომ დიდი გულმოდგინება მქონდა, მაგრამ ნაკლები სიბრძნე და „სიბრძნის“ წიგნის წაკითხვა მთხოვა, ძველი აღთქმის იგავებიდან. ძველ აღთქმას ნელ-ნელა ვკითხულობდი, მაგრამ არ ვიცოდი ვიყავი თუ არა იქამდე მისული. მან რაღაც თქვა, რაც არასოდეს დამავიწყდება. „თითო იგავი დღეში, ეშმაკს ჩააგდებს შავ დღეში“. და მერე მაჩვენა იგავების წიგნი სადაც 31 თავი იყო და თვის განმავლობაში ყოველ დღე ერთი იგავი, ანუ ერთი თავი, უნდა მეკითხა. შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მას შემდეგ ყოველ დღე ვკითხულობ იგავებს. იმ დროს წარმოდგენა არ მქონდა, რა გეგმა ჰქონდა

ღმერთს ჩემთვის და რამხელა იყო შეგონება და სიბრძნე ამ წიგნისა, რომელიც ორმოცდაექვსწლიანი პილიგრიმობის განმავლობაში მეხმარებოდა. თავიდან როგორც გაავზავნე სინათლის ხელმძღვანელს, მოგვიანებით კი, ევროპაში როგორც „ოპერატიული მობილიზაციის“ წინამძღოლს.

რა იყო ჩემთვის ყველაზე დასამახსოვრებელი? აი ეს საკითხები:

## 1. გამრჯევა ცღუნებაზე

ასობით მუხლია ბიბლიაში სექსის შესახებ და ზოგიერთი მათგანი გადაჭარბებული და კონტექსტისათვის შეუფერებელიც კი გეჩვენება. მაგალითად იგავ. 5.18-19.

*„კურთხეული იყოს შენი წყარო და გაიხარე შენი სიყვარული ცოლით. საყვარელი ფურ ირმითა და მშვენიერი შევლით. მისმა მკერდმა დაგაკმაყოფილოს ყოველ ჟამს, მისი სიყვარული ვიტაცებდეს მუდამ.“*

ჯეროვნად ვერ გავაცნობიერე მაშინ, როგორც ახალგაზრდა ქრისტიანმა და ღმერთს მოწყურებულმა, იესო ქრისტეს სიტყვის ერთგულმა, რომ მთელი ცხოვრება მომიწევდა ამასთან ბრძოლა. მოქცევამდე, თითქოს უმნიშვნელო ნაბიჯი კი მქონდა ამ მიმართულებით გადადგმული, მაგრამ მოქცევის შემდეგ მივიღე ჩემს ცხოვრებაში მასთან ბრძოლისა და გამარჯვების ძალა. არა მგონია, რომ იმ დროს რომელიმე, აშკარა პორნოგრაფია მქონოდა ნანახი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ქრისტეს გარეშე ადვილად გადავეშვებოდი ამ მორევში. კვლავ და კვლავ ვკითხულობდი იგავების მე-5,6 და მე-7 თავებს და ბიბლიაში არსებულ მის მსგავს მუხლებს, რამაც მტკიცე საფუძველი დაუდო ჩემს ცხოვრებაში ცღუნებასთან ბრძოლას.

*მაშინვე გაჰყვა უკან, როგორც ხარი დასაკლავად რომ მიდის, და როგორც ბრიყვი ბორკილებში –*

*დასასჯელად... რადგან მრავალი განგმირული დასცა მან და რიცხვი არა აქვს მის მიერ დახოცილთ. მისი სახლი შავეთის ვზებია, მკვდართა სავანეში ჩამავალი (იგავ. 7.22,26,27).*

იმ დროს ვერც კი ვიოცნებებდით, რომ მექსიკაში დაგეგმილი მოგზაურობა გახდებოდა დასაბამი და ჩვენი ორგანიზაცია მსოფლიოში არსებულ მრავალ ენაზე თარგმნილი ბიბლიითა და მასთან დაკავშირებული სხვა ლიტერატურით ადამიანების ერთ-ერთი მთავარი მომმარაგებელი გახდებოდა. თავი ცდუნების შესახებ ჩემს წინა წიგნში *წვეთები გაფუჭებული ონკანიდან*, რომელიც პირველად ჟურნალის სახით გამოვიდა, არის ყველაზე მძიმე რამ, რისი გამოცემის ნებაც ოდესმე საკუთარი თავისთვის მიმიცია.

## 2. ენის ცოდვები

ენის ცოდვები არის იგავების ყველაზე დიდი თემა. ამ მუხლების სიდიდე ნახეთ.

*„ტკბილი პასუხი მიაქცევს გულისწყრომას, შეურაცხმყოფელი ცოდვა კი ალაგზნებს რისხვას, ბრძენთა ენა საამუროს ხდის ცოდნას, ბრიყვთა პირი კი სისულელეს გამოთქვამს. ყველგან არის უფლის თვალი, ხედავ ბოროტთა და კეთილთ. მშვიდი ენა სიცოცხლის ხეა, მით მზაკვრობა სულის შემუსვრა“ (იგავ. 15.1-4).*

*„თვით სულელიც დუმილისას ბრძნად ჩაითვლება, თავისი ბავის დამხშველი კი გონიერად“ (იგავ. 17.28).*

*„ვინც ბავეს და ენას იცავს, ის იცავს თავის სულს უბედურებისაგან“ (იგავ. 21.23)*

აღმოვაჩინე თუ რამდენად ადვილია ჩემი ხასიათის ადამიანებისაგან უსიამოვნო სიტყვებით სხვათა გულის ტკენა, და თუ პირდაპირ ჩემს თავზე ვიტყვი, ვაღიარებ, რომ ყველაზე მეტად ჩემი ცოლისათვის მიწყენიებულია 55 წლიანი ქორწინების განმავლობაში. ქორწინებამდე, ჩემს ცხოვრებაში ღვთის მადლის მოქმედების გამო, ჩემი ბაგეებიდან გამომავალ სიტყვებზე დიდ გამარჯვებას მივალწიე და ამის შესახებ ჩემს მიერ დაწერილი „სიყვარულის რეკოლუცია“ ჩემში მზარდი რეალობა იყო. ისეთი წიგნების კითხვით, როგორებიცაა: *ვოლგოთის გზა (1980 წ)* როი ჰესონის ავტორობით, *თავმდაბლობა* (ქრეით სპეის 2012) ანდრეი მურეის ავტორობით და სხვა მრავალი წიგნის დახმარებით ვისწავლე თავმდაბლობა, მონანიება და მობოდიშება. იმასაც მივხვდი, რომ სიამაყე მიშლიდა ხშირად ხელს ამის გასაკეთებლად და ახალგაზრდულ ასაკშივე გამოვუცხადე ომი ნებისმიერი სახის სიამაყეს. *გალატ. 2:20* გახდა ჩემი სულიერი დეენემი; თუმცა, რაც ყველაზე მეტად მაწუხებს დღეს, ეს არის გარკვეულ ეკლესიათა, და არა მარტო ეკლესიათა, არამედ მათი წინამძღოლების სტილიც, სათანადო ყურადღება არ გაამახვილონ ე. წ. ჯვარცმულ ცხოვრებაზე, რომლის შესახებაც სწორედ ზემოთხსენებულ მუხლშია ლაპარაკი.

*„მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში. ახლა რომ ხორციელად ვცოცხლობ, რწმენით ვცოცხლობ ღვთის ძეში, რომელმაც შემიყვარა და თავი ვადასცა ჩემთვის“ (გალატ. 2.20).*

კვლავ ვიტყვი, რომ ბილი გრეემი იყო უდიდესი დახმარება ჩემთვის თავისი სიტყვით „შვიდი ყოველდღიური ცოდვა“ და სხვა რადიო გადაცემებით, რომლებიც ბეჭდური ფორმითაც მქონდა, ვკითხულობდი და ვავრცელებდი. „შვიდი ყოველდღიური ცოდვა“ ისე მომხვდა გულზე, რომ შემძლია ვითხრათ სად და როდის წავიკითხე: „მ თასო როუდ ფულჰემი, ლონდონი“ პირველად იქ ცხსოვრობდით ერთ ოთახიან ბინაში, რომელზეც ჰოის ბირკის

თავის ბიოგრაფიაში ახალი კაცი (2012 წ.) საუბრობს. 1962 წლის თებერვალი იყო და ახალი ჩამოსულები ვიყავით ბრიტანეთში და სახელი „ოპერატიული მობილი ზაცია“ პირველად გამოვიყენეთ.

### 3. სიზარმაცე

მახსოვს ინდოეთში ოემის კონფერენციაზე 1967 წელს, ხალხს ვთხოვე საქმიანობაში თავის ყველაზე დიდ პრობლემაზე საუბრათ და, ჩემდა გასაოცრად, მათ სიზარმაცე დაასახელეს. ვფიქრობ, ეს გამოწვეული იყო ექსტრემალური სიცხით, რაც მეც განვიცადე. იგავების კითხვამ ადრეულ ასაკშივე, 20 წლის რომ ვიყავი, მომცა საფუძველი, ომი გამომეცხადებინა სიზარმაცის ნებისმიერი ფორმისათვის. რამოდენიმე მუხლი გამხნევებისათვის:

*„ბეჯითი ხელი იბატონებს, ზარმაცი კი ხარკად იქნება. სიზარმაცე ვერ მოიპოვებს ნანადირევს, ადამიანის ყველაზე დიდი ქონება სიბეჯითია“ (იგავ. 12.24,27).*

*„თავის საქმეში დაუდევარი ძმაა წამწყმედლისა“ (იგავ. 18.9).*

*„სიზარმაცე ძილს მოჰკვრის კაცს და უქნარა სული იშიძშილებს... ზარმაცი ხელს ჰყოფს ლანგარში და თავის პირთანაც არ მოაბრუნებს მას“ (იგავ. 19.15,24).*

*ზარმაცი ამბობს: „ლომია გარეთ, შუა ქუჩაში ვიქნები მოკლეული.“... „გინახავს შენ კაცი, სწრაფი თავის საქმეში? მეფეთა წინაშე წარსდგება იგი, არ წარსდგება ბნელთა წინაშე“ (იგავ. 22.13,29).*

გამიმართლა, რომ ბავშობაში მშრომელი მამა მყავდა და ბიბლიური ეთიკა მასწავლა რათა ზარმაცი არ ვყოფილიყავი. რთულად ვისწავლე იმ ადამიანებისადმი მოთმინების

გამოხატვა, ვისაც ეს ეთიკა არ ჰქონდა და ვისთვისაც ერთი დღე მუშაობაც კი რთული დავალება იყო. საქმეზე ასეთი ძლიერი ყურადღების გამახვილებას და დისციპლინას შეეძლო ადამიანები პრეტენზიულობისა და გარკვეული სახის ორმაგი სტანდარტებისკენ წაეყვანა. ადამიანები სხვაგვარად იქცეოდნენ, როცა არავინ უყურებდა და სრულიად სხვაგვარად, როცა ვინმე უყურებდა, განსაკუთრებით გუნდში. მოგვიანებით გრძნობდნენ რომ გააკიცხულები იყვნენ, ამას კი შეეძლო სხვადასხვა სახის სულიერი და ემოციური განცდები გამოეწვია მათში. სწორედ ამიტომ ვიძეორებ ისევ და ისევ, რომ ჩვენი მთელი მოძრაობა და ჩემი პირადი ცხოვრებაც გადარჩენილ იქნა „რადიკალური მადლით“. დარწმუნდებით, როცა წაიკითხავთ რედი ალკორნის წიგნს „მადლი და ჭეშმარიტების პარადოქსი“ (2003) ამ საკითხში დასახმარებლად.

## 4. სიბრაზე

ჩხუბი და ძიძვილაობა პატარაობიდანვე დავიწყე. ერთხელ გოგონასთანაც კი მომივიდა ჩხუბი, რომელმაც თითქმის მცემა. მახსოვს, პატარა ხულიგნური ჯგუფი ჩამოვყალიბე ჩემს ქუჩაზე, ვიკოფში, ნიუჯერსიში, დაახლოებით 12 წლის ვიქნებოდი. ხიდან ჩამოვარდნილ თესლის მარცვალზეც კი ვჩხუბობდით. ალბერტი მეორე ბანდის ლიდერი იყო და ორივენი ერთმანეთს ვმტრობდით. ყველაზე პოპულარული გინების სიტყვები დავწერე მისი სახლის კედელზე. შერლის, გოგონას ქუჩის მეორე მხარეს, დაუნახავს და მამაჩემისთვის უთქვამს. მამა მაინცდამაინც დიდად არ აფასებდა ამ ადრეულ ხელოვნებას, ამიტომ უნდა წავსულიყავი და ჩემი შემოქმედება გადამელება. ერთის შეხედვით, სასაცილოა, მაგრამ სიბრაზეს შეიძლება ჩემი ცხოვრება დაეგვრია.

მახსოვს, ციხეში ერთ კაცს ვესტუმრე, რომელიც იქ მკვლევლობისთვის იჯდა. იგი შეყვარებულს ესტუმრა მოულოდნელად და სხვა მამაკაცი ნახა მასთან. აფეთქებისას ადგილზევე მოკლა უცხო ადამიანი. როცა მას შევხვდი, უკვე

მიტევება ჰქონდა ნაპოვნი ქრისტეში და ციხეშიც უზიარებდა სხვებს თავის რწმენას.

თუმცა წარმატების უმაღლესი მიღწევები მქონდა ამ საქმეში, მაგრამ სხვა საკითხებში განვიცდიდი მარცხს, რაც დღემდე კარგად მახსოვს. ბავშვობაში, გულის სიღრმეში არავის და არაფრის წყენინება არ მინდოდა. თავს ცუდად ვგრძნობდი, როცა შემთხვევით ციყვი მოგკალი მშვილდით თუ სასროლით (ზუსტად არ მახსოვს), ძალიან დავმწუხრდი და პატარა ცხოველი საკადრისად დავკრძალე. მოუთმენლობა, სიბრაზესთან ერთად, ხშირად რაღაცაზე გადაჭარბებული რეაქციაა ერთ-ერთი ჩემი სისუსტეთაგანი, თუმცა ჩხუბისათვის თავი არასოდეს დამინებებია და 1 იო. 1.8-10 რეალობაც პრაქტიკულად ვისწავლე:

*„თუ ვამბობთ, რომ არ გვაქვს ცოდვა, საკუთარ თავს ვატყუებთ და ჭეშმარიტება არ არის ჩვენში. თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, მაშინ ის, სარწმუნო და მართალი მოგვიტევენ და გავგწმენდს ყოველგვარი უკეთურებისაგან. თუ ვამბობთ, რომ არ შეგვიცოდავს, ცრუდ ვსახავთ მას და მისი სიტყვა არ არის ჩვენში.“*

მომდევნო თავის 1-2 მუხლებიც დიდად სასარგებლოა.

*„შვილნო ჩემნო, ამას გწერთ იმისათვის, რომ არ შესცოდოთ, ხოლო თუ ვინმე შესცოდავს, გვყავს შუამდგომელი მამის წინაშე, მართალი იესო ქრისტე. ის არის ჩვენი და არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი სოფლის ცოდვების მიმტევებელი.“*

იმდენად დარწმუნებული ვარ სიბრაზის უარყოფით შედეგებში, რომ სერიოზული დაფიქრება გმართებთ იმ ადამიანთან ქორწინებაზე, ვისაც სიბრაზეზე გამარჯვება არ მოუპოვებია, ან, შესაძლოა, პიროვნებას წარსულში ჰქონდა სერიოზული პრობლემები და მაღალი რისკია, რომ იგი ქორწინებაში აფეთქდეს

და ფიზიკურ ძალადობას მიმართოს. შინაური ძალადობა, მათ შორისაც კი, რომლებიც უფლის მიმდევრებად აცხადებენ თავს, იმ ცოდვათაგან ერთ-ერთია, რომლის დაფარვაში ეკლესიას დიდი ნიჭი აქვს, განსაკუთრებით თუ ის დიაკვანი, უხუცესი, ხუცესი ან გუნდის ხელმძღვანელია. თუ ამ სფეროში მარცხს განიცდით დახმარებას უნდა მიმართოთ. მხოლოდ იგავების წაკითხვა ვერ იქნება საკმარისი. დახმარება გჭირდებათ, რაც ყოველთვის გულისხმობს მონანიებასა და სინათლეში სიარულს.

*აჰა, ამბავი, რომელიც მოვისმინეთ მისგან და გაუწყებთ თქვენ: „ღმერთი არის ნათელი და არავითარი სიბნელე არ არის მასში. თუ ვამბობთ, რომ თანაზიარება გვაქვს მასთან, ბნელში კი დავდივართ, მაშინ ვტყუით და არ ვიქცევით ჭეშმარიტებით. ხოლო თუ ნათელში დავდივართ, როგორც ის არის ნათელში, მაშინ მოზიარება გვაქვს ერთმანეთთან და მისი ძის, იესო ქრისტეს, სისხლი გვწმენდს ყოველგვარი ცოდვისაგან“ (1 იო. 1.5-7).*

ძალიან ბევრ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებზეა ამ წიგნში საუბარი და ამ თავის ერთ-ერთი მიზანია, ყოველდღიურად მივეჩვიოთ ბიბლიის კითხვას და რწმენით ის პრობლემები მოვაგვართ, რომლებზეც ღმერთი გელაპარაკებათ. იმედი მაქვს, ზოგიერთი თქვენგანისაგან მოვისმენ ამის დამოწმებას (ჩემი ელ-ფოსტა მოცემულია ამ წიგნის შესავლის ბოლოს). იმედი მაქვს აგრეთვე, რომ წაიკითხაეთ 2 ტიმ. 2:2 და გაგვიზიარებთ, რა ისწავლეთ სხვებთან ერთად, რომლებიც თავის მხრივ ნასწავლს სხვა ადამიანებს გადასცემენ.

*„და რაც მოისმინეთ ჩემგან მრავალი მოწმის თანდასწრებით, ვადაეცი სარწმუნო ადამიანებს, რომელთაც უნარი ექნებათ სხვების სწავლებისა“ (2 ტიმ. 2.2).*



ახლახანს გადავიღეთ დივიდი ფილმი „წიგნი წიგნს მოსდევს“ იგავეების წიგნის მიხედვით, რიჩარდ ბეკთან, პოლ ბლაკჰამთან და ბიბლიის თემის გადამღებ ჯგუფთან. ვიმედოვნებ, რომ მრავალი თქვენგანი შეძლებს მის ნახვას. არსებობს აგრეთვე დივიდი ჩემი ცხოვრების შესახებ, სათაურით *ჯორჯი სინამდვილეში* (2015 წ.), რაც ამ წიგნში აღნიშნულ საკითხებთან შესაბამისაში მოდის. მეტი ინფორმაციისათვის, ან ამ დივიდის შეკვეთისათვის, გთხოვთ ეწვიოთ: [www.cwr.org.uk.store](http://www.cwr.org.uk.store) -ს. ვიმედოვნებ, რომ ჩემი ნაწერი ცოცხალ ძალას შეიძენს და სულიწმიდის მიერ იქნება გამოყენებული.

# ერთობა განსხვავებულობაში

ამ თავის წერისას გერმანიაში ვიმყოფები, არაჩვეულებრივ ადვილას. ეგრეთ წოდებულ „ადლიგენში, დიაკონისელთა მოძრაობის დედათა სახლში,“ რომელიც სოფელშია. დაახლოებით ორმოცი წელია რაც აქ დავდივარ. რამოდენიმე კვირაში დიდ კარავს გაშლიან საკუთარ მიწაზე და ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ახალგაზრდული მსახურება ექნებათ, რომელსაც 8 000 ადამიანი დაესწრება მთელი ქვეყნის მასშტაბით, ღვთის სიტყვისა და დიდებული ქრისტიანული მუსიკის მოსასმენად. ამ წელს მხოლოდ ოქმელი ბილ დრეიკი გაგვიზიარებს სიტყვას. მახსოვს რამოდენიმე წლის წინ აქ სიტყვით გამოვედი და მიხაროდა იმის ხილვა, თუ როგორი საოცარი გზებით მოქმედებს ღმერთი ამ ახალგაზრდების გულში. ეს ძვირფასი დები უბიწოების აღთქმას დებენ და ზოგიერთები მათზე, როგორც პროტესტანტ მონაზვნებზე, ისე ფიქრობენ, თუმცა ისინი ლუთერანული ეკლესიის წევრები არიან გერმანიაში. როცა ახალგაზრდა ქრისტიანი ვიყავი, არ ვიცოდი თუ არსებობდნენ ასეთი ადამიანები. ახლა კი დიდ პრივილეგიად მივიჩნევ ქრისტეში ასეთ დებთან ახლო მეგობრობას. ეს ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ადგილთაგანია, სადაც მშვიდობა, ლოცვა, წერა და იმ ტყეში სეირნობა შემიძლია სადაც ისინი არიან დაბანაკებულნი. ღვთის სიტყვას ვუზიარებ და მშვენიერი ურთიერთობა მაქვს მათთან სადილობისას. მათი იესოსა და მისი სიტყვისადმი ძლიერი სიყვარული და სადმე მისიონერად წასვლის სურვილი ძალიან აშკარაა.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მრავალფეროვნება მოძრაობის, ეკლესიებისა და ხალხისა, რომელთაც სამოცი წლის მანძილზე შევხვედრივარ დაახლოებით ას ერში? რა თქმა უნდა მხოლოდ ჩვენს გემ ლოვოს ჰოუფზე დაახლოებით ორმოცი ერის ადამიანს შეხვდებით ერთდროულად. და არც არის გასაკვირი რატომ არის აქ ლოცვის საღამო საინტერესო.

ვისლი გარდენი, ლონდონის გარეუბანი, ჰიტროუს აეროპორტთან ახლოს არის ჩემი მეორე საყვარელი ადგილი. ჩემი ახლო მეგობარი დენი სმისი ცხოვრობს იქ, ვინც ქრისტე ჩემთან პირველი შეხვედრისთანავე მიიღო კალკუტაში, დაახლოებით ორმოცდაათი წლის წინათ. ის ყოველთვის მხვდება მატარებლების სადგურზე და თავის ბაღში მივყავარ, სადაც ათასობით სხვადასხვაგვარი ყვავილია. მრავალჯერ ვყოფილვარ იქ, ხშირად ბაღში დავდიოდი და აუდიო კასეტებზე ჩაწერილ ბიბლიას ვუსმენდი, ან ტელეფონზე ვსაუბრობდი. ეს უზარმაზარი ბაღი ქვეყნიერების ეკლესიას მაგონებს ამჟამად 40 000 დენომინაციით, ორგანიზაციითა თუ მოძრაობით და შეუჩერებელი ზრდით.

ვისლის ბაღში ერთ-ერთი ჩემი საყვარელი სექცია არის კაკტუსები. წარმოდგენაც კი არ მქონდა, რომ ამდენი სახეობა არსებობდა. რაც ღვთის ხალხს მაგონებს, ამქვეყნად რომ შევხვედრივარ. ისეთი წინამძღოლებისგან, რომელთაც მე პატივს ვცემ, მსმენია ნეგატიური საუბარი მოძრაობებზე და დენომინაციებზე და, შესაძლოა, ზოგიერთ საკითხზე ადრე მეც ასე ვფიქრობდი. მაგრამ დაინახო ადამიანების მრავალფეროვნება ღმერთმა რომ გამოიყენა ბიბლიაში და ვარსკვლავებისა და კოსმოსის მრავალფეროვნება ან შემოქმედების თითქმის ნებისმიერი სივრცე, ვაცნობიერებ, რომ ეს ძალიან ლამაზი და პოზიტიური რამაა. ვფიქრობ, რომ პასუხი, თუ რატომ არ ვართ ერთი ეკლესია (თუმცა სულიერად ერთნი ვართ) მარტივია. ეს არ არის ღმერთის გზა მისი სასუფევლის შენებისთვის (ვიცი, რომ ეს სხვადასხვა რამეს ნიშნავს სხვადასხვა ადამიანებისათვის). ჩვენ გვესაჭიროება, რომ ვიზუიმოთ ეს დიდი მრავალფეროვნება. ვიცი, რომ ზოგიერთი ამ მოძრაობათაგანი ერეტიკულია, და ეს

თავისთავად აცალკევებს მათ ამისაგან და სასუფეველისგანაც, თუმცა, შესაძლოა, მათ შორისაც ვნახოთ ჭეშმარიტი მორწმუნეები, მორწმუნეები ამ არეულობაში. დენომინაციების უმეტესობას განუცდია გაყოფები, მაგრამ ყველაზე დიდი გლობალური დაყოფა არის მათ შორის ვისაც სწამს ბიბლია, როგორც ღმერთის ჭეშმარიტი სიტყვა და ვისაც არ სწამს. სიტყვა „ფუნდამენტალისტი“ გაჩნდა იმისათვის, რომ გაეცალკეებინა ისინი, რომელთაც სწამთ, რომ ბიბლია ღმერთის სიტყვაა, მათგან, რომელთაც ეს არ სწამთ, ჩვენ კი ხშირად გვიწოდებენ „ლიბერალებს“ (რასაც საერთო არაფერი აქვს პოლიტიკასთან). ბოლო ათწლეულებში სიტყვა „ევანგელური“ უკავშირდება იმ ადამიანებს, რომლებიც ბიბლიის რწმენაზე დგანან, მაგრამ „ფუნდამენტალისტის“ იარლიყი არ სურთ, რაც დაკავშირებული იქნა ჰიპერ-ლეგალიზმთან, მსჯავრმენტალიზმთან და თვით მუსლიმურ ფუნდამენტალიზმთანაც კი. სწორედ ამის გამო ათასობით ეკლესია და ასობით მოძრაობა საკუთარ თავს (მსოფლიო ევანგელისტურ ალიანსში) ან საკუთარი ერის ქრისტიანთა გაერთიანებაში მოიაზრებენ. მე მსოფლიო ევანგელისტთა ალიანსის წევრი ვარ და ძალიან აქტიურად ვიყავი ახალგაზრდობაში. ჩვენს დიდ გლობალურ ღონისძიებებში ვისწავლეთ უფრო მეტი პატივისცემა იმ მშვენიერი განსხვავებული გზებისადმი, რომელი გზებითაც მოქმედებს ღმერთი ამდენ დენომინაციებსა თუ მოძრაობებში.

ყველა მათგანს ოჯახივით ვუყურებ და დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი ბევრ საქმეს აკეთებს ოჯახის მეშვეობით. ძალიან უხეში ვიყავი იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მე არ მგავდნენ, ინტერდენომინაციურების მიმართ, მაგრამ ახლა ასე არ ვიქცევი. თუ ისინი იესოს იცნობენ, იწყნარებენ მას, ეკლესიასაც და, შესაძლოა, მათ დენომინაციასაც, უბრალოდ, ღმერთს განვადიდებ ამისათვის. შესაძლოა ეს ის ადგილია, სადაც მათ ქრისტე მიიღეს და სადაც რწმენაში გაიზარდნენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის და ნორმალურია, რომ მათი სულიერი ცხოვრების უმეტესობა და საქმიანობა მათ საკუთარ ოჯახში იქნება.

თვალი უნდა გავუსწოროთ ფაქტს, რომ ეკლესიის ზრდა და საზოგადოებრივი წუხილი და მოქმედება ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარეობს. დიახ, ღმერთი ინტერდენომინაციურ მოძრაობასაც იყენებს და ჩვენ გათავისუფლებულნი უნდა ვიყოთ მენტალურად და გავაცნობიეროთ, რომ ღმერთი სხვადასხვა ადამიანებში სხვადასხვა გზით მოქმედებს.

რა თქმა უნდა, რაც უფრო მეტი დრო გვექნება ერთად ქების, მსახურებისა და ევანგელიზაციისათვის, უკეთესი იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ ერთმანეთის გულწრფელი სიყვარულის გარეშე საკუთარ თავს, საკუთარ ეკლესიასა და მოძრაობას დავაბრკოლებთ.

ღმერთი კულტურებში, ენებში, ხალხებში, მდგომარეობებსა და ნებისმიერ სიტუაციაში მუშაობს. ბოლო ორი ათასი წლის მანძილზე ეკლესიისა თუ მოძრაობების უმეტესობა წინამძღოლის ან წინამძღოლების მიერ დაიწყო, რისი ათასობით მაგალითიცაა. ლუთერამდე მხოლოდ რამოდენიმე მნიშვნელოვან დაყოფას ჰქონდა ადგილი, მაგრამ იმავდროულად კათოლიკურმა ეკლესიამ ისწავლა, როგორ შეეყვანათ მრავალფეროვნება სხვადასხვა ორდენებში და ჩვენც ორდენების უზარმაზარი მრავალფეროვნება ვიხილეთ, როგორებიცაა: იეზუიტები, ფრანცისკანელები და მარიამის დები. აქ არ არის ადგილი მათ დიდ შეცდომებზე სალაპარაკოდ, რაც ნელ-ნელა შეიპარა მათ ეკლესიებში იმ დროიდან დღემდე. ნამდვილად „არეული“ დრო იყო, მაგრამ შესაძლოა, რომელიმე ჩვენგანმა გაბედოს და თქვას, რომ ღმერთი არაფერს აკეთებდა ამ ყოველივეში?

დღეს კათოლიკები განსაკუთრებულად კრიტიკულები არიან სხვადასხვა დენომინაციებისა და ეკლესიების მიმართ, მაგრამ მე მათ ვესლის ბაღში სტუმრობას ვურჩევდი. ღმერთი ჩვენს დაცემაშიც მუშაობს, თავმდაბლობასა და ნებისმიერ რამეში რაც ადამიანებს გვახასიათებს, დიახ-ეკლესიასაც ექნება თავისი სისუსტეები, დანაშაულები და ხანდახან, სამწუხაროა ამის თქმა, ექსტრემალური და მცდარი დოქტრინებიც. საიდუმლოების

საიდუმლო ისაა, რომ ჩვენი დიდებული ღმერთი, იმის გამო, რაც იესო ქრისტემ აღასრულა ჯვარზე, კვლავ განაგრძობს მოქმედებას და შესანიშნავ საქმეებს აკეთებს ამ ალიაქოთში. დარწმუნებული ვარ, რომ უნდა ვიზეიმოთ ის, რასაც ღმერთი მსოფლიოში აკეთებს მილიონობით ადგილობრივ ეკლესიებში. ქება და დიდება მას!

ეს იმას არ ნიშნავს, რომ უფრო დიდებული სიწმინდის, რეალობისა და გამარჯვებისათვის ბრძოლებს გვერდით გადავდებთ, რაზეც ამ და სხვა წიგნებში ვსაუბრობ. ეს იმას არ ნიშნავს, დაგვაფიცდეს, რომ სატანა მბრძღვინავი ლომია, რომელიც ეძებს ვინ ჩაყლაპოს და ხანდახან სინათლის ანგელოზად გვევლინება. ეფეს. მე-6 თავში აღწერილი სულიერი ბრძოლა რეალობაა.

კარგად გვესმის, რომ ზოგიერთი ეკლესია და დენომინაცია თითქმის მკვდარია, ან ძირითადად მკვდარი. ზოგიერთებმა კი ექსტრემალობის ან ერესის ხაზი გადაკვეთეს. ჩვენ ყველამ უნდა ვიბრძოლოთ კეთილი ბრძოლით. გამართლება არ უნდა მოვუძებნოთ ცოდვასა და დაცემას, არამედ ყოველთვის მოვინანიოთ და ვეცადოთ საქმის გამოსწორებას. კვლავ, ჭეშმარიტების ბალანსია საჭირო გზაზე გადადგმული ყოველი ნაბიჯისას.

ჩემს წინა წიგნში, *წვეთები გაფუჭებული ონკანიდან*, განსაკუთრებით ვამახვილებ ყურადღებას ეკლესიასა და ეგრეთწოდებულ პარა ეკლესიას (ეკლესიის მსგავსი შეკრება) შორის არსებულ დამაბულობაზე. ვიმედოვნებ, რომ ამ თავს წაიკითხავთ (22 თავი).

# პარადოქსი, კომპლექსურობა, მისტერია და მესიოლოგია

კარგად მესმის, რომ ახალგაზრდა მორწმუნეები წაიკითხავენ ამ წიგნს, გადაჭარბებულად მიიჩნევენ, ზოგიერთ ადგილებს კი ვერაფერს გაუგებენ. ეს რისკი უნდა გავწიო, რადგან ადრე თუ გვიან, ჩვენ ყველანი შევხვდებით ადამიანებს, ეკლესიებსა და ქრისტიანულ ჯგუფებს, რომლებიც თვითონ იქნებიან დამაბნეველნი და უფრო მეტიც. როცა ჩემს აზრებს კითხულობთ ქრისტიანული მსახურებისა და საქმიანობის შესახებ, მნიშვნელობა არა აქვს რამდენად სამწუხარო, ველური ან არასწორად მოგეჩვენებათ. ამ წიგნის საფუძველი არის ღვთის დიდებულება და მაღლი, იესო ქრისტეს ჩვენთვის ჯვარზე გაკეთებული საქმის გამო. თუ გიჭირთ ჩემი დაჯერება, შესაძლოა, კარგი დახმარება გაგიწიოთ ჯონ სტოტის *ქრისტიანობის საფუძველის (2012)* ან ბილი გრეემის *მშვიდობა ღმერთთან* წაკითხვამ (ტომას ნელსონი 2 000). შეგიძლიათ იმეული გამოძიგზავნოთ და საჩუქრად გამოგიგზავნოთ ამ რამოდენიმე კლასიკურ წიგნს.

შესაძლოა, იმ ახალგაზრდა ქრისტიანთა შორის ხართ, ვინც უკვე შეცბუნებული და იმედგაცრუებულია იმით, რაც ნახა ეკლესიაში, ოქმში ან სხვა ქრისტიანულ ორგანიზაციაში. თუ ასეა, გთხოვთ წაიკითხოთ. გთხოვთ დაინახოთ, რის თქმას ვცდილობ და რისი გაზიარება მსურს გულის სიღრმიდან და გონების ზოგიერთ იმ სფეროდან, რის გამოც ძალიან ვიტანჯებოდი, და რამაც იმედგაცრუებასთან, ეჭვებსა და ურწმუნობამდეც კი მიმიყვანა.

ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ვწერ ამას შემდეგია: ქრისტეში ყოფნის სამოცი წლის მანძილზე მომისმენია ქრისტიანებისთვის და ხშირად ქრისტიანი წინამძღოლებისათვისაც, რომლებიც ძალიან კრიტიკულები არიან სხვა ქრისტიანების, ეკლესიების ან ორგანიზაციების მიმართ. მათში ის ადამიანებიც არიან, რომლებსაც პატივს ვცემ, მიყვარს და რომელთაგან ბევრი რამ მისწავლია. მე მხოლოდ ზრუნვისა და სიყვარულის ნაკლებობა კი არ მაწუხებდა, რასაც ვხედავდი, არამედ ის, რომ ძალზე ხშირად ისინი არ ფლობდნენ სწორ ფაქტებს და ასევე ხშირად საგნებს კონტექსტიდან იღებდნენ. რა კარგი იქნებოდა, რომ ორმოცდაათი წლის წინ გვქონოდა ამდენი ლიტერატურა და ასეთი წიგნები: ალექს სტრაუზის *სიყვარულით გაძლოა* (ლევისი და როთი, 2006) და ამავე ავტორის *თუ ერთმანეთს კებნთ და ჭამთ* (ლევისი და როთი, 2011), ძვირფასი ყოფილი ოქმელი, რომელსაც ძალიან ვაფასებ. ჩვენ გვქონდა ზოგიერთი წიგნები, რომლებიც ჩემდა სასიხარულოდ ძალიან მოთხოვნადი იყო ოქმში. ეს წიგნები უფრო მეტად დაგვეხმარა ჩვენი საფუძვლის შექმნაში, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია ამის გააზრება. ეს არის შემდეგი უნიკალური წიგნები: როი ჰესიონის *გოლგოთის გზა* (რომელიც ადრეც ვახსენე), და *სიყვარულია პასუხი* (უკან ბიბლიისაკენ 1960) თეოდორ ეპისგან. ამ წიგნის წაკითხვიდან მალევე დავწერე *სიყვარულის რეკოლუცია*, რომელსაც მოჰყვა წიგნები დამოწაფებაზე, ექსტრემიზმზე და ბალანსზე.

ნათლად განვმარტოთ, რომ განსაკუთრებით როგორც ახალგაზრდა ხელმძღვანელი, სხვა ხელმძღვანელების, ეკლესიების და ორგანიზაციების მიმართ ყველაზე კრიტიკული მე ვიყავი. ნელ-ნელა შევითვისე პოზიტიური განწყობა, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდა, როცა განსხვავებული ხედვა განვაავითარე ღვთის გზის მოქმედებისა და კონკრეტულად იმ ადამიანების მიმართ, რომლებთანაც ღმერთი მუშაობს; შევქმელი დამენახა ის პოზიტიური საქმეები, რომლებსაც ადამიანები, ეკლესიები და ორგანიზაციები აკეთებენ და რომლებზეც ადრე ვფიქრობდი, რომ



შეცდომები და მცდარი პრაქტიკა ჰქონდათ. ამ წიგნში *მაღლი და ჭეშმარიტება პარადოქსი*, რენდი ალკორნმა კარგი საქმე გაგვიკეთა და გვაჩვენა, რომ შეიძლება ძლიერი ვალდებულება გვქონდეს ჭეშმარიტებისადმი, რაც ყოველთვის მქონდა მეც, მაგრამ **სიყვარულითა და მაღლით** ცხოვრება უმნიშვნელოვანესია. რომლის მეშვეობითაც უფრო ნელი ვიქნებით კრიტიკაში, განსაკუთრებით, როცა მთელი ამბის სრული სურათი არა გვაქვს. ნშირად ფაქტების პოვნა ძალიან რთულია.

ამავდროულად, წერილი რწმენის დაცვას გვიბრძანებს. ყველასათვის კარგი დახმარება იქნება იოანეს მეორე და მესამე წერილების კვლავ გადაკითხვა.

ამ თავში მინდა ვილაპარაკო იმ საკითხების შესახებ, რამაც ძალიან დიდი დაბნეულობა და ტანჯვა გამოიწვია.

1. წიგნები, ბროშურები და რასაც „დაბეჭდილ გვერდს“ ვეძახდი ჩემს პირველ წიგნში *საევანგელიზაციო ლიტერატურა* (კლასიკური ცხოვრების სტილი. ხელახლა გამოიცა 2 003). როცა კარდაკარ ქრისტიანული ლიტერატურის გაყიდვა დავიწყეორი წლის მორწმუნე ვიყავი. 1 957 წლის ზაფხულში, მექსიკაში წასვლამდე, ერთი ჟურნალი ჩამივარდა ხელში, სახელად ფლადთაიდ CLC -ის მიერ გამოცემული და ჯიბის ბიბლიების გავრცელებაში მონაწილეობა დავიწყე. ეს მოხდა ჩემს მოქცევამდე, ამ ყველაფერმა „დაბეჭდილი გვერდის“ გამოცემამდე მიმიყვანა, განსაკუთრებით სახარების, ახალი აღთქმისა და სრული ბიბლიის გამოცემამდე. დიდი კურთხევა მივიღე ქრისტიანული წიგნებისა და ბროშურების კითხვით და გულწრფელად მინდოდა სხვების კურთხევაც... წიგნების კარდაკარ გაყიდვისას, დავინახე, რომ საბავშვო წიგნები უფრო მეტად იყიდებოდა და ამ საქმეზეც გადავერთე. მალე უამრავი წიგნი აღმოვაჩინე მრავალ სფეროში სწავლების შინაარსით, რომელთაგან ზოგიერთი საკმაოდ ექსტრემალური და ჭეშმარიტებას მოკლებულიც კი ჩანდა. დღევანდელი გადასახედიდან შემიძლია დავიყვირო, **ღმერთი იყენებს**

**წიგნებს**, მაგრამ შესაძლოა ამის გაგონება არ გსურდეთ, რომ ღმერთიც იყენებს ცუდ წიგნებს და ეშმაკიც. აღმოვაჩინე, რომ წიგნები, რომლებსაც არ გავყვიდი და არ მომწონდა, ღმერთმა გამოიყენა ადამიანების ქრისტესთან, როგორც მათ მხსნელთან, მისაყვანად. როგორ გადახარშავ იმას, რომ ვიღაცას დაეხმარა და კურთხევა მიიღო ადამიანმა წიგნით, რომელიც გჯეროდა, რომ ცუდი იყო? როგორ ახსნი იმას, რომ ღმერთი იყენებს იმ წიგნს, რომლის ავტორიც მრუშობაში ან უარეს ცოდვაში ჩავარდა? უფრო კომპლექსურია ის ფაქტი, რომ წიგნებს, რომლებიც ღვთის დიდი ადამიანების მიერ დაიწერა, რომელთაც დიდ პატივს ვცემთ და გვიყვარს, ხშირად არ ვეთანხმებით და ხანდახან ძალიან მნიშვნელოვან საკითხზეც კი. თუ ბევრს წავიკითხვით და მრავალფეროვან ადამიანებს ვცემთ პატივს, როგორ უნდა გადავწყვიტოთ გულში რა ვირწმუნოთ? ახალგაზრდა მორწმუნეებისა და ჩემი შვილიშვილისათვის თითქოს უფრო ადვილია, ვიდრე ჩემთვის, რა უნდა ირწმუნოს კომპლექსურ პრობლემებსა და დოქტრინაში. მე ცოცხალი აღარ ვიქნები, მაგრამ საინტერესო იქნება, ჩემს ასაკში როგორ მოიქცევიან? ხანდახან ძალიან დაუღაგებლად მეჩვენება ყველაფერი და სწორედ ამიტომ ვასწავლი „მესიოლოგიას“, რადგან ღმერთი თავისი მოწყალებით, მაღლითა და იღუმალებით ხშირად აკეთებს დიდებულ საქმეებს ამ არეულობაში, საქმეებს, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანი ჩანს ჩვენთვის და ალბათ მისთვისაც. მაგრამ ის, რაც ქრისტემ გააკეთა ჯვარზე წარმოაჩენს განსხვავებულ პრიორიტეტებს ცოცხალ ღმერთში იმგვარად, როგორც ის პასუხობს სხვადასხვა ადამიანებს, ეკლესიებსა და სიტუაციებს.

2. თუ ვფიქრობთ, რომ ქრისტიანული ლიტერატურა კომპლექსურია, მაშინ სცადეთ ტელევიზია და ინტერნეტი, როგორიცაა, მაგალითად იუთუბი, ფეისბუქი და მისი მსგავსი პროგრამები. მომიტევეთ ამ გამოთქმისათვის,

მაგრამ „შოკს მგვრის“. კვლევები, საკუთარის ჩათვლით, რომელიც გვიჩვენებს, რომ სატელევიზიო მქადაგებელი, რომელთაგან ზოგიერთს ვერც კი მოუსმენ, ათასობით კი არა ათი ათასობით ადამიანს დაეხმარა ქრისტესთან მისვლაში, მთელს მსოფლიოში. ზოგიერთები იტყვიან, რომ, „ეს აღიარებები არ არის გულწრფელი“. შემდეგ დაგემოდვრავენ და აგვიხსნიან, რომ სახარებას მოსდევს წრფელი მონანიება და ქრისტეს ღმერთად აღიარება. ამას იმიტომ აკეთებენ, რათა დაგვარწმუნონ, რომ ხსენებული აღიარებები არ არის ბიბლიური. ძალიან ბევრი პრობლემა მაქვს ამასთან დაკავშირებით, მაგრამ ყველაზე საოცარი ის არის, რომ მსოფლიოში მრავალ ადამიანს შევხვედრივარ ორმოცდაათი წლის განმავლობაში და ვფიქრობ, ისინი ნამდვილი მორწმუნეები არიან. მრავალი მათგანი გამოყენებულ იქნა ღვთის მიერ, არა მხოლოდ სხვების ქრისტესთან მისაყვანად არამედ ათასობით ეკლესიის დასაფუძნებლად.

გახსოვდეთ, ჩვენ ჯერ კიდევ უფლისათვის ხალხის დიდი მკის ეტაპზე ვართ, რაც კი ოდესმე მომხდარა. როგორც ვილაც, ვინც გაკრიტიკებული მქადაგებლის ქადაგებით მოექცა, მაგალითად ბილი გრემის, მეც მთელი ჩემი ქრისტიანული ცხოვრება იმ ადამიანების კრიტიკით უნდა მეცხოვრა, რომლებიც მართავენ შეხვედრებს იმაზე მსჯელობისთვის, არიან თუ არა დახსნილები ასეთი ადამიანები; არადა ეს ყოველივე მხოლოდ მათ თავშია. ყოველთვის ამოუხსნელი იყო ჩემთვის, თუ რატომ არის, რომ ზოგიერთებს თითქმის სიამოვნებას გვრის დახსნილი ადამიანების რიცხვის შემცირება.

ჩვენ ვამბობთ, რომ ადამიანები დახსნილნი არიან **მადლით**, რადგან უფალ იესო ქრისტესი სწამთ, მაგრამ როგორც ჩანს ჩვენი წესებისა და რეგულაციების დაცვით განვსაზღვრავთ იმის ცოდნას, ნამდვილად ხარ თუ არა ქრისტიანი. ვთხოვთ, წაიკითოთ *ექსტრემალური სამართლიანობა* (მუდი, 1997) ტომ ჰოვესტოლის მიერ და თქვენც ისევე აღმოაჩენთ, როგორც მე, თუ რამდენად ადვილად ვავითარებთ ძლიერი მორწმუნეები

ფარისევლურ აზრებს. სვინდოლის *მაღლის გამოღვიძება* (განსაკუთრებით, „მოწყალეებით შეეწინააღმდეგეთ და განაგრძეთ გზა“) დიდი დახმარება იყო ჩემთვის.

დისტანციას ვინარჩუნებ განსაკუთრებულ ადამიანებთან, ცნობილი ადამიანების ჩათვლით, და წიგნებს ვავრცელებ ექსტრემიზმის წინააღმდეგ, როგორცაა ექსტრემალური წარმატების სწავლება. კიდევ ვწერ წიგნებს და ვავრცელებ მცდარი დოქტრინებისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ, მაგრამ ღმერთს ვერასოდეს ვეტყვი, ცოცხალ ღმერთს, რომ მან დისტანცია უნდა დაიჭიროს ამა თუ იმ ადამიანთან. მე ძალიან სუსტი და შეზღუდული ადამიანი ვარ. ის ყოველისშემძლე ზეციერი ღმერთია და ყოვლადძლიერ საქმეებს ჩადის პარადოქსულ, კომპლექსურ და მისტერიულ სიტუაციებში. რასაც მე „მესიოლოგიას“ ვუწოდებ, მაგრამ თქვენ - როგორც გენებოთ.

3. მესამე სფერო, რის შესახებაც მინდა ვისაუბრო, არის მუსიკა და ის საოცარი გზა, რასაც ღმერთი იყენებდა და იყენებს მრავალგვარი მუსიკის, სიმღერებისა და გუნდის საშუალებით, რათა ხალხს მსახურებასა და იესოსთან მისვლაში დაეხმაროს. ორმოცდაათი წლის განმავლობაში ეს საკითხი გახლდათ ჩემთვის რთული ასახსნელი. თითქმის სასწაულია, რომ დასაწყისიდანვე იმ მუსიკის მოყვარული გავხდი რასაც „თანამედროვე მუსიკას“ უწოდებენ. ახალი აღთქმა ბევრს არაფერს ამბობს მუსიკის შესახებ, მაგრამ ძველი აღთქმა საკმაოდ მრავალმხრივია მუსიკისა და ცეკვის შესახებ. ჯერ კიდევ არ მჯერა, რამდენი წინააღმდეგობა გამოიწვია ამ საკითხმა და რამდენი ეკლესიის დაყოფის საბაბი გახდა იგი მსოფლიოში. ერთნი ამბობენ, ბუკლეტებშიც კი წერენ, რომ დოლი არის სატანისაგან (ეს ბუკლეტი მაქვს). კასეტებს ვუსმენდი (ძველად... და ღმერთო ჩემო, კიდევ ვინახავ, რადგან ჩემს ძველ მანქანას მხოლოდ კასეტების მაგნიტოფონი აქვს) და ვკითხულობ ბუკლეტებს და ხანდახან

იმ ადამიანებისაგან დაწერილ წიგნებს, რომელთაც დიდ პატივს ვცემდი, იმ მუსიკას სდებენ მსჯავრს, პირადად რომ მინახავს როგორი ძალით იყენებდა ღმერთი მას. ამას ჩემი სრული განადგურება შეეძლო, მე რომ ღვთის განსხვავებული ხედვა არ განმევითარებინა, მისი სიყვარულისა და მისი მოქმედების გზის შესახებ. თავისი შვილების საქციელის შემხედვარე ღმერთს იუმორის დიდი გრძნობა უნდა ჰქონდეს. თუ ფიქრობთ, რომ მუსიკის საკითხის შესახებ კამათმა ჩაიარა, მაშინ არ იცით, რა ხდება ფართო მასშტაბით ეკლესიებში. ზოგიერთებმა რწმენაც კი დაკარგეს და ქრისტიანულ ეკლესიას ჩამოშორდნენ, ზოგ შემთხვევაში კი საკუთარ რწმენასაც, საკუთარი თვალით ნანახი და ყურით მოსმენილი ექსტრემალური განცხადებების გამო მუსიკის თაობაზე. ბოლოს, როგორც ჩანს, ახალმა და თანამედროვე მუსიკამ გაიმარჯვა... მაგრამ ჯერ კიდევ არაფერი დასრულებულა. ხმადაღმა ტონმა ახალი პრობლემები წარმოშვა და უნდა ვაღიარო, რომ ყურსაცობებს ყველგან დავატარებ. მუსიკოსების საკმაო რიცხვმა, რომლებიც ამორალობაში იქნენ შემჩნეულები ან ოჯახები დაეხრათ, კიდევ უფრო აურიეს დალაგებული სცენა. არიან ისეთი მუსიკოსებიც, რომლებიც მკაცრად კიცხავენ სხვა მუსიკოსებს, რაც არავისთვისაა სასარგებლო. ზოგნი კი იმას ცდილობენ, საერთოდ ხაზი გადაუსვან მთელ ქრისტიანულ მუსიკას და ყოველგვარი სახის მოთხრობებით სიხარბეზე, ყოფილობასა და ამორალობაზე. ჩემთვის ეს საშინელი შეცდომა იყო არეულობის შუაგულში, მაგრამ ღმერთი დიდებულ საქმეს აკეთებდა და მრავალი ადამიანი მივიდა უფალთან.

ისინი, ვინც ბევრს ვკითხულობთ, განსაკუთრებით ქრისტიანულ გამოცემებს, უარყოფით ცნობებსაც ვაწყდებით და საშინელ ქრისტიანულ ისტორიებსაც. ნუ ეცდებით ნეგატიური ინფორმაციის თქმას, რადგან ის არ წარმოადგენს სინამდვილის სრულ სურათს, იმის სურათს, თუ რისი გაკეთება შეუძლია ღმერთს ამ არეულობაში და ჩვენს ადამიანურობაში.

ჩვენ ყველას გვჭირდება რომაელთა 8.28 დაზებირება: „ჩვენ კი ვიცით, რომ ღვთის მოყვარულებს, მისი განზრახვით მოწოდებულებს, ყოველმხრივ ეწევა სასიკეთოდ.“

სად არის ღმერთი ამ ყველაფერში? მე ვიტყვოდი, პირდაპირ მომხდარის შუაგულში-მოსიყვარულე, მიმტევებელი, დამხსნელი და ყოველგვარი სახის „თიხის ქოთნების“, როგორც ბიბლია უწოდებს მას, თავისი მიზნების მისაღწევად გამომყენებელი. დამშვიდდით, ნუ ღელავთ, არ არის საჭირო თქვენი ეკლესიის მიტოვება თავისი ტრადიციული ჰიმნებით, უბრალოდ, შეწყვიტეთ მათი კიცხვა, ვინც სხვა გზა აირჩია. ჩემს თანატოლებს ვუბნები 60/70-იანელების კლუბში: „რა უფრო მნიშვნელოვანია, მუსიკით ვისიამოვნოთ, თუ მომავალი თაობა მოვიდეს და ემსახუროს იესოს?“ წარმოდგენა მაინც თუ გვაქვს, რა გააკეთა ღმერთმა ჰილსონგისა და მათი მუსიკის მსგავსი ეკლესიების მეშვეობით? გაამრავლეთ ეს 1000-ზე და შეიძლება წარმოდგენა შეგექმნათ, რას აკეთებს ღმერთი ქვეყნიერებაზე ყოველგვარი მუსიკით და ადამიანებით. შეიძინეთ ყურსაცობები და გააგრძელეთ ეკლესიაში სიარული.

4. დაბოლოს, მინდა პოლიტიკაში არსებული ღვთის ხალხის შესახებ დავწერო: მეძარჯვენეებზე, მეძარცხენეებზე და ცენტრისტებზე. ამერიკაში დღეს ეს საკითხი დიდი უთანხმოების თემას, ადამიანებს შორის დაყოფის მიზეზს წარმოადგენს და ყოველდღე რთულდება საკითხი. ჩემი მტკიცე რწმენა არის, რომ ღმერთს შეუძლია გაყოფილი ეკლესიის მეშვეობით მოქმედება (ქრისტეს მთელს სხეულს ვგულისხმობ), თითქოსდა ეს არის ყველაფერი, რასთანაც მას უწევდა მუშაობა. სიტყვაზე, რატომ არ უნდა ვცადოთ და შევამოწმოთ ახალი აღთქმის რომელიმე წერილის გამოსადეგობა? თუმცა ეს არასოდეს ყოფილა სიყვარულის ნაკლებობის თუ რომელიმე სხვა ცოდვის ახსნა ან განმარტება. ბევრი პრობლემა და კავშირებულია იმ ფაქტთან,

რომ ზოგიერთებს სჯერათ „ქრისტიანული ერების თეორიის“ და ზოგს არა. მე არ მჯერა „ქრისტიანული ერის თეორიის,“ მაგრამ შეიყვარეთ ის, ვისაც სჯერა. ყველა ერი ყოველ დროს მოქმედებდა ბოროტის მძვინვარების ეპოქაში. მათ, ვისაც სჯერათ, რომ მომავალში ეს ყველაფერი შეიცვლება შემცდარნი არიან, მაგრამ ისინიც მიყვარან.

მუდის ბიბლიის ინსტიტუტში გადასვლამდე ისტორიკოსის პროფესიას ვეუფლებოდი და იმ დროიდან მოყოლებული ვსწავლობ ამ საგანს. ძალიან ბევრი რამის სწავლა შეგვიძლია ისტორიიდან. განსხვავებული მოსაზრებების წაკითხვა რთულია და იმის გაგება, თუ რა მოხდა სინამდვილეში, კიდევ უფრო რთული. ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები თავმდაბლები უნდა იყვნენ და, შესაძლოა, ცოტა არა დოგმატურებიც. უნდა იყვნენ თუ არა ქრისტიანები ჩართულები სიძულვილის ენის კულტივირებაში და უნდა ავრცელებდნენ თუ არა მსგავს იმეელებს? მგონი რომ არა, მაგრამ თუ ამას აკეთებენ, როგორღაც ჩვენს ყოვლადღიერ ღმერთს ისინი მაინც უყვარს და, შესაძლოა, იმაზე მეტად გამოიყენოს ისინი, ვიდრე ოდესმე ეს მენდომებოდა. გთხოვთ, იმედს ნუ გაიცრუებთ ამ სფეროში ან მთავრობაში არსებული არეულობით, მაგრამ ეცადეთ ყურადღება ღმერთზე გაამახვილოთ და იმაზე, თუ რას აკეთებს ღმერთი ამ არეულობის შუაგულში. ჩვენ მრავალსაუკუნოვანი ისტორია გვაქვს, რათა ვაჩვენოთ, რომ ღმერთს შეუძლია იმოქმედოს მსგავს გარემოებებში. შესაძლოა, ახლახან გამოსული ფილმის *ნოეს* (2014) ნახვა გვჭირდება და საკუთარი თავისთვის ამის შეხსენება.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ გვჯერა სანთლად და მარილად ყოფნა, და ნამდვილად არ ნიშნავს, რომ ქრისტიანები პოლიტიკაში არ უნდა ჩავერიოთ, ან იმას, რომ ადგილი არ არის პატრიოტებისათვის. ღმერთი ჩვენს კულტურაში მოქმედებს და ეს საკითხები ჩვენი კულტურისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. რაც უფრო მეტ ნამდვილ ქრისტიანულ

ფასეულობებს ვიხილავთ საზოგადოებაში, მათ შორის, ჩვენს საკუთარ თემში, მით უკეთესი, თუმცა ჩვენ არ შეგვიძლია მათი დაჩქარება ან მათზე გათვლა. მთავრობა ეკლესიაში არ უნდა ავურიოთ. მრავალნი იბრძვიან იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაამუქონ სინამდვილე, სინათლის გავრცელების ნაცვლად. ეს წაგებული ბრძოლაა და მცდელობად არც ღირს. უმჯობესია, ჩვენი პრიორიტეტები სწორად წარვმართოთ. უფრო მეტიც, პატივი ვცეთ იმ აზრს, რომ ღმერთი განსხვავებულ ხალხს სხვადასხვა ეკლესიებში სხვადასხვა გზით წარუძღვება. რატომ არ დავხარჯავთ მეტ ძალისხმევას და არ მივაგებთ პატივს სხვა ადამიანებში ღმერთის წინამძღოლობას? ამასთან დაკავშირებულ ბევრ საკითხში ვერასოდეს მივალთ ერთ აზრამდე, მაგრამ იმედი მაქვს ყველა დავეთანხმებით იმ აზრს, რომ ღმერთს ნებისმიერ სიტუაციაში შეუძლია დიდებული საქმის გაკეთება, იმათთანაც კი, ვისგანაც ჩვენ გავიქცეოდით.



# ეკლესია, მისია და ჰოლივუდი

წინა თავებში მხოლოდ რამოდენიმე სფეროს შევეხე, სადაც საქმე საკმაოდ კომპლექსური და მოუწესრიგებელია. დარწმუნებული ვარ, სურვილი არა გაქვთ ასეთი განცდით წიგნის კითხვის გაგრძელებისა, ამიტომ ნება მომეცით, რამოდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი მოკლედ მიმოვიხილო ამ თავში. ამ საკითხების შესახებ ბევრს ვკითხულობდი და მრავალ ადამიანს ვესაუბრებოდი ორმოცდაათი წლის განმავლობაში, ამიტომ ცოტაც გამიძელით. დარწმუნებული ვარ, რომ მათი გაგება დაგეხმარებათ მადლის გაღვიძებაში, დიდი გულის მოცემასა და მიტევებაში. დარწმუნებული ვარ, დიდ სიბრძნეს გამოიჩენთ და რთული სიტუაციების წარმართვაში გარჩევის უნარს იქონიებთ, განსაკუთრებით თუ წინამძღოლი ბრძანდებით.

## ეკლესიის მმართველობა

ახალგაზრდა ქრისტიანი არასოდეს დავიჯერებდი, რომ მრავალი გზა არსებულა ეკლესიის წარმართვისათვის, და როგორ აკურთხებს ღმერთი განსხვავებულ მეთოდებს. ძალიან ხშირად ადამიანი, რომელსაც რაღაც მეთოდის მტკიცედ სჯერა და თქვენც მათ რიცხვს მიეკუთვნებით; არა, შეცვლას არ გთხოვთ, მაგრამ კარგი იქნება, ნაკლებად დოგმატური იყოთ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ თქვენეული საქმის კეთების გზა ერთადერთია. არადა, თუ აზრს ასე გამოვთქვამთ, ერთ-ერთი გზა

„ეს გაცილებით კეთილგონივრული იქნება ვიდრე იმისი თქმა, რომ ეს: „ერთადერთი გზა“.

ამჟამად ჩვენ გვაქვს ეკლესიის მართვის გუნდური სისტემა და ამ კონცეფციას ხანდახან უხუცესთა მმართველობასაც უწოდებენ, და მას მივყავართ წარსულისაკენ, როცა არსებობდა ე. წ. ძმების მოძრაობა, რომელიც ძალიან დინამიური მოძრაობა იყო იმ დროს, და ზოგიერთ შემთხვევებში დღესაც არის. დეილ როტონი, ვისაც მარივილის კოლეჯში შევხვდი და მექსიკაში წამოვიდა პირველი მოგზაურობისას, გახდა ძმების ამ მოძრაობის წევრი და ბუკლეტი დაწერა იმის ასახსნელად, რომ ეს იყო ახალ აღთქმისეული გზა. მაშინ დავიწყე ამ უნიკალური მოძრაობის გააზრება, როცა მათთან ერთად მსახურებაში ვიყავი მექსიკის ქალაქში. უილიამ მაკდონალდი, ვინც იმ დროს, ემაუსის ბიბლიის კოლეჯის პრეზიდენტი იყო ჩიკაგოში, ჩვენი მეგობარი და მხარდამჭერი გახდა. მისმა წიგნმა *ჭეშმარიტი დამოწაფება* (გოსპელ ფოლიო, 2 003) დიდი გავლენა მოიპოვა ჩვენს მოძრაობაში. მრავალმა ფაქტორმა იმოქმედა, რომ დეილის მიერ მოვნათლულიყავი ბეთანის ეკლესიაში, ვიტონში. თუმცა, იმ დროს უკვე ძალიან, ძალიან ინტერდენომინაციური ვიყავი, რაშიც მუდის ბიბლიის ინსტიტუტი დამეხმარა. და შემდეგ ბაპტიستي შევიერთე ცოლად.

დეილს და სხვა რამოდენიმე ადამიანს ოქმთან თანამშრომლობის ნება დართეს, რაც ლოცვის დიდ პასუხად ჩავთვალეთ. მაშინ წარმოდგენაც კი არ მქონდა, რომ დიდ ბრიტანეთში რამოდენიმე წლის შემდეგ ამ მოძრაობას დავაფუძნებდი, სადაც ძმების მოძრაობა დაიბადა და ჯერ კიდევ ძლიერად დგას. ისტორიულად, ჩვენი ლიდერების გარკვეული ნაწილი დაკავშირებული იყო ამ მოძრაობასთან, მათ შორის იყვნენ ქეით პექვიტი, დიდი ბრიტანეთის განყოფილების პირველი დირექტორი, მოგვიანებით კი პიტერ შეილენი, ვინც ჩემი თანადირექტორი და მოგვიანებით საქმის გამგრძელებელი გახდა. სამძოს მოძრაობამ მრავალჯერ განიცადა განხეთქილება. თითქმის ნებისმიერ ინდივიდუალურ ანსამბლესაში იყო ასეთი შემთხვევები, მაგრამ ღმერთი კვლავ

აგრძელებს მუშაობას და იგი ჯერ კიდევ ჯანსაღი, მსოფლიო მასშტაბის მოძრაობაა. მრავალმა მათგანმა მიმიღო და მათი ლიდერების მნიშვნელოვან შეხვედრებზე სიტყვით გამოვლა ჩემთვის ენით აუწერელი გამხნევება იყო. ზოგიერთებს ჯერ კიდევ ის ხუცეები ჰყავთ, რომლებიც ხელმძღვანელობენ და ამავდროულად გუნდის წევრის როლსაც ასრულებენ. სხვებს აშინებდათ ეს იდეა, რაც იწვევდა განხეთქილებებს. მოდი, გულწრფელები ვიყოთ, ღვთის იღუმალი საქმიანობის გზაზე, განხეთქილებები და დაყოფები ეკლესიის ზრდის ერთ-ერთი გზაა. რაც ცხადია ცოდვისა და არასწორი ქმედების საპატიო მიზეზად ვერ ჩაითვლება. და ისე ვიტყვი, არეულობის შუაგულში ღმერთის მოქმედების კონცეფცია კვლავ სახეზეა.

ადგილი არ არის აქ იმ განსხვავებული გზების განხილვისათვის, რომელი გზებითაც ეკლესიას სურს სვლა. მრავალთა გასაოცრად, ჩვენი ინდოეთში მუშაობისას, ინდოელმა წინამძღოლებმა ირჩიეს იმ გზას დასდგომოდნენ, რომელიც აერთიანებს სამძოს, ბაპტისტებს, მეთოდისტებს და ანგლიკანებს, და მცირედ ქარიზმატებსაც. კეთილი მწყემსის ეკლესიები ჩვენი ისტორიის შესანიშნავი ნაყოფია, და ნება უნდა მიგვეცა მათთვის საკუთარი გზის ასარჩევად და ჩემი თვალსაზრისის შეცვლაც იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოქმედებს ღმერთი, დამეხმარა მის უფრო უკეთ გაგებაში, ვიდრე ამისი გამოხატვა შემიძლია. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ ძლიერი მხარდამჭერი ვარ იმისა, რაც ხდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერს ვეთანხმები ან ყველაფერი მესმის. როცა ერთდროულად ადამიანთა დიდი ჯგუფი მოდის ქრისტესთან, ეს უბრალოდ დიდი კი არა, უდიდესი არეულობაა! სწორედ ამიტომ უნდა ვილოცოთ და დახმარება გავუწიოთ ამ და სხვა მსგავსი მნიშვნელობის საქმიანობებს. სწრაფი ზრდის ამ პროცესში ვისწავლეთ შეცდომების საზღაურის გადახდა. ისიც ვისწავლეთ, თუ როგორ შეუძლიათ ეშმაკსა და მის დამხმარეებს ჭორაობა საქმის დასანგრევად გამოიყენონ. ნუთუ არ შეგვიძლია, რომ ყველანი პოზიტიურად ვიყოთ განწყობილნი ღვთის მუშაობის,

მრავალფეროვანი გზების, განსხვავებული ეკლესიებისა და სხვადასხვა წინამძღოლობის სტილის მიმართ?

## ჰოლივუდი და ქრისტიანული ფილმები

მიყვარდა კარგი ფილმები (და ზოგიერთი ცუდიც). ახალგაზრდა ყმაწვილისა და ახალი მორწმუნისათვის დიდი შოკის მომგვრელი იყო, როცა მითხრეს, რომ ფილმები ეშმაკისაგან არის. მუდის ბიბლიის ინსტიტუტში ხელი უნდა მომეწერა, რომ ფილმებზე არ ვივლიდი. იესოსა და მსოფლიო მისიის მტკიცე მხარდამჭერი ვიყავი, არ მინდოდა რაიმე გამეფუჭებინა, ამიტომ ამ დადგენილებას ვემორჩილებოდი. მხოლოდ მოგვიანებით გავაანალიზე, რომ ეს ყველაფერი ლეგალიზმი იყო და ძალე მის კლანჭებში აღმოვჩნდი. ერთი რამ ცხადია, ასეულობით წლების მოწმობა გვაქვს იმის მტკიცებულებად, რომ ღმერთს შეუძლია ლეგალიზმის გარემოცვაშიც იმოქმედოს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბიბლია გვასწავლის, რომ ამაზე უკეთესი გზაც არსებობს. ეს კულტურასთან ახლო კავშირშია და, როგორც ჩანს, ღმერთს ნებისმიერ კულტურაში შეღწევა შეუძლია. როცა ტეხასელი მოექცევა, იგი ტეხასელად დარჩება. ამან შეიძლება გააღიზიანოს ჩვენი ბოსტონური ქრისტიანი თემი, მაგრამ ეს დიდი პრობლემა არ არის ღვთის თვალში. სახელმწიფოებს, ერებს და ქალაქებს შორის დიდი გაუგებრობები შესაძლოა გადაიჭრას, თუ უფრო ღმერთზე მეტად ორიენტირებულნი ვიქნებით და მის საოცარ გზებს უფრო მეტად ჩავწვდებით.

ჩვენი მოძრაობა ქრისტიანული ფილმების მოძრაობის პარალელურად მუშაობს კენ ანდერსონისა და სხვა მისი მსგავსი ადამიანების ხელმძღვანელობით. 1963 წელს სატვირთო ავტომობილებზე პროექტორებიც კი გვქონდა ევროპაში მოძრაობისას, და მილიონობით ადამიანს ღვთის სიტყვას ვაწვდიდით. მას შემდეგ ძალიან ეფექტურად ვიყენებდით ფილმებს (ვიდეოებს, ახლა დივიდის). ძალე აღმოვაჩინე, რომ ეს ფილმები კინოს სამყაროში მოღვაწე ადამიანების კრიტიკის

საგნად იქცა. რა თქმა უნდა, ფილმების უმეტესობას დაბალი ბიუჯეტი ჰქონდა და გადაძვლები ჯგუფიც ძალზედ შეზღუდული განხლდათ. ისტორია და ზეცა დაგვანახვებს როგორ გაეცნო იესოს მილიონობით ადამიანი ამ ფილმების საშუალებით. ნუთუ ეს იმის მაჩვენებელი არ არის, თუ როგორ განსხვავებულად აზროვნებს ღმერთი ჩვენგან? ჩვენ დიდი მოვლენები გვწყურია და, რა თქმა უნდა, უკეთესი ფილმებიც, მაგრამ ღმერთი იყენებს იმას, რასაც ჩვენ არც ისე კარგს ვუწოდებთ ან საერთოდ უარვეყოფთ. განა არა ვართ უფრო განმსჯელები და ვიწროდ მოაზროვნენი, ვიდრე ცოცხალი ღმერთი? როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა შეიცვალოს?

## ეკლესიის შენობები

თანხა, რაც ეკლესიების მშენებლობაში იდება, მაშინ როცა დედამიწაზე ადამიანები შიმშილსა და სიღატაკეში ცხოვრობენ, ისეთი საკითხია, რასაც ბევრი ვერ გაიგებს. ის კლასობრივი სისტემა, რომელიც თან ახლდა მას მეცხრამეტე საუკუნეში აღემატება ჩვენი დროის ქრისტიანულ სოციალ-რადიკალთა გაგებას. მთელი სისტემები წარმოიშვა ნაწილობრივ ამ პროცესისადმი საპასუხოდ, როგორცაა ხსნის არმია და მეთოდისტები. ამ და სხვა მისმა მსგავსმა მოძრაობებმა საკუთარი რწმენა მსოფლიოში გაავრცელეს და ასე გასინჯეთ თანამედროვე ინდოეთსა და პაკისტანში უზარმაზარი შენობები გვაქვს სასამართლო დავებისთვის, რომლებიც ინგრევა და საშინლად გამოიყურება. თუმცა, დაფიქრდით სანამ იტყვიან, რომ ღმერთი არ მუშაობს დღეს ამ შენობებში დასაქმებული ადამიანების მეშვეობით.

ჩემის აზრით, ზოგიერთ დიდ ეკლესიას ჯერ კიდევ აქვს, არაჯანსაღი მიდრეკილება ლამაზი და განსაკუთრებული შენობებისადმი, რაც ჩემთვის პრობლემას წარმოადგენს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ღმერთისათვის ეს ასე არ არის. თუ გაიგეთ რისი თქმა მსურს? ზოგი ადამიანი ბრაზდება თუ ძველი შენობა გაიყიდება და მეჩეთად გადაკეთდება. პიროვნულად ვფიქრობ,

რომ ღმერთი ადამიანებზე უფრო მეტად წუხს, მუსლიმების ჩათვლით, ვიდრე ძველ შენობებზე. რატომ არ ვაცნობთ ჩვენს მუსლიმ მეზობლებს სახარებას, შეიძლება ამის შესახებ უფრო შეგვეკითხოს ღმერთი. ზოგიერთი ეკლესია დახურვამდე კარგა ხნით ადრე უკვე მკვდარი იყო სულიერად, ათეული წლების წინ წერილის ჭეშმარიტებას ზურგი აქციეს, და რატომ ვწუხვართ? ისეთ ადგილას, როგორც დიდი ბრიტანეთია, ათასობით ახალი ეკლესია და მრავალფეროვანი ქრისტიანული ჯგუფები გვაქვს და დარწმუნებული ვარ, ღმერთის გულში ამ საკითხს უფრო დიდი ადგილი უჭირავს დღეს. ეკლესიის შენობას თავისი ადგილი აქვს და ასევე ნებისმიერი სახის შენობას, მაგრამ ღმერთი სხვადასხვა ადამიანებს სხვადასხვა გზით წარუძღვება და მხოლოდ მცირედზე თუ ექნება გავლენა თანამედროვე კულტურას, მათ შორის საეკლესიო კულტურაც. ძალიან ხშირად ეს გამაღიზიანებლად მეჩვენება, მაგრამ არ მგონია, რომ ეს ასე მნიშვნელოვანი იყოს ღმერთისათვის.

## უნდა ვიყოთ თუ არა ასეთი დოგმატურები?

რამდენად რთულია ჩვენთვის ძლიერი ნების შეწირული ბიბლიის მორწმუნე ქრისტიანისათვის შეცვლა. მაგრამ უნდა გვინდოდეს ცვლილება თუ არასწორნი ვიყავით. დიან, ცვლილებების გარეშე შეიძლება სულიერად გავიყინოთ და არაეფექტურები გავხდეთ, ხშირად კი ახალგაზრდებთან ურთიერთობას ვწყვეტთ. ცვლილებების გარეშე რთულია ხედვისა და მსახურების მომავალი თაობისათვის გადაცემა.

თუ განსაკუთრებული დენომინაციის მიერ ვართ განსწავლულნი, თეოლოგიურ ან ბიბლიის კოლეჯში ეს დიდ გავლენას მოახდენს ჩვენზე. დამთავრებისას, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ყველა საჭირო დოქტრინას მტკიცედ ვფლობთ. ხანდახან ვფიქრობთ, რომ ყველაფერზე გვაქვს პასუხი, ცხოვრებისა და თეოლოგიის ურთულეს შეკითხვებზეც კი. რაც ჩემის აზრით უდიდესი შეცდომაა. უნდა გავაგრძელოთ სწავლა და ზრდა, რაც ხშირ შემთხვევაში ჩვენი შეცდომების აღიარებას ნიშნავს. ქრისტიანული რწმენის მთავარ საფუძვლებში კი შეურყეველნი უნდა ვიყოთ, და მჯერა, რომ უმჯობესია, თუ ძალიან დოგმატურები არ ვიქნებით. თუ ვართ, როგორც ბიბლია ამბობს, „საკუთარ თავზე მეტად შერაცხეთ ერთმანეთი“ (ფილ. 2.3), რის გამოც ვფიქრობ უფრო მეტად უნდა მოვუსმინოთ სხვებს და შეცვლა ვისურვოთ.

წლების მანძილზე იმდენ ადამიანს შევხვედრივარ, რომელთაც არ აინტერესებთ ფაქტი, რომ იესოს მორწმუნე ვარ და მისი

მადლით დახსნილი. მათ ის უფრო აინტერესებთ რეფორმატორი ვარ, ქარიზმატი, არმენიანელი, თუ ბაპტიისტი და სია გრძელდება. დანარჩენებს სურთ იცოდნენ, რას ვფიქრობ ალსასრულზე ან ებრაელებზე, ან ბიბლიის რომელ თარგმანს ვიყენებ. არ ვამბობ, რომ ეს ყველაფერი შეუფერებელი კითხვებია, მაგრამ ნუთუ ეს მართლა სიამოვნებს ღმერთს? ნუთუ ასეთი აზროვნება ღმერთს განაღიძებს, რომ ყოველთვის ისე უნდა იყოს, როგორც ჩვენ გვსურს ყველაზე მეტად? კიდევ არის თუ არა იმედი ჩემნაირი მოხუცი კაცისათვის? თითქმის სამოცი წელია, რაც ბიბლიას ვსწავლობ, ბიბლიის დოქტრინას და დიახ, თეოლოგიას, და ჯერ კიდევ არა ვარ დარწმუნებული რეალურად რა არის ჭეშმარიტება ზოგიერთ საპირისპირო საკითხებზე, რომელთა შესახებაც დიდი წინამძღოლების წიგნები წამიკითხავს და თვითონ ისინი ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს.

მთელი ჩემი ცხოვრება, ის ფაქტი მტანჯავდა, რომ ძალიან ბევრ ბიბლიის შემსწავლელ ადამიანს აღარ სჯერა, რომ ბიბლია ღვთის სიტყვაა. იმას, რაც 1920-იან და 1930-იან წლებში ვაბატონდა ძალიან ბევრ სემინარიასა და კოლეჯში მოიხსენიებენ როგორც „ლიბერალურ თეოლოგიას“. შეიძლება წარმოვიდგინოთ რა გავლენა ექნება ლიბერალურ თეოლოგიას ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, შვეიცარია, ნიდერლანდები და დიახ, ისეთ ქვეყნებშიც როგორიცაა შრილანკა და ინდოეთი და, რაღა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატები? ამ ფაქტის ფონზე, განა ჩვენ, რომელთაც გვჯერა, რომ ბიბლია ერთობისაკენ მოგვიწოდებს, ასეთი მცირე პრობლემების გამო უნდა დავიყოთ? დარწმუნებული ვარ მესიოლოგიის კონცეფციის გაზიარება დაგვეხმარება ამის გაკეთებაში.

უფრო მეტი თავმდაბლობა რომ ყოფილიყო და ნაკლები მაღალდოგმატურობა უმნიშვნელო და საპირისპირო პრობლემებზე, მაშინ ნაკლები ხალხი მოახდენდა ამაზე რეაგირებას და ურწმუნოების მორევში აღარ ჩაიძირებოდნენ. დაბოლოს, ძალიან დოგმატური ადამიანები ხანდახან რწმენას საერთოდ კარგავენ. ისტორია გვიმოწმებს ამის შესახებ და მეც



ერთ-ერთი მოწმე ვარ. რას ვითხოვ? დამოკიდებულების შეცვლას? დიახ! მეტ თავმდაბლობას? დიახ! და განსხვავებულ ხედვას იმისა, თუ რა სურს ღმერთს ჩვენგან და ჩვენი გონებისაგან. რა თქმა უნდა სულიწმიდის მეტი ნაყოფი და ნაკლები არასასურველი დოგმატური შენიშვნები. ნეტავ ოდესმე თუ გავიზიარებთ მკაფიო უწყებას იმის შესახებ, რომ **სიყვარულის** გარეშე **არარანი** ვართ? მაშინ უფრო მეტად მოვუსმენთ და დავაფასებთ განსხვავებული რწმენის ადამიანებს, განსაკუთრებით მათ, რომელთაც ჯერ კიდევ სჯერათ, რომ ბიბლია ღვთის სიტყვაა?

ახლახანს, ერთ-ერთმა ჩვენმა ძველმოღურმა, მაღალდოგმატურმა ავტორმა და მქადაგებელმა გააკიცხა ორმოცდაათიანეული და ქარიზმატული მოძრაობები, რომლებიც ეკლესიის ისტორიის 2000 წლის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოძრაობებია. გასაკვირად, მეორე დიდმა ავტორმა (ხუცესმა) და თეოლოგმა ამ მოსაზრების საწინააღმდეგო წიგნი დაწერა. მე ორივეში ვარ. ჰოი, საკვირველებავ! მე მჯერა, რომ მეორე წიგნი უფრო ახლოს არის ჭეშმარიტებასა და ღვთის გულთან. მას ჰქვია **წმინდა ცეცხლი** (ქარიზმა ჰაუსი, 2014) რ. კენდალის მიერ.

მე ყოველთვის ვწერდი ექსტრემიზმის წინააღმდეგ და მრავალი ორმოცდაათიანელი, მათ შორის, ლიი გრადი ქრისტიანული ჟურნალი, და ქრისტეს სხეულის ეს ნაწილი, როგორც ჩანს, მოწყვლადია ამ საკითხზე უმნიშვნელო საუბრისასაც. მაგრამ ჩემის აზრით ისინი ერთ-ერთ ყველაზე ერთგულ მოძრაობას წარმოადგენენ (დენომინაციებისა და ეკლესიების არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებით) და იმისი მყარი რწმენით, რომ ბიბლია არის ღვთის სიტყვა და საჭიროა სახარების ერთგული ქადაგება. სწორედ ამიტომ **მილიონობით** ადამიანი მივიდა ქრისტესთან მათი ძალისხმევითა და ლოცვების პასუხად. დიახ, ისინი ხშირად ამატებენ სხვა სწავლებებს, რომელთაგან ზოგიერთი არასწორად მიმაჩნია. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ანალოგიური შეიძლება ითქვას ეკლესიების უმრავლესობასა და მოძრაობებზე მთელი ისტორიის მანძილზე. რა თქმა უნდა, ღმერთი თავისი წყალობით ამ ყველაფერშიც

დაიხსნის ადამიანებს და ვფიქრობ, რომ **ადამიანების** დახსნას უპირველესი ადგილი უჭირავს ღვთის გულში. იმისათვის რომ ჩვენი სხვა სწავლებანი წინა პლანზე წამოვწიოთ, რაშიაც ორმოცდაათიანელები წარმატებულები არიან, ჩვენ არ ვაფასებთ **დიდი** ხსნის მნიშვნელობას. რთულია როცა ჩემს ორმოცდაათიანელ და ქარიზმატ მეგობრებს თავს ესხმიან და ამის გამო ეს უკანასკნელნიც ანალოგიურ დოგმატურ ორმოში ცვივიან, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ბიბლიაში განსაკუთრებული სიცხადით არ არის წარმოჩენილი და რაზედაც რწმენის დიდი ადამიანები საუკუნეების განმავლობაში ვერ თანხმდებოდნენ.

ერთი ჯგუფი მეორეს ესხმის ცნობილ ადამიანებზე საშინელი ამბების თხრობით (განსაკუთრებით სატელევიზიო ვარსკვლავებზე), რომლებიც დამარცხდნენ და მნიშვნელოვან საკითხებში შესცოდეს. წლების განმავლობაში ვგრძნობდი, რომ ადამიანს არ შეუძლია ნამდვილად დაამტკიცოს რაღაც-რაღაცეები ქრისტიანებზე საშინელი ისტორიების მოყოლით, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, მათ შორის არსებობდეს თანაფარდობა. ღმერთი გვიბრძანებს ვიფიქროთ იმაზე „რაც ჭეშმარიტია, რაც პატიოსანია, რაც მართალია“ და ასე შემდგომ (ფილ. 4.8). წამყვანმა კონსერვატულმა სამისიონერო საზოგადოებამ თავისი თანამშრომელები ამხილა და ციხეში ჩასხა პედოფილიის ბრალდებით, რაც გულსატკენია, მაგრამ ეს არაფერს ამტკიცებს ამ მისიასა და დანარჩენ ადამიანებზე. სწორედ ამ დილით ვათვალიერებდი დავითის, საულისა და სოლომონის ამბებს. თუ გორდონ მაკდონალდის შესანიშნავ წიგნს *თქვენი დამსხვრეული სამყაროს აღშენებას* წაიკითხავთ, დაინახავთ, რომ ძველი აღთქმის წმინდანების უმეტესობას თავს გადახდა, რასაც ის „დანგრეული ქვეყნიერების გამოცდილებას“ უწოდებს. დიახ, მრავალი სფეროა, სადაც ძლიერები უნდა ვიყოთ და შეუცვლელნი (როგორიც სიტყვის დოგმაა), მაგრამ მოდი, ყოველთვის თავმდაბალნი, სწავლების

მიმდებნი და ცვლილებისათვის მზადყოფნი ვიყოთ და ვეცადოთ **ქრისტეს დავემსგავსოთ**.

მხოლოდ ჩვენი სამსახურიდან გამომდინარე ვზრუნავთ ადამიანებზე, თუ ჩვენს გულებში მიმდინარე რევოლუციური მადლის გამო? რასაც შემდეგ შეკითხვამდე მივყავარ? ძირითადად მაშინ ვზრუნავთ ადამიანებზე როცა ჩვენი ორგანიზაციის წევრები არიან და ორგანიზაციიდან წასვლის რამოდენიმე წლის შემდეგ მათი სახელებიც აღარ გვახსოვს, თუ ვაღდებულებას ვიღებთ, რომ გვეყვარებიან და ვიზრუნებთ მათზე, მიუხედავად იმისა, სად წავიდნენ? ჩემი გამოკვლევები აჩვენებს, რომ ორგანიზაციიდან თუ მსახურებიდან წასვლის შემდეგ ადამიანები ძალიან დავიწყებულად გრძნობენ თავს. ოჰ, რამდენად კარგად იცის ეშმაკმა როგორ გამოიყენოს ეს. ის ცდილობს მათ დარწმუნებას, რომ ორგანიზაციიდან მხოლოდ გამოიყენა ისინი. ადამიანების უმეტესობა ამბობს, რომ დრო არ აქვთ იმდენ ხალხთან კონტაქტის შესანარჩუნებლად, მაგრამ როცა ადამიანების ცხოვრებას ვსწავლობ და ვხედავ, როგორ უქმად კარგავენ დროს, ლამის გავვიჟღე. ჩვენთვის ძალზე ძნელია, თვალი გავუხსწოროთ საკუთარ ეგოიზმს და ჩვენში დინამიური, მიმტევებელი და პრაქტიკული სიყვარულის ნაკლებობას. ამას ჩემთვისაც ვწერ ვინაიდან მე პილიგრიმიც ვარ, მარცხიანი კაციც და მოსწავლევც.

## თავი 7

# რომანსი, ქორწინება, ფული და უფრო მეტი მონყალება

ვფიქრობ ცამეტი წლის ასაკში, რომანსს ჩემს ცხოვრებაში დიდი ადგილი დაეთმო, მხოლოდ სპორტი და ფულის კეთება უწყევდა კონკურენციას. პირველი გოგონა, რომელთანაც პაემანზე წავედი, ჩემი საუკეთესო მეგობარი გახდა. მგონი, ცეკვის გაკვეთილების შემდეგ ფილმ *ქუი ვადისის* სანახავად წავედი და მხოლოდ მარადიულობას შეუძლია იმაზე პასუხის გაცემა, თუ როგორი გავლენა მოახდინა ამ ფილმმა ჩემს ახალგაზრდულ ცხოვრებაზე. იმ დროს, ქალბატონმა კლაპმა, ვინც ჩემი საშუალო სკოლის გადაღმა ცხოვრობდა, ჩემი სახელი თავის „სულიწმიდის ჰიტების სიაში“ ჩაწერა და არა მხოლოდ ლოცულობდა, რომ ქრისტიანი გავმხდარიყავი, არამედ მისიონერიც. ასეა, მან ეს საკითხი ჩემთანაც კი არ შეათანხმა! სინამდვილეში მე, სხვა გეგმები მქონდა ცხოვრებაში. რაღაც საქმეში ვიყავი ჩართული და ამ კარიერას მინდოდა გავყოლოდი.

ერთმა შესანიშნავმა გოგონამ, სახელად ლინმა, დიდი გავლენა მოახდინა ჩემს ცხოვრებაზე. ლინი ბაპტისტურ ეკლესიაში დადიოდა, მე კი წარმოდგენაც არ მქონდა ეს რას ნიშნავდა. მახსოვს ნათლობის ადგილი მაჩვენა, რაც უცნაურად მეჩვენებოდა. მისი მშობლები გავიცანი და დიდ პატივსაც ვცემდი; მათაც დიდი გავლენა მოახდინეს ჩემს ცხოვრებაზე. ლინი და მე ერთად ვცეკვავდით, ხანდახან ერთმანეთს ვკოცნიდით და ამის გარდა სხვა არაფერი მომხდარა ჩვენს შორის, რის გამოც მადლობელი ვარ მისი ამ გადასახედოდან.

მას შემდეგ, რაც ერთმანეთს დავშორდით, მრავალი სხვა გოგონა შემოვიდა ჩემს რომანტიკულ სივრცეში და ვწუხვარ, რომ იმ დროს, რაღაცნაირად, ეგრეთ წოდებულ მსუბუქი პორნოგრაფიისა და ცდუნების სამყაროში შევედი. ეს ის დრო იყო, როდესაც ქალბატონი კლაპისა და მისი ვაჟის, დენის, მიერ გამოგზავნილი იოანეს სახარება შემთიჟრა ჩემს ცხოვრებაში. ჩემს ნახევრად ლიბერალურ რეფორმაციულ ეკლესიაში ერთი ღვთისმოსავი საკვირაო სკოლის მასწავლებელი მყავდა, რომელიც თითქმის იელოვას მორწმუნე გახდა, მაგრამ დოქტორ დეჰანის ქადაგებებითა და რადიო მსახურების მეშვეობით გახდა მორწმუნე, შედეგად ამან ჩემზეც იქონია გავლენა. ჩემი მოქცევის შემდეგ იგი ჩემი საუკეთესი მეგობარი გახდა მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, ფრედ გნეიდი. განსაკუთრებით მახსოვს მისი პატარა და, შერლი, ჩემი ბავშვობის კარის მეზობელი ვან ჰაუტენ ავენიუდან, უიკოფში, ნიუ ჯერსი. ის იყო პირველი გოგონა, რომელსაც ვაკოცე, იმ დროს ორივე ალბათ ექვსი წლის ვიქნებოდით.

ესო ქრისტემ, მედისონის სქვერ გარდენმა, ბილი გრემმა და 1955 წლის 3 მარტმა სრულიად შემცვალეს მე. იმ დამით ზეციდან დავიბადე და ცვლილებებიც დაიწყო. იმ დღეების შესახებ შეგიძლიათ, წაიკითხოთ ოემის ოფიციალურ ისტორიაში, იან რანდელის *სულიერი რეკოლუცია* (ათენტური მედია, 2008). ჯერ ახალი ვიყავი ღვთის ოჯახში და მალე აღმოვაჩინე, რამდენად განსხვავებულები იყვნენ და რამდენი წესი შემოუტანიათ თამაშში. როგორც ჩანდა, ამიერიდან უფლება აღარ მქონდა ცეკვის და კოცნის, მაგრამ ამის შესახებ ბიბლიაში მუხლი ვერ ვიპოვე და მეც ორივეს კეთება გავაგრძელე.

17 წლის ვიყავი, მაგრამ საკუთარი მანქანა მყავდა (ჰენრი ჯეი-ვაუ, ეს ნამდვილად სასურველ ბიჭად წარმომაჩენდა). საშუალო სკოლას ვამთავრებდი, როცა ერთმა გოგომ, სხელად მარგომ თავზარი დამცა, ის ჩემზე ახალგაზრდა იყო და ეპისკოპალურ ეკლესიაში დადიოდა. ღმერთის სიტყვის კითხვისას იმ სკოლის ევანგელიზაციისაკენ მომიწოდებდა, სადაც სტუდენტთა

სამეურვეო საბჭოს პრეზიდენტად ამირჩიეს. ეროვნული ღირსების საზოგადოება არ მიღებდა ჩემი სისულელის გამო და კლოუნით ვიქცეოდი, მაგრამ იმ ბოლო წელს ჩემი ცხოვრება ისე შეიცვალა, რომ საზოგადოების წევრად მიმიღეს, რაც ძალიან დიდ რამეს ნიშნავდა იმ დროს. მაშინ მართლა სისულელე ჩავიდინე, მანქანა გზიდან გადავყენე და მე და მარგომ ერთმანეთის კოცნა დავიწყეთ. როგორც კი ცოტა შორს შევტოპე, პოლიციამ ფანჯარაზე დააკაკუნა და, შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ არ მახსოვს, რა თქვა ოფიცერმა. პანიკაში ჩავვარდი, მანქანა ორმოში ჩავაგდე და ვეღარ ამომყავდა. ის დამე ყველაზე საშინელი იყო ჩემს ახალგაზრდულ წლებში, რადგან მამამისი მოვიდა ჩვენს საშველად, ცოტა არ იყოს, გადაკრულში ჩანდა და ისეთ რამეში დამდო ბრალი, რაც არ გამიკეთებია და მალე ურთიერთობაც დასრულდა. ძალიან ვწუხდი იმ ახალგაზრდა გოგონას გამო, ასეთი ზიანი რომ მივაყენე, მაგრამ მალე მისი ასავალ-დასავალი ვეღარ ვიპოვე.

ერთ-ერთი ანალოგიური შემთხვევა დამემართა ეკლესიის ავტოპარკზე, რამაც წერტილი დაუსვა ჩემს ცხოვრებაში რომანსებს; დარწმუნებული ვარ იმიტომ, რომ ხალხი ლოცულობდა ჩემთვის. გადავწყვიტე „ემემარხულა,“ არც პაემნები და არც კოცნები (ბალიში შეიძლება), ასე თითქმის ორი წელი გაგრძელდა. ამის შემდეგ დრენას ვხვდებოდი, ვინც ჩემი ცოლი გახდა.

მარივილის კოლეჯში წასვლა გადავწყვიტე, რადგან ლანჩის შემდეგ ყოველ დღე ცეკვა ჰქონდათ. სადაც არასოდეს მიცეკვია და არც პაემანზე წავსულვარ, სწორედ იქ დაიწყე ჩემი ქრისტიანული ზრდა. ზოგიერთები ამბობდნენ, რომ ქრისტეს მოშურნე გავხდი. როგორც კი ერთი საათი მაინც მომეცემოდა სწავლის შემდეგ ან ევანგელიზაციას ვეწეოდი ან ვლოცულობდი, ბიბლიას ვკითხულობდი და ქრისტიანულ შეხვედრებზე დავდიოდი. საოცარია, ერთმა სოფლის ბაპტისტური ეკლესიის ხუცესმა ქადაგების ნება დამართო. შემდეგ მსახურების გზაც გაიხსნა ბლაუნტ ქანთრის

საპატიმროში, როცა 18 წლის ვიყავი; გაიხსნა კარი ღმერთის სიტყვის გასაზიარებლად ნაშვილის კავშირის ციხეში. შესანიშნავი წიგნები ჩამივარდა ხელთ, როგორებიცაა *სულელებისათვის წუხილი* (მელხი, 1986) ოსვალდ სმისის და *ბრწყინვალეების კარში* (აუთენტური მედია, 2005) ელიზაბეტ ელიოტის მიერ და სხვა მრავალი. დიდი გავლენა მოახდინა კურსის გაძღოლამ თემაზე, თუ როგორ მივიყვანოთ ხალხი ქრისტესთან. როცა იმავე ბაპტისტმა ხუცესმა წამიყვანა ჩემთვის პირველ მისიონერთა კონფერენციაზე, ჩატანოგაში, ტენესის ტაძრის ბიბლიის კოლეჯში, რის შემდეგაც იგივე აღარასოდეს ვყოფილვარ. მოქცევამდე, იოანეს სახარებისა და ჯიბის სახარების ლიგის გამო, რომელმაც გამოსცა და გაავრცელა იგი, მინდოდა ყველა მენახა და ყველგან ჰქონოდათ ეს წიგნი. როგორც „ყრმა“ ქრისტიანმა 1000 საშუალო სკოლის სტუდენტი დავითანხმე, რომ წაიკითხავდნენ ამ წიგნს. როცა გავიგე, რომ მსოფლიოს ხალხებს, განსაკუთრებით კი მუსლიმებს, არ სმენიათ სახარების შესახებ, ჩემს გულსა და გონებაში მომწიფება დაიწყო აზრებმა, თუ როგორ შეიძლებოდა მათი მიწვდომა. როცა ფინანსების სასწრაფო საჭიროება გავაცნობიერე, ყველაფრის გაყიდვა დავიწყე, რაც კი შემემლო და მსოფლიო მისიას გადავეცი სრული თანხა. მეტი დაფინანსების მიზნით ოფიციალტად დავიწყე მუშაობა კოლეჯის რესტორანში. ეს იმ დროს ხდებოდა, როცა პირველად 1957 წელს მექსიკაში წავედი. მალე ღარიბ ესპანელებს ვესაუბრებოდი და ნანახისა და სხვა ფაქტორების ზემოქმედების გამო გადავწყვიტე ლიბერალური ხელოვნების მარივილის კოლეჯის და ჩიკაგოში მუდის ბიბლიის ინსტიტუტში წავსულიყავი. განსაკუთრებით მინდოდა დიდ ქალაქში ცხოვრება და ევანგელიზაცია. ჩემს ქალაქთან ახლოს, ნიუ იორკში გავუსინჯე პირველად გემო ასეთ ევანგელიზაციას, სადაც ათასობით ბროშურა დავარივე მიწისქვეშა გასასვლელებში და შემდეგ, მექსიკაში წასვლამდე, ბილი გრეემის ცნობილ კამპანიაში მივიღე მონაწილეობა. ქუჩებშიც კი ვქადაგებდი.

მუდის ბიბლიის ინსტიტუტში ჩასვლა შოკის მომგვრელი იყო, განსაკუთრებით ამდენი მომხიბვლელი გოგონას ნახვა. პირველ კვირებში რამოდენიმე მათგანმა განსაკუთრებით მიმიზიდა, მაგრამ ჩემს პირობას ვიცავდი და რომანსის შესახებ მარხვას ვინახავდი. ახლა რომ ვფიქრობ ამაზე, ასე მგონია, ვინმესთვის კიდევ რომ მეკოცნა, ქინჯ ჯეიმსის დიდ ბიბლიას ჩამსცხებდნენ თავში! რა თქმა უნდა მუდის ინსტიტუტს თავისი წესების წიგნი ჰქონდა და, როგორც ჩანს, ყველაფერზე მკაცრი წესები ვრცელდებოდა.

ჩემი ევანგელიზაციისადმი მოწოდებამ მუდის ოფისიდან ფილმის წამოსაღებად მეშვიდე თუ მერვე სართულზე ამიყვანა; წარმოდგენაც კი არ მქონდა რომ ეს დღე, ჩემი ცხოვრების შეცვლის დღე იყო. დრენა იჯდა ამ ოფისში პასუხისმგებელ პირად. როგორც კი დავინახე, მაშინვე ჩემი რომანტიკული გრძნობები აიშალა, მარხვა შევწვიტე და სამიზნისაკენ დავიძარი. ჩემთვის ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება, მაგრამ როგორც კი რაღაც სულელური ვთქვი, მისთვის ეს იყო შიში პირველი დანახვისთანავე! არაფერი მომხდარა, მაგრამ შეხვედრაზე დამთანხმდა. სწორედ მაშინ ვუთხარი: „შესაძლოა არაფერი მოხდეს ჩვენს შორის, მაგრამ თუ დავქორწინდით, უნდა გესმოდეს, რომ მე მისიონერობას ვაპირებ და, შესაძლოა, კანიბალებმა შეგჭამონ ახალ გვინეაში.“ მექსიკაში რთული ზაფხულის ერთად გატარების შემდეგ, თუ როგორ დათანხმდა ის ჩემთან ქორწინებას დიდი ისტორიაა. მექსიკაში მართლ დავტოვე და მუდის ინსტიტუტში დავბრუნდი. რაც იმით დასრულდა, რომ ჩემს საუკეთესო მეგობარს შეუყვარდა და დამირეკა ხომ არაფერი დაშავდებოდა ცოლად რომ შეერთო. ამან სერიოზულ მარხვასა და ლოცვაში ჩამაყენა. დრენას დავურეკე თუ არა მექსიკიდან ჩიკაგოში ჩამოვიდა ავტობუსით.

ამ ყველაფერში დამნაშავე ვიყავი ჩემი პრაქტიკული სიყვარულისა და მგრძნობელობის ნაკლის გამო. დრენაც აცნობიერებდა თავის გრძნობებსა და ღრმა საჭიროებებს. ჩვენი ნიშნობა ჩაიმლებოდა, რომ არა დრენას ქრისტეში სიღრმისეული



გამოცდილება, როცა ლოცვისას გააცნობიერა, რომ იესო ყველა ჩვენს მოთხოვნასა და საჭიროებას აკმაყოფილებს. ეს ფიზიკური განკურნებისაკენაც წარუძღვა, რაც დიდი ხანია აწუნებდა.

ჩვენ არასოდეს დაგვაზიწდება ის დიდი დღე, 1960 წლის 31 იანვარი, როცა დავქორწინდით. მდიდრული არაფერი გვქონდა, გახსოვდეთ, რომ დრენას მამინაცვალის ქრისტიანი არ იყო. მისი იესოსთან მისვლა, მრავალი წლის შემდეგ მოხდა, რისი მაღლიერნიც ვართ ღმერთის. საკვირაო მსახურების შემდეგ გვქონდა ცერემონია ლეიქ დრაივის ბაპტიტურ ეკლესიაში. მათ საკუთარი შენობა არ ჰქონდათ, და სკოლის გიმნაზიაში იკრიბებოდნენ. ვალტერ ბორჩარდი იყო ჩემი მეჯვარე. ჩვენი მეგობრები, ძირითადად მუდის სტუდენტები, ავტობუსით ჩამოვიდნენ ჩიკაგოდან. დეილმა ძლიერი სიტყვა წარმოთქვა მიღებისას, და თქვა რომ ყველაზე საუკეთესო, რისი გაკეთებაც მათ შეეძლოთ ჩვენთვის, იყო ლოცვა, რომ ჩვენ ალბათ გავყვიდიდით საჩუქრებს მსოფლიო მისიების დახმარებისთვის. რა კარგი იქნებოდა, რომ არ დაგვეკარგა ეს „ბაბინაზე“ არსებული ჩანაწერი.

ჩვენი ქორწინებიდან 55 წელი გავიდა. შესაძლოა, ჩვენი გამოცდილება მკითხველს რაიმეში წაადგეს. 1970-იან წლებში, ქორწინების შესახებ წიგნის დაწერას ვაპირებდი და გადავწყვიტე, წიგნისათვის დამერქმია, *რეგოლაციური ქორწინება*, წარწერაც გავამზადე, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ჯერ ჩვენი ქორწინების შესახებ უფრო მეტი უნდა მესწავლა ვიდრე წიგნს დაწერდი. აი, რამოდენიმე მაგალითი რაც ჩვენი ქორწინების განმავლობაში ვისწავლე:

1. ჩვენი ქორწინება დამყარებულია ბიბლიაზე. ეს არის ჩვენი ქორწინების პრაქტიკული ფუნდამენტი, ყოველთვის გვსურდა ქრისტე ყოფილიყო ყველაფრის გულში. მექსიკის წიგნების მაღაზიის უკანა ოთახებში იატაკზე ცხოვრებისას მივხვდი, რომ ქორწინება იყო ღმერთის განწმენდის პროგრამაში მიღებული ხარისხი. ვკითხულობთ „გამოღვიძება სახლში,“

როი ჰესიონის *გოლგოთის გზის* ერთ-ერთ თავს და უფრო მეტს ვსწავლობთ მსხვერვის, დამცირების, სულით-აღვსებისა და ჯვარცმული ცხოვრების შესახებ. მთელი ამ წლების მანძილზე, ყოველთვის ვხედავდი და ვგრძნობდი, რომ სწორი პიროვნება იყო ჩემი ცხოვრების პარტნიორი და ღვთის მადლით სრულიად ერთგულები ვიყავით ერთმანეთისადმი, რაც ახლა ბევრს სასაცილოდ ეჩვენება. ბიბლიიდან ჩვენ სხვა ალტერნატივას ვერ ვხედავდით. სცენის შუაგულში დაკარგული ადამიანებისა და მათი მიწვედომის საჭიროების გამოტანა, ჩვენი ყოველდღიური საზრუნავი გახლდათ.

2. სიყვარულის რევოლუციის იდეა, რის შესახებაც ჩვენ ვწერდით და ვქადაგებდით დაპრაქტიკულ განხორციელებასაც ვცდილობდით 1 კორ. 13 თავისა და სხვა ადგილების საფუძველზე, ჩვენი ქორწინების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენდა. მე განსაკუთრებით ვიხრებოდი ექსტრემიზმისა და არამგრძობლობისაკენ, რაც ღმერთს უნდა დაემსხვრია და მოეგვარებინა ჩემში. მოუთმენლობა მთელი ჩემი ცხოვრების პრობლემად მექცა. ცოდვისადმი და ყოველგვარი სახის სიამაყისადმი სიძულვილი დამეხმარა, მესწავლა თავმდაბლობა და სწრაფი მონანიება. მადლის სასწაული, რამაც გამათავისუფლა სიბრაზისაგან ღმერთთან ყოფნის ადრეულ წლებში, იყო მთავარი ფაქტორი ჩვენს ერთობლივ ცხოვრებაში და ჩემი მოძრაობის ხელმძღვანელობის საქმეში. ხანდახან მაინც იყო ჩავარდნები, რაც სწრაფად უნდა მოგვენანიებინა, მაგრამ დღემდე გული მტკივა იმ შემთხვევების გამო, როცა ცოლს და, მოგვიანებით კი, შვილებს გულს ვტკენდი განრისხებით ან არასასურველი სიტყვებით. ესპანეთიდან ინგლისში ჩასვლისას ბენჯამინის, ჩვენი პირველი ვაჟის, დაბადება დიდი ნაბიჯი იყო ჩვენთვის. იმ დროს, ბილი გრეემის მნიშვნელოვან ნაშრომს ვკითხულობდით *შვიდი სასიკვდილო ცოდვისაგან გაათავისუფლება* (ზონდერვანი, 1963), რომელიც თავმდაბლობაში დამეხმარა და როგორი მადლიერი ვარ

ღმერთის რომ იცოდეთ. როგორც უკვე ავღნიშნე, მის რადიო ქადაგებებსაც ყოველთვის ვკითხულობდი, როგორც ახალგაზრდა ქრისტიანი. მის სხვა წიგნებშიც, როგორებიცაა *მშვიდობა ღმერთთან და ბედნიერების საიდუმლო* (ტომას ნელსონი, 2002), ჩემი ცხოვრების საფუძველი დევს.

3. ჩვენს სურვილს, მივწვდომოდით ადამიანებს ღვთის სიტყვით ადგილზე იქნებოდა ეს თუ მსოფლიოში, რაც შერწყმული იყო ახალი სამისიონერო მოძრაობის დაწყებასთან, ყოველთვის მოჰქონდა ფინანსური ზეწოლა და გამოწვევები და უკიდურესობამდე მივყავდი, რასაც, როგორც ჩანს, ღმერთი იყენებდა, და რაც ზოგიერთებისათვის დამაბნეველი იყო, მათ შორის ხანდახან ჩემი მეუღლისათვისაც. მე ხაზს ვუსვამდი ლუკ. 14.33 „ვინც უარს არ იტყვის ყოველივეზე, რაც ახალია, ვერ შეძლებს ჩემს მოწაფეობას.“ ეს გამოწვევა ჩვენი საკუთრების მეტი ნაწილის გაყიდვისაკენ წაგვიძღვა. ზოგიერთებიც გამოგვეყენენ ამაში, მაგრამ ხანდახან ჩვენი საქციელი ვაკიცხვის საგანი ხდებოდა მათი მხრიდან, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ეს იყო ფულის ფლანგვა. ბალანსი გვეჭირდებოდა, რასაც ფილიპ. 4.19 უზრუნველყოფდა. და ჩვენც დავიწყეთ იმ საიდუმლოს შესწავლა, თუ როგორ შეიძლება კარგ საქმეს ცუდი მხარეც ჰქონდეს. და ნაცრისფერმა დაიწყო ჩვენს შავსა და თეთრ სამყაროში შემოჭრა და მას შემდეგ ასე გრძელდება. შეგვიძლიათ გამოიცნოთ, თუ რატომ იყო რომ. მე- 11 თავი ჩვენთვის ასე მნიშვნელოვანი?

*ო, ღვთის სიმდიდრეთა და სიბრძნისა და შემეცნების სიღრმე! რა ჩაუწვდომელი არიან მისი სამართალნი და მიუკვლეველნი მისი გზები! რადგან ვინ შეიცნო უფლის გონება? ვინ იყო მისი ძრჩეველი? ან წინასწარ ვინ მისცა მას, რომ მიუზღოს? რადგან ყოველივე მისგან, მის მიერ და მის მიმართ არის. მას დიდება უკუნისამდე, ამინ.*

4. ყველაზე დიდი საიდუმლო ჩვენი ქორწინების გზაზე იყო უპასუხო ლოცვები, ისეთ მძიმე საკითხებზეც კი, რომლებზე საუბარიც მიჭირს. დიდი უიმედობის შემოტევისთან გასამკლავებლად ბრძოლა დავიწყეთ, რაც ხშირად იმედგაცრუებასთან იყო კავშირში. ინდოეთში სამ შვილთან ერთად ცხოვრების წლებში, კატმანდუში, ნეპალში და შემდეგ ლოგოსზე, დიდი შესაძლებლობა მოგვეცა სწავლისა და ერთად გაზრდისათვის. დრენას დახმარებას და მოწონებას ვგრძნობდი და ძალიან იშვიათად თუ მახსოვს მისი წუწუნი, ბრძოლის შუაგულშიაც კი.
5. დებრესია მაინც მოვიდა დრენას ცხოვრებაში 1970-იან წლებში, რამაც ყველა გაგვაოცა. ერთმა ქალმა შენიშვნაც კი მომცა და მითხრა, რომ ალბათ მე ვიყავი ამ საქმეში ნაწილობრივ დამნაშავე. ღმერთი შემეხო და დამანახვა ჩემს ცხოვრებაში ცვლილებების საჭიროება, როგორ ვიქცეოდი როგორც ქმარი და მამა. ერთი წლის შემდეგ, დრენა გამოვიდა ამ ბნელი პერიოდიდან და უკან აღარასოდეს დაბრუნებულა. ვწუხვართ, რომ ასეთი კომპლექსური დაავადების შესახებ ძალიან გაუბრალოებულ პასუხებს იძლევიან ქრისტიანები და წიგნებიც კი და, ჩემის აზრით, განკურნებაზე ექსტრემალურ სწავლებას (და დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი კურნავს) უფრო დაუზიანებია ადამიანები და მთლიანად ქრისტეს სხეული, ვიდრე ამას ოდესმე წარმოვიდგენთ. ამერიკაში, ერთი ეკლესია ზღვრამდე მივიდა და გამოაცხადა „არასოდეს ექიმები!“ გახსნა საკუთარი სასაფლაო, სადაც ოცდახუთი წლის წინ სამოცდაათამდე ადამიანი იყო დასაფლავებული, უმეტესად ბავშვები.
6. კრიტიკასთან გამკლავება მნიშვნელოვანი გამოწვევაა ხელმძღვანელობისათვის, ეს ხანდახან ძალიან მიჭირდა და პიროვნულ ტკივილს მაცენებდა. თითქმის არასოდეს მსმენია ჩვენი ქორწინების ან ჩემი ცოლის კრიტიკა, მაგრამ მიჭირდა

იმის გამკლავება რაც გაგვიგია, ხშირად მეორე პირის მეშვეობით. თქვენი წინამძღოლობა და ღმერთთან სიარული ძირითადად თქვენი ქორწინების კრიტიკის შედეგად გამოიცილება. ვფიქრობ, რომ ღვთის წყალობით ჩვენ არასოდეს მოგვისმენია ყველაზე საშინელი ჭორი და კრიტიკა უშუალოდ, ეს ალბათ იმიტომ, რომ მსოფლიოს ევანგელიზაციის საქმეში ვართ ჩართულები. მე ყოველთვის კურთხეული ვიყავი ისეთი ლოიალური მეგობრებით, როგორებიც არიან დეილ ნორტონი და პიტერ მეიდენი და სხვები, რომლებიც ვიცი, რომ ხშირად გამოსულან ჩემს დასაცავად. გაცილებით რთული იქნება ხელმძღვანელებისათვის ასეთი მეგობრებისა და თანამშრომელების არ ყოლა.

7. დღევანდელი გადასახედიდან ვაცნობიერებ, რომ ძალიან ბევრი ვისწავლე ჩემი გაკრიტიკებიდან და იმ მეგობრებიდან, რომლებმაც ჩემთან ერთად ცხოვრებასა და მსახურებაში სვლისას დაინახეს ის, რასაც შეცვლა სჭირდებოდა. ღმერთმა დაგვანახა თავის სიტყვასა და ქრისტიანულ წიგნებში, რომ შეუძლებელია რაიმეს გაკეთება კრიტიკის გარეშე. ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით გვევარებოდა ჩვენი გამკრიტიკებლები და ღმერთს მათ კურთხევას ვთხოვდით. არასოდეს გაუუკვირვებიათ ჭორის ძალას. სიძარბოვით ისაა, რომ გვიხაროდა და გვიხარია და კმაყოფილნი ვართ უმეტეს შემთხვევებში, იმ უნიკალურ წლებშიც კი, როცა ჯანმრთელობის მდგომარეობა ასაკმა შეცვალა. იბლბიანები ვართ, რომ ამდენი ხალხი ლოცულობს ჩვენთვის და ამ წიგნის მკითხველთაგან ბევრი მათ კატეგორიაში ხართ. მადლობას გიხდით მთელი გულით და იმედი გვაქვს, რომ ლოცვას გააგრძელებთ.
8. ბალანსი გახდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვა ჩვენს ცხოვრებაში. ბალანსი სამსახურსა და ოჯახს შორის. ბალანსი მიღებასა და გაცემაში. ბალანსი გაცემასა და

მიღებაში. ბალანსი დამატებით სახარების გავრცელების საქმის გაკეთებასა და ამ საქმისავე შენელებაში ოჯახური დროის ერთად მხიარულად გატარების მიზნით. ჩემს ძველ ბიბლიაში სია მქონდა, რომელიც კარგად მეხმარებოდა ბალანსის შენარჩუნებაში. ერთ-ერთ ჩემს ძველ წიგნს ეს სათაური ჰქონდა *სიყვარულისა და ბალანსის რეეოლოგია*.

9. შვილები და შვილიშვილები ყოველთვის გეხმარებიან ცხოვრების შეცვლაში. მაღლიერნი ვართ ღმერთის ჩვენი სამი შვილისა და ხუთი შვილიშვილის გამო. ამ დროს ყველა არ არის იესო ქრისტეს მიმდევარი, მაგრამ ჩვენ გვიყვარს ისინი და ვცდილობთ, საუკეთესო მშობლები და პაპა-ბებიები ვიყოთ. შესანიშნავ და საოცარ დროს ვატარებთ ერთად მოგზაურობებისა და არდადეგების ჩათვლით. გულწრფელად რომ ვთქვა, გაცნობიერებული გვაქვს მარცხი და ვალიარებთ რასაც ვუწოდებდი შეუმჩნეველ „არარეალურ დამანგრეველ იდეალიზმს.“ როცა ისეთ მაღალ გეგმებს დავისახავთ როგორიც ჩვენ გვაქვს, დავმარცხდებით. ზოგიერთი არაქრისტიანი ადამიანი ამას მარცხად არც მიიჩნევდა. სწორედ ამიტომ არის ფილიპ იანსეის წიგნის მსგავსი წიგნები *რატომ არის ასეთი საოცარი მაღლი?* (ზონდერვანი, 2002) და სვინდოლის *მაღლის გაღვიძება* ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენთვის. და რაღა შეიძლება ითქვას რაგამოფინ გოსპელის *განახლებული სუნთქვის* შესახებ (მალტნომაჰი, 2005) ბრენან მანინგის ავტორობით, ვინც ახლახანს წავიდა ღმერთთან? იმ ადრეულ დღეებში ლეგალიზმი შემოვიდა ჩვენს მოძრაობაში და ჩვენს სახლშიც და ზიანი მოიტანა ზოგიერთ საკითხში. ახლა 1 პეტ. 5:7 უნდა გავატაროთ პრაქტიკაში „მიანდეთ თქვენი ყოველი საზრუნავი მას,“ რადგან ის ზრუნავს თქვენზე და მიიღეთ მისი პატიება. **რადიკალური** მიტევების გარეშე, რადიკალური მოწაფეობა ვერასოდეს იმოქმედებს.

## შეცდომების საზღაური

მე ვალში ვარ ჩემს მშობლებთან, რომლებიც, შესაძლოა, ჩემს ბავშვობაში იესოს პირადად არ იცნობდნენ, მაგრამ ბევრი ქრისტიანული ფასეულობა ჰქონდათ და მცდარისა და სწორის გარჩევა გვასწავლეს. მასწავლეს მუყაითად შრომა პატარა ასაკიდანვე, რამაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საფუძველი ჩაუყარა ჩემს ცხოვრებას ქრისტეში მოსვლამდე. სკოლაში კარგი სწავლა, სპორტი და სკაუტების მოძრაობა იმაზე მეტად დამეხმარა ვიდრე ეს წარმომიდგენია. საკაუტებმა დაწინაურებული ხელმძღვანელების ტრენინგებზე გამაგზავნეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. მითხარით, მამზადებდა თუ არა ცოცხალი ღმერთი მაშინ იმისათვის, რასაც მე იმ ასაკში ვერც კი წარმოვიდგენდი?

მალე ვისწავლე, რომ შეცდომები ფასის გადახდას მოითხოვს და არაერთგზის მომიტანა სიძნელეები. ბავშვობაში შეცდომა დავუშვი, ერთპენიანი ცხვირში შევიგდე და შემთხვევით გადავყლაპე. დედაჩემმა დაიჟინა, რომ სახლში უნდა დაგებრუნებულიყავი სკოლიდან რამდენჯერაც ტუალეტში წასვლა მომიხდებოდა. ვაშინგტონის დაწყებითი სკოლა სახლთან ახლოს იყო 243 ვან ჰაუტენ ავენიუზე, უიკოფში, ნიუ ჯერსი და ერთპენიანი უკან დავიბრუნეთ! შემდეგი შეცდომა გაყინულ ტბაზე სრიალისას დავუშვი და გაყინულ წყალში ჩავვარდი. ვიდაცამ ხელი ჩამავლო და წყლიდან ამომიყვანა. ჩვენ ვიცნობთ ადამიანებს, რომელთაც ასეთი შეცდომები ჩაიდინეს და დღეს ცოცხლები აღარ არიან.

მთელი ჩემი ცხოვრება, განსაკუთრებით იესოს მიმდევრად გახდომის შემდეგ, ბეჯით მკითხველად ვიქეცი. წიგნების, გაზეთების, ჟურნალების, სტატიების, ახლა კი იმეულებისა და ბმულების უსასრულო კითხვაზე გადავედი. ფილმებმა, დივიდომ, განსაკუთრებით დოკუმენტურმა ფილმებმა, უდიდესი დახმარება გამიწია. არც ერთი წიგნი ბიბლიაზე მნიშვნელოვანი არ არის, და მჯერა, რომ იგი ღვთის სიტყვაა. ბიბლია სავესეა დიდი წარმატებებისა და მარცხის ისტორიებით და ორივე მაგალითიდან უნდა ვისწავლოთ.

მნიშვნელობა არა აქვს, რას კითხულობთ, ყოველთვის შეხვდებით ადამიანების შეცდომებს. ვფიქრობ, როგორც იესოს მიმდევრებს, უნდა გვესმოდეს, რომ ყველა შეცდომა ცოდვა არ არის. შესაძლოა მათ ჩვენს დაცემულ ბუნებაში აქვთ ფესვები, მაგრამ ყოველთვის მოსანანიებელი ცოდვა არ არის. სატანას უყვარს ჩვენი დანარცხება და საკუთარი თავისადმი უკიდურესი სიმკაცრის გამოჩენა. როცა საკუთარ თავს დაცემისა და იმედგაცრუების უფლებას ვაძლევთ, საკუთარ თავს ცოდვის, არასწორი ქმედებისა და დამოკიდებულებების კარს ვუხსნით და შემდეგ უფრო დიდ სულიერ განსაცდელში ვვარდებით. ასე რომ, ამის კარგი გამოცდა ის არის, რომ როცა შეცდომას ჩავიდნით, უკან უნდა დავიხიოთ, ბ. გეგმა შევადგინოთ და წინ ვიაროთ. ყველასათვის დიდი დახმარება იქნება წიგნი მეორე არჩევანი (პატერნოსტერი, 2000) ვივ ტომასის ავტორობით.

ისტორია შეცდომების დომინოს ეფექტს გვიჩვენებს, ერთ შეცდომას მეორემოსდევს. 1988 წელს, პირველი გემი დაკარგეთ, *ლოგოსი* (რომელიც ერთ დროს მთელი ჩვენი ოჯახისათვის სახლი იყო, მადლობა ღმერთს მისი ჩვიდმეტწლიანი მნიშვნელოვანი მსახურებისათვის), ბიგალის არხში, ჩილესა და არგენტინის სამხრეთით კლდეს წამოედო. კვლევამ გვიჩვენა, რომ იმ დღის წინამძღოლებმა შეცდომები დაუშვეს. თუმცა, ღმერთი მოწყალეა და ადამიანების სიცოცხლე არ დაგვიკარგავს და მან პუბლიკაცია გამოიყენა, სიახლე დაიბეჭდა განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთში, რაც უფრო უკეთესი გემის *ლოგოს მეორის* შესაძენად ფინანსების



შეგროვებაში დაგვეხმარა. ამ გემს მოგვიანებით ლოგოს ჰოუფი ეწოდა. არ მინდა ახლა დრო დავუთმო საშინელ საავტომობილო შემთხვევებს ორმოცდაჩვიდმეტი წლის განმავლობაში, რაც ყოველთვის თვალის შეცდომების გამო ხდებოდა.

ისტორია გვიჩვენებს, რომ ყველას მოსდის შეცდომა და დარწმუნებული ვარ, **ნაკლები შეცდომა, უმჯობესია**. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ რწმენამ იმის შესახებ, რასაც ჩვენ ღმერთის სუვერენობას ვუწოდებთ ან რასაც მე მესიოლოგიას ვეძახი, ჩამოგვაცილოს ვალდებულების ზოგად და ძლიერ განცდას, ვიმოქმედოთ სწორად და, რაც შეიძლება, ნაკლები შეცდომები დავუშვათ. ნეტავ ბიბლიის კოლეჯში ვინმეს გავეფრთხილებინე რამდენად მძიმეა ცხოვრება და რამდენად რთული პრობლემების წინაშე მოგვიწევდა ყველა ჩვენთაგანს წარდგომა. ხელახლა უნდა წავიკითხოთ იაკ. 1 და 1 პეტ. 1 და სხვა მრავალი ადგილები წერილიდან. დიდი ხნის განმავლობაში მიჭირდა იმის გაცნობიერება თუ რამხელა რამეს ნიშნავს ზოგიერთი ადამიანისათვის საკვების საყიდელი ფულის ქონა და რამხელა დისციპლინასა და მძიმე შრომას მოითხოვს ეს საქმე.

*„სიხარულად ჩათვალეთ, ჩემო ძმებო, როდესაც სხვადასხვა განსაცდელში ვარდებით. რაკი იცით, რომ თქვენი რწმენის გამოცდა მოთმინებას შობს. მოთმინებას კი ჰქონდეს სრულყოფილი მოქმედება, რათა იცოთ სრულქმნილნი, წუნდაუდებელნი და ყოველმხრივ უნაკლონი. თუ რომელიმე თქვენგანს აკლია სიბრძნე, სთხოვოს ღმერთს, ყველასათვის უხვად და დაუყვედრებლად გამცემს, და მიეცემა“ (იაკ. 1.2-5).*

ჩვენს მსახურებაში, როგორც ჩანს, ოემის ჩათვლით, ლოცვაზე, რწმენასა და სულიერ ცხოვრებაზე დიდი ყურადღების გამახვილება მცდარ წარმოდგენას სთავაზობს ადამიანს, თითქოს თუ სამივე სფეროში ყველაფერი კარგად არის, ცხოვრებაშიც ყველაფერი კარგად იქნება. ახლა, ქრისტეში სამოცწლიანი

გამოცდილების გადასახედიდან, უამრავი ადამიანისათვის, რომლებთანაც ურთიერთობას ვაგრძელებ **ყველაფერი კარგად არ წარიმართა!** საკმაოდ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც, რწმენის, ლოცვისა და ოქმთან საეკანგელიზაციო ცხოვრების შემდეგ, სახლში დაბრუნდნენ და სამსახური ვერ იპოვეს ან ვერ შეინარჩუნეს. ოქმში მუშაობის დროს ზოგიერთ თანამშრომელთა ქორწინება კარგად ვერ დასრულდა, ხშირად იმის გამო, რომ სამომავლო პრობლემებს ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციეს. ამ ყველაფერს ის შეცდომებიც დაუშაბოთ ადვილად რომ ჩავდივართ და განსაცდელის ფორმულასაც მივიღებთ, ხშირ შემთხვევაში დიდი პრობლემის ფორმულასაც. მრავალმა ვერ მიაღწია წარმატებას თავის მსახურებასა თუ სამსახურში, ასე გასინჯეთ ვერც ქორწინებაში. ასეთ ადამიანებს ყოველთვის ვხვდები და ვცდილობ მათთან რადიკალური მადლის გაზიარებას. ვეუბნები, „თუ ბევრ რამეში განიცადეთ მარცხი და ა. გეგმამ არ გაამართლა, დიდება ღმერთს, რომ გეგმა ბ. არსებობს, რომელიც შეიძლება უკეთესი იყოს.“ ზოგიერთებმა ბევრი შეცდომები ჩაიდინეს, მრავალჯერ დაეცნენ და ფიქრობენ, რომ შესაძლოა „ე. ან ი. გეგმა მათი შესაფერისი.“ მე ვეუბნები, „მადლობა ღმერთს გრძელი ანბანისათვის.“ ხალხი, როგორც წესი, ამ მოსაზრებაზე იცინის, მაგრამ ეს ნამდვილად არ არის სასაცილო. ის შეცდომები შეგვეძლო თავიდან აგვერიდებინა. შეგვეძლო ჩვენივე თავი და სხვები მრავალი ტანჯვისაგან გვეხსნა. ნებისმიერი სახისა და ფორმის ფატალიზმი უნდა გავაცნობიეროთ. სერიოზულად უნდა მივუდგეთ ბიბლიის ყოველ სწავლებას ნებისმიერ, სულიერ და პრაქტიკულ საკითხებში, თუ არა და რატომ გვაქვს იგავების წიგნი ბიბლიაში?

ცოდვა იმდენად მრავალ ფორმაშია სერიოზული, მაგრამ ხშირად ჩვენი შეცდომების კომბინაციაა ცოდვა და ძველმოდური სისულელე. ან, უფრო თავაზიანი რომ ვიყო, სიბრძნისა და გარჩევის უნარი გვაკლია. ბევრი კითხვის ერთ-ერთი მიზანი სხვების შეცდომებსა და მარცხზე სწავლაა და ჩემს ცხოვრებაში ათასობით ასეთი მაგალითი წამიკითხავს.

აი, რა ვისწავლე შეცდომების თავიდან ასარიდებლად:

1. გავიჟღინთოთ ღვთის სიტყვით, თავი მივუძღვნათ ლოცვებს და ღმერთთან სიარულის ყოველ ასპექტს. თითქმის ყველა ჩემს წიგნში ვილაპარაკე ამის შესახებ. მოხარული ვიქნები, რომ საჩუქრად გამოგიგზავნოთ ეს წიგნები, გთხოვთ მომწეროთ იმეელზე თუ დაინტერესებული ბრძანდებით.
2. ისწავლე დისციპლინა, ცხოვრების ძირითად ასპექტებში ეცადე თავი აარიდო ლეგალიზმს.
3. ისწავლე, როგორ იკითხო და ისწავლო კარგად. გამოიმუშავეთ მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამახსოვრების სისტემა.
4. ისწავლეთ, როგორ ჩაიწეროთ მოვლენები. თუ მოგზაურობთ, დაუვიწყარი საკითხების ჩაწერის სისტემა შეიმუშავეთ. ახალი სტილის ტელეფონები და ტექნიკა დაგეხმარებათ ამაში, მაგრამ დისციპლინას მაინც მოითხოვს.
5. წინასწარ დაგეგმეთ და იანგარიშეთ ფასი, როგორც ლუკ. 14 თავშია მოცემული. შემიძლია მთელი წიგნი დავწერო ამ მნიშვნელოვანი კონცეფციისა და ამ სფეროში ჩემს მიერ დანახული დიდი შეცდომების შესახებ. ყველანაირი ადამიანი მოსულა ჩემთან და თავისი დიდი ხედვებისა და ოცნებების შესახებ გაუზიარებია აზრი, მაგრამ მათი უმეტესობა არასოდეს განხორციელებულა ან დიდ ხანს ვერ გასტანა. ძალიან ხშირად ადამიანები ფასს ვერ ანგარიშობდნენ სწორად ან მზად არ იყვნენ ამ ფასის გადასახდელად.
6. როგორც კი დროს გამონახავთ, იფიქრეთ იმ განსაკუთრებული ნაბიჯის დადებითი და უარყოფითი შედეგების შესახებ, რომლის გადადგმასაც აპირებთ.

7. ეცადეთ მიიღოთ რჩევა. ამ უკანასკნელს თავისი უარყოფითი მხარეც აქვს, რადგან ბევრი არასწორი რჩევა შეიძლება მიიღოთ, ამიტომ ყოველთვის ფრთხილად უნდა აწონდაწონოთ პიროვნული წინასწარმეტყველებები.
8. რამდენადაც შესაძლებელია, წინასწარ დაგეგმეთ. ყოველთვის ორჯერ შეამოწმეთ, თარიღები და ეცადეთ, გამოთვალეთ როგორ მოიქცევით იმ შემთხვევაში, თუ საქმე სასურველად არ წარიმართება. გონებაში გეგმა ბ. შეიმუშავეთ. როცა მატარებლით ვმოგზაურობ, ყოველთვის ვცდილობ ადრე წასვლას, და არა იმ მატარებლით მგზავრობას, რომელიც ზუსტ დროს ჩამიყვანს ადგილზე.
9. მრავალ შეცდომას ჩავდივართ მოგზაურობისას. ცალსახად უნდა ვისწავლოთ პროფესიონალური მოგზაურობა და ჩვენი და სხვისი შეცდომების ფონზე გაზრდა. ერთხელ, ფრანკფურტის მატარებლების სადგურზე რამდენიმე წამით მოვაშორე თვალი ჩემს ჩემოდანს და იმის შემდეგ აღარასოდეს მინახავს. საბედნიეროდ, ქურდმა ჩემი ლეპტოპი და სხვა მრავალი ძვირფასი ნივთი ვერ წაიღო. რამდენადაც შესაძლებელია ძვირფასეულობა თქვენთან ახლოს შეინახეთ. რას იტყვით ფულის შესანახ ქამარზე? სამწუხაროა ამ ყველაფრის თქმა, მაგრამ ქალებისათვის ცხოვრება უფრო მძიმეა ვიდრე კაცებისათვის და მე ქალებს დავუთმობდი ადგილს ამ საკითხზე დასაწერად. დარწმუნდით რომ საკრედიტო ბარათის, პასპორტისა და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების ასლი თან გაქვთ.
10. რადგან, ადრე თუ გვიან, ყველა უკან მოვიტოვებთ ფასეულ ნივთებს, ყველამ უნდა გამოვიძუშავოთ ამის თავიდან აცილების სტრატეგია. მაგალითად, ოთახიდან გასვლის შემდეგ კვლავ დაბრუნდით ოთახში და შეამოწმეთ დაგრჩათ თუ არა რაიმე. განსაკუთრებით ელექტრო ხელსაწყოები,

ტელეფონი ან სხვა რამ ხომ არ დაგრჩათ ჩართული. ასეთ შემთხვევაში თუ ორნი ვართ და მოვალეობებს გავინაწილებთ უკეთესი იქნება. ისწავლეთ ერთმანეთის შემოწმება და ერთმანეთისაგან მაგალითის აღება. დაე, სიამაყე მოკვდეს, თავმდაბლობით იარეთ და მზად იყავით სისუსტეების სწრაფად აღიარებისათვის.

11. იქონიეთ მისამართების, ტელეფონის ნომრებისა და ასე შემდეგ შენახვის კარგი სისტემა. გამოიძუშავეთ შევსების სისტემა. ჩემი ფოლდერები ახლა ჩემი ცხოვრების ნაწილია. რა შესანიშნავი იარაღია ღვთის საქმეში გამოსაყენებლად. პატარა შავი წიგნი მაქვს სარეზერვოდ ტელეფონების ნომრების აღსადგენად და, ვერ წარმოიდგენთ, რამდენჯერ გამომიყენებია იგი. თუ ნამდვილად გვიყვარს ადამიანები და მათი გამხსნევა გვსურს, დამატებით წუთებს დავუთმობთ მათ შესახებ ინფორმაციის შენახვას. ორგანიზება! ორგანიზება! ორგანიზება! გორდონ მაკლონალდის წიგნი *საკუთარი სამყაროს მოწესრიგება* (ტომას ნელსონი, 2012) მრავალ ადამიანს დაეხმარა. თუ ბევრს იკითხავთ მრავალი სახის რჩევას მიიღებთ თითქმის ცხოვრების ნებისმიერ საკითხზე და თავისთავად დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ მისგან არ გვესწავლა.

12. ისწავლეთ, რასაც მე „სულიწმიდის გაფრთხილებას“ დავარქმევ. ერთი შესანიშნავი მისიონერი იყო, ინგლისის მაღლობებზე დადიოდა, მაგრამ შესაფერისი ფეხსაცმელი არ ეცვა. კლდესთან ახლოს მივიდა, დაცურდა და მოკვდა. არასოდეს დამავიწყდება მისი სიკვდილის მეორე დღეს სატელეფონო ზარი, რომლითაც მაცნობეს ჩემი ძვირფასი მეგობრის გარდაცვალება. მეორე მისიონერი მეგობრის ცოლი მთიდან დაცურდა, კლდესთან ახლოს და მოკვდა. ჩემთვის ნაცნობი ასობით მსგავსი ისტორია რომ გამეზიარებინა, უკეთ გაიგებდით, თუ რატომ დავუთმე დრო ამ წიგნის

წერას და განსაკუთრებით ამ თავს. ეჭვიც არ მეპარება თუ ხალხი ყურად იღებს ჩემს რჩევებს მრავალთა სიცოცხლეს გადავარჩენ, რისი კეთებაც ძალიან მსიამოვნებს.

რა თქმა უნდა, შეგიძლიათ დაამატოთ ან საკუთარი სია შეადგინოთ ამ საკითხებზე, მაგრამ აქ მათ მეტ ადვილს ვეღარ დაუთმობ. შეიძლება ფიქრობთ, რომ ის თუ „როგორ“ დაგვემთო ცხოვრება ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არ არის, როგორც ქრისტეს ცხოვრებისა და დამოწაფების მთელი ეს სულიერი უწყება, მაგრამ ამდგავარი დაყოფა ეგრეთწოდებული წმინდისა და პრაქტიკული ნაწილისა ჩვენი აზროვნების შეცდომაა. ჩვენ ამ ყველაფერს სულიწმიდის ძალისა და წინამძღოლობის ქვეშ უნდა მოუყაროთ თავი. ჩვენ ღვთის ხატად ვართ შექმნილნი. თავისუფალი ნება გვაქვს და ადამიანურ დონეზე საკუთარ ბედს თვითონ განვსაზღვრავთ. ყოველ დღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს იღებ გადაწყვეტილებას, რას გააკეთებ, სად წახვალ და როგორ მოიქცევი. ცხოვრების ნებისმიერ სფეროში უნდა გაიზარდო. ჩემს ასაკშიაც კი სწავლა არ არის ზედმეტი.

ბიბლიის ყოველი დიდებული რეალობა და სწავლება ხელახლა უნდა ვისწავლოთ ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. უბრალოდ, კარგად კი არ უნდა ვიცხოვროთ, არამედ კარგად ვისწავლოთ და კარგი სიკვდილისათვისაც მოვემზადოთ. ასაკში შესვლისას ყურადღება უნდა მივაქციოთ „SSS“. ამას წინ ვიღაცამ მკითხა ეს რა არისო? „ოჰ, ვუპასუხე მე, - ეს, ბატონო, სულელობის სინდრომია.“ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს კულტურაში ეს ნებისმიერ ასაკზე ვრცელდება.

ამ თავს იაკ. 1.22-ის დიდებული სიტყვებით დავამთავრებ. „იყავით სიტყვის შემსრულებელნი და არა მხოლოდ მომსმენნი თავის მოსატყუებლად.“ მე იაკობის წერილის კარგად შესწავლას გირჩევდით.

# წინამძღოლები, რომელთაც ღმერთი იყენებს

ამ თავის ბეჭდვისას უელსის დასავლეთ სანაპიროზე ვიმყოფები, ადგილზე, რომელსაც ჰაკსას ეძახიან, სადაც მეოცე საუკუნის უდიდესი ქრისტიანი მწერალი ბევრს წერდა, დოქტორი ჯონ სტოტი, ვინც ჩემი ახლო მეგობარი გახდა, და რომლის წიგნებმაც დღეს მსოფლიო გავლენა მოიპოვეს. ვიმედოვნებ, რომ თქვენც მრავალ მათგანს წაიკითხავთ. სამწუხაროა, რომ განსაკუთრებით ამერიკაში, ზოგიერთ ადამიანებთან, ჯონის სახელს თუ ახსენებ მაშინვე იმას აღნიშნავენ, თუ როგორ უარყოფს იგი ჯოჯოხეთსა და სამუდამო სასჯელს, რაც სიმართლეს არ შეეფერება. მას სჯეროდა, რომ ქრისტეს გარეშე ადამიანები დაკარგულნი არიან. პირადად ვესაუბრე მას ამის შესახებ. ერთ-ერთ თავის წიგნში, განსაკუთრებით ლიბერალი ქრისტიანების დასმულ რთულ კითხვებზე პასუხის გასაცემად რომ დაიწერა, ანიჰილაციის (სრული განადგურება) გარკვეული სახის არსებობის შესაძლებლობას შეეხო და ამის შესახებაც ვისაუბრეთ პირადად. ღვთის მრავალი დიდი ადამიანი ებრძოდა ზუსტად იმას, რასაც ჯოჯოხეთი წააგავს. მახსოვს ბილი გრეემის ნათქვამი, რომ ეს ნამდვილად ღვთისაგან განშორება იყო.

მოქცევის შემდეგ ყოველ დღე ვცდილობდი ამ ჭეშმარიტების მიხედვით ცხოვრებას, რომელიც საკვებით ჯერ კიდევ არ მესმის. ღვთის სამართალზე ფიქრი დამეხმარა. უნივერსალიზმი დღეს ისე პოპულარულია, როგორც არასდროს, მაგრამ ჯონ სტოტი ამ საკითხს არ ჩაღრმავებია და დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რატომაც მიუძღვნა მან თავი მსოფლიო ევანგელიზაციას. მოვუსმინე როგორ ამბობდა ერთერთ მსოფლიო საევანგელიზაციო ქადაგებისას, რომ თანამედროვე ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლის საკითხი სახარების ექსკლუზიურობაა. იესო ამბობს: „მე ვარ ზზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე. ვერავინ მივა მამასთან თუ არა ჩემით“ (იო. 14.6). რასაც ამ თავის ჭეშმარიტებამდე მივყავართ. ეს არის განცხადება იმის უკეთ გასაგებად, თუ როგორ იყენებს ღმერთი მრავალფეროვან ადამიანურ რესურსს წინამძღოლობაში, როგორც კაცებს ასევე ქალებს. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ხელმძღვანელების რაოდენობა, რომელებსაც შევხვედრივარ და რომელთა ეკლესიებშიც მიქადავია? ამას ის სხვადასხვა ბუნების ხელმძღვანელები დავამატოთ, რომელთაც სამისიონერო სააგენტოებიდან და ორგანიზაციებიდან ვიცნობ. დიან, ათასობით, და ათასობით ქადაგება მომისმენია, მრავალი მათგანისათვის ჩანაწერის სახით ან სხვა აუდიო ფორმით. პლუს, ბიბლიაში ნახსენები მთავარი წინამძღოლების შესახებაც ვკითხულობ. ხელმძღვანელობის შესახებ უზარმაზარი ლიტერატურა და უსასრულო ავტობიოგრაფიები და ბიოგრაფიები გვაქვს დასაწყისიდან დღემდე ღვთისმსახური ქალებისა და კაცების შესახებ. მრავალი მათგანის შესახებ წამიკითხავს და განმიხილავს კიდევ, და უფრო მეტს ახლოს დაკვირვებევარ. ეს ლიტერატურა დღეს უფრო სწრაფად მოდის ჩვენამდე ვიდრე ოდესმე და ჩემი მსახურების ერთ-ერთი მთავარი ნაწილი წინამძღოლებთან საუბარი და სანიმუშო წინამძღოლობის სახელმძღვანელოების გავრცელებაა. ამჟამად ორი მნიშვნელოვანი წიგნი არის *სულიერი წინამძღოლობა* (მუდი, 2007) ოსვალდ სანდერსის ავტორობით, რომელიც მრავალ ენაზეა თარგმნილი და *სიყვარულით წინამძღოლობა* ალექსანდრე სტრაუზის ავტორობით. ჩემი მტკიცე მოსაზრებები გამოვხატე ბუკლეტში „მაღლით გაღვიძებული წინამძღოლობა“. სინამდვილეში ეს ბუკლეტი ორი მნიშვნელოვანი თავია, რომლებიც აღებული ჩემი წიგნიდან *კომფორტის ზონა*.



კიდევ ერთხელ ვიტყვი, თუ ყურადღებას არ მიაქცევთ იმას, რასაც მე მესიოლოგიას ვუწოდებ, ალბათ ჩემს მიერ აქ გამოთქმულ აზრს არ დაეთანხმებით. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ღმერთი წინამძღოლების ფართო რიგითა და განსხვავებული სტილით ძლევამოსილად მუშაობს.

ზოგიერთ წიგნებსა და მასწავლებლებს ძალიან მაღალი იდეალები აქვთ წინამძღოლობაზე და ზოგი იმდენად დოგმატურია, რომ მსჯავრს სდებენ ან არაფრად აგდებენ. ვცდილობ, ადამიანებს ეს დამანგრეველი იდეალიზმი დავანახო, რაც რადიკალური ძაღლის ფაქტორს გამორიცხავს და საბოლოოდ ხალხში იმედგაცრუებას, დაბნეულობას ან სრულ განადგურებას იწვევს.

ისტორია კი სხვაგვარ მტკიცებულებას გვთავაზობს. ყველანაირი წინამძღოლი და წინამძღოლთა ჯგუფები სრული ძალით იქნენ გამოყენებული კურთხევის, დამოწაფების, მისი ხალხის სწავლებისა და მსოფლიოში ათობით მილიონი ადამიანის იესოსთან მისაყვანად. მაგალითად ავიღოთ ჩუა ვუი ჰიანის წიგნი *ისწავლე წინამძღოლობა* (ათენტური ინდია, 2010), ასევე ბოლო ათეული წლების მანძილზე იმასაც ვხედავდი როგორ ხელმძღვანელობდა იგი მის მიერ დაარსებულ ეკლესიას ლონდონში, IFES საერთაშორისო ხელმძღვანელობის შემდეგ (სტუდენტ ქრისტიანთა მოძრაობა). თუ ამ წიგნს ავიღებთ დევიდ ლანდის წიგნთან *მსახური წინამძღოლობა ნელი მოწაფეებისათვის* (პატერნოსტერი, 2002), ერთად, მივიღებთ უნიკალურ კომბინაციას. ისიც შევნიშნე, რომ მრავალი წინამძღოლი, რომელთაც ბევრს მიაღწიეს, ამ სტილს არ მიყვებოდნენ. ისინი უფრო ხშირად ავტოკრატიულები იყვნენ და, როგორც წესი, თავს ბრალდებას იტეხდნენ, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთები, როგორც დიქტატორები და მოძალადეებიც კი. მოძალადე წინამძღოლობის შესახებ წიგნებს ვკითხულობ, სადაც ვხედავ, რომ თითქმის ყველა დინამიური წინამძღოლი, ვინც ადამიანების მიზნისაკენ მიმართვას ცდილობს ვნებითა და ემოციით, რათა იესო მთელი გულითა და გონებით, სულითა და ძალით უყვარდეთ, მოძალადეებად მიიჩნევიან. ასეთი

ადამიანების გავლენის ქვეშ მოხვედრილ ზოგიერთ ადამიანს არ სურს მსგავსი ძლიერი უწყების მიღება და რიგ შემთხვევებში, ცდილობენ, სისუსტეები აღმოაჩინონ უწყების გადმომცემ პიროვნებაში. თუ გულწრფელნი ვიქნებით ბევრი ბიბლიური მუხლია, რომლებიც ხმამაღლა კითხვისას ძალადობრივად ჟღერენ. ნახეთ, „ვიცი შენი საქმეები, რომ არც ცივი ხარ და არც ცხელი. ნეტავ ან ერთი იყო ან მეორე“ (გცხ. 3.15-16). და შემდეგ ლუკ. 14.33 „ასევე თქვენც, თუ არ მიატოვებთ ყველაფერს რაც გაქვთ ვერ იქნებით ჩემი მოწაფეები.“

ნამდვილად გვჭირდება დიდი სიბრძნე სიტყვა „ძალადობრივის“ სწორად გამოსაყენებლად. ერთი ქალბატონი მახსოვს წლების წინ, ჩემი გუნდის წევრი, ვინც, როგორც ვხედავდი, ქორწინებას ჩქარობდა და როცა დაფიქრება ვურჩიე შემომიბრუნდა და გადაჭარბებულ კონტროლში დამადანაშაულა. იმ მტკივნეული საუბრის შემდეგ, მის გვერდით ვიდექი და სადილსაც დავესწარი მხოლოდ იმიტომ, რომ რამოდენიმე წლის შემდეგ ამ ქორწინების შედეგი მეხილა.

დარწმუნებით შემიძლია ერთი რამის თქმა: სამოცწლიანი წინამძღოლობის განმავლობაში, გარკვევით დავინახე ის, რომ წინამძღოლობა ძალიან რთული საქმეა. ყოველი ჩვენთაგანი, როგორც წინამძღოლი, არასრულყოფილია და ჩვენი სისუსტეები გაგვაჩნია, რასაც აშკარა ცოდვასთან მივყავართ. მათაც, ვის წინამძღოლობასა და დახმარებასაც ვცდილობთ, აქვთ სისუსტეები, რომლებიც ხანდახან ცოდვისაკენ წარუძღვებათ და შედეგი რა იქნება? ხშირად ერთი დიდი ქაოსი! ადამიანების განაწყენება, გატეხილი გულები და იმედგაცრუებები. ჩვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი მრავალი ადამიანი უკვე იმდენად გულნატკენია, ხანდახან სექსუალური ძალადობის მსხვერპლიც ხდება, რომ უკიდურესად რთულია მათი წინამძღოლობა და დახმარება. ხელმძღვანელების უმეტესობა ძალიან დაკავებული და საქმით გადატვირთულია, რადგან ცდილობენ, უყვარდეთ იესო და ემსახურონ მის ხალხს. ამას დავამატოთ ევანგელიზაციისა და არაქრისტიანი მეგობრების შეძენის

მცდელობაც, და წარმოუდგენელი სურათი გადაგეშლებათ თვალწინ. ყველაფერი კარგად ვერ წარიმართება. ადამიანებს გული ეტკინებათ. სწორედ ამიტომ, ჩემთვის, 1 კორ. 13 თავის რეალურად ჩვენს გულში ჩადვრის, თავმდაბლობისა და მისი თანმდევი შემუსრული გულის გარეშე, შეუძლებელი ხდება წინსვლა. მინახავს და წამიკითხავს ასობით წინამძღოლის ერთმანეთთან გაფუჭებული ურთიერთობების შესახებ. მინახავს დეპუტატი, ვინც კანონიერი ხელმძღვანელის ძალაუფლებიდან გადაგდებას ცდილობდა. როცა ცოლი ან ქმარი ჩაერევა ამ საქმეში, სიტუაცია უარესი ხდება.

მაღალი დონის სულიერი რეალობაა საჭირო ძლიერი გონების წინამძღოლების ერთად მუშაობისათვის. ზოგიერთ წინამძღოლობის შესახებ დაწერილ წიგნში საერთოდ არ არის ნახსენები ჯვრისა და ჯვარცმული ცხოვრების შესახებ:

*„ქრისტესთან ერთად ვარ ჯვარცმული, მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში. ახლა რომ ხორციელად ვცოცხლობ, რწმენით ვცოცხლობ ღვთის ძეში, რომელმაც შემეყვარა და თავი გადასცა ჩემთვის“ (გალატ. 2.20).*

მსმენია, ვილაცას უთქვამს, რომ ეკლესიის სწრაფად ზრდის მიზეზი ეკლესიის დაყოფები იყო. ის აზრი, რომ ღმერთს არ შეუძლია მოქმედება მაშინ, როცა ბანაკში ცოდვაა, კარგად ჟღერს, და ზოგიერთებმა, შესაძლოა, იფიქრონ, რომ ძველი აღთქმის ამბავიც არსებობს სამაგალითოდ. მხოლოდ ერთი მთავარი პრობლემაა! ეს მართალი არ არის! 2 000 წლიანი ეკლესიის ისტორია აჩვენებს, რომ ღმერთი დიდებულ საქმეებს აკეთებს და ათასობით ადამიანს იხსნის ცოდვისა და ქაოტური სიტუაციებისაგან.

გაფრთხილდით, ნუ იქნებით შეზღუდულნი გონებითა და გრძნობებით, როცა ფიქრობთ ღმერთის მოქმედების შესაძლებლობებზე ადამიანების მეშვეობით. შეიძლება ჩვენ

წინამძღოლობის ჩვენეული მეთოდები გვაქვს, მაგრამ ნუ აჩქარდებით სხვათა სტილის განსჯაში. სხვადასხვა ეკლესიებს სხვადასხვა სტილის ხელმძღვანელობის ფორმები აქვთ. დიახ, პირადად დარწმუნებული ვარ, რომ ზოგიერთი სტილი სხვებთან შედარებით უკეთესია, მაგრამ უფრო ძნელია იმისი გაზომვა რაც მე ერთხელ უკვე გავაცნობიერე. თითქმის არ არსებობს ეკლესია ან მისიონერული ორგანიზაცია ან ორგანიზაციები, რომელთაც არეულ-დარეული სიტუაცია და თავისი პრობლემები არ ჰქონიათ და დიახ, თავისი ცოდვა არ ჩაუდენიათ. ზოგიერთ შემთხვევაში მე მკაცრ გადაწყვეტილებას ვიღებ უკანდახევისა და ჩამოშორების მიზნით. **მაგრამ, არ შემიძლია ცოცხალ ღმერთს ვუთხრა არ ჩაერიოს.** ღმერთი გავგაოცებს სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა სტილის წინამძღოლების გამოყენებით, განსაკუთრებით მაშინ, როცა ყველაფერი ძალიან არეულ-დარეულია. დიახ, ეს არის ფართო მასშტაბით მესიოლოგია. ზოგიერთი, ვინც ამას კითხულობს, ალბათ ვერ დარწმუნდება, მაგრამ თქვენს გვერდით ჯდომა და ჩემს მიერ ნანახი და წაკითხული ათასობით მაგალითის გაზიარება რომ შეემძლოს, რამაც ამ გზაზე დამაყენა, მაშინ შეიძლება ჩემზე უფრო მეტად დარწმუნდეთ. თუ ახალგაზრდა ხართ ეს უფრო რთული და, ასე ვთქვათ, დამაბნეველი მოგეჩვენებათ. თუმცა, გთხოვთ, ნუ დაელოდებით დაბერებას ამ ფასეული გაკვეთილების სწავლისათვის. ახლავე მოკიდეთ ხელი წინამძღოლობის კარგ წიგნებს, პირველ რიგში ბიბლიიდან დაიწყეთ.

## მსახურება, სიარული და ოცნება

ჰუკესიში მსახურებას ვეწევი და ალბათ იმ ადგილებში დავდივარ, სადაც ჯონ სტოტი დადიოდა, ლოცულობდა და მრავალჯერ დაუნახავს ჩიტები. ის ოფისი და კოტეჯი დავათვალიერე, სადაც შესანიშნავი დრო გაუტარებია. მრავალი წიგნი იღო თაროზე მისივე ორთომეული ბიოგრაფიის ჩათვლით. ახალი წიგნიც ვნახე, აქამდე რომ არ მინახავს, ქრის რაითის რედაქტორობით, ვინც ამაჟამად პანგამ პარტნერშიპის ხელმძღვანელია და ამ ადგილს ფლობს. მას ერქვა *ჯონ სტოტი: მისი სურათი მეგობრების მიერ (2011)*. ნეტავ შეძეძლოს დავჯდე და ყველაფერი წავიკითხო. პემბროკშიაირის სანაპიროზე ხშირად მისეირნია ჩემს განსაკუთრებულ უელსელ მეგობართან ვაინ ტომასთან, ვინც დაგ ბარტონმა გამაცნო, ჰავენის დამფუძნებელთან ერთად, არც ისე შორს აქედან პემბროკში. ვაინი შორს იყო ღმერთისაგან, ხშირად სვამდა და არეული ცხოვრება ჰქონდა. მას ნამცხვრები მიჰქონდა ჰავენში და ამერიკელ ყოფილ აკრობატს შეხვდა, სახელად ჩაკ კოქსს, რამაც ძღვევამოსილ მოქცევამდე მიიყვანა. დაგმა უთხრა ჩემს ქადაგებას დასწრებოდა კარმარტენში და შეხვედრის შემდეგ ტაუნტონის გარეუბანში, ქვანტოკში მანქანით წამომიყვანა. ეს ის ადგილია, სადაც მე და დრენა ცხოვრების მიმართულების ცვლილების გადაწყვეტილების მისაღებად და დასასვენებლად დავდიოდით, რასაც დეივი და მარი ჰაუთორნები უწევდნენ ორგანიზებას; ისინი ჩვენი მეგობრები გახდნენ. ეს იყო მთელი ცხოვრების მეგობრობის დასაწყისი. ხშირად დავდიოდით

ერთად ზღვის სანაპიროზე. ვაინი ოემს შეუერთდა, ჩემთან ერთად მუშაობდა და საფრანგეთში შესანიშნავ ოემერ ჰილარის შეხვდა, რომელზეც მოგვიანებით იქორწინა და ერთად გახდნენ ოემის დასვენების კონფერენციების ცენტრის ხელმძღვანელები დასავლეთ ვათინში, დასავლეთ სასექსში. ისინი ახლა თავის ორ მოზრდილ ქალიშვილთან ერთად, ამერიკაში, ტირონეში, ჯორჯიას შტატში სათაო ოფისში მუშაობენ.

სიარული და, რამოდენიმე წლის მანძილზე, ძუნძულით სიარული ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავდა. ხშირად ამას ვაერთიანებ ლოცვასთან, განდიდებასა და თავყვანისცემასთან. ჩემთვის უფრო ადვილია გარეთ, ღვთის შემოქმედების შუაგულში მსახურება, ვიდრე რაიმე შენობაში ხალხთან ერთად, მაგრამ, რა თქმა უნდა, ორივე აუცილებლად მიძაჩნია. ღმერთთან მარტო ყოფნა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ჩემთვის სტრესის მოხსნისა და წინამძღოლობაში შექმნილი პრობლემების გამკლავების საქმეში. განსაკუთრებით მხიბლავს წყალი, კანიონები, გორები და მშფოთვარე ზღვის სანაპიროები. ჩემი საყვარელი ადგილებია, შვეიცარიის შეუდარებელი ალპები (განსაკუთრებით მატარებელში წერილების კარნახისას), ეროვნული და სახელმწიფო პარკები სამხრეთ იუტაში და ჩრდილოარიზონაში, ბრისის, არჩის, ზიონისა და გრენდ კანიონის ჩათვლით. ღმერთმა თავისი წყალობითა და სიყვარულით ხშირად მომცა ამ ადგილებში სტუმრობის საშუალება სხვადასხვა ადამიანებთან ჩემი შვილებისა და შვილიშვილების ჩათვლით. ახლა მიღფორდ ჰავენთან ერთად ფანჯარასთან ვზივარ და ზღვის ნაპირს გავყურებთ, შორს, სადაც მახსოვს ერთხელ ლოგოსი სტუმრობდა რამოდენიმე ათეული წლის წინ. ვლოცულობ, რომ მრავალმა თქვენგანმა წაიკითხოს *ლოგოსის ისტორია* (პატერნოსტერ, 1992) და *ღულოსის ისტორია* (ბუკრიქსი, 2014) ელან როტონის ავტორობით; და ახლა *ლოგოს ჰოუფი* (ბუკრიქსი, 2014) როდნი ჰუისა და ჯორჯ სიმპსონის მიერ. გაგაოცებთ ის ფაქტები, თუ როგორ გამოიყენა ღმერთმა გემი მსახურებისათვის. ვინ იცის ერთ დღეს იქნებ თქვენც აღმოჩნდეთ ოემის გემზე მსახურებისათვის.

ახლა გონებით ისევ ჯონ სტოტთან მივდივარ, როცა მე და ის ლოგოს 2 ზე ერთად ვმსახურობდით. ჩვენ ძალიან განვსხვავდებოდით ერთმანეთისაგან და, როცა პირველად ჩემი გამოსვლა მოისმინა ურბანაში 1960 წელს, საკმაოდ გაბრაზებული იყო ჩემს საუბარში ბიბლიის ციტატების გამოყენების ნაკლებობით (საუბარი ძირითადად ჩემი დამოწმება იყო) და როცა შენიშვნა მომცა ტირილი დავიწყე. მაშინ წარმოდგენაც კი არ გვქონდა, რომ ეს იმ მეგობრობის დასაწყისი იყო, მთელი ცხოვრება რომ გაგრძელდებოდა. რაც უფრო ხშირად ვსაუბრობდით ან ვეწეოდით მსახურებას ერთად, მივხვდით, რომ უფრო მეტი საერთო გვქონია და ოემის დიდი მხარდამჭერიც გახდა. რამხელა სიხარული იყო ახლახანს ოლ სოულის ეკლესიაში ქადაგება, სადაც იგი ხელმძღვანელი და რექტორი იყო მრავალი წლის განმავლობაში.

ამ ყველაფერს იმიტომ ვწერ, რომ გავამხნევო ხალხი, რომ მათ ცხოვრებაში ბალანსის ნახვა შეძლონ. ვიმედოვნებ, რომ ამის შესახებ ჩემს სხვა წიგნებშიც წაიკითხავთ, მაგრამ არ შემიძლია, ყურადღება არ გავამახვილო მის მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით სწორი ბალანსის გამონახვაზე სამოქალაქო სამსახურსა და მსახურებას შორის, იმ სამსახურს შორის, რომელიც გფიტავთ და იმ მსახურებას შორის, რომელიც, პირიქით, ენერგიით გავსებთ.

თქვენს მიერ ბიბლიის შესწავლისასაც კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ერთი, ძლიერი, ადგილის ჭეშმარიტი პერსპექტივის დანახვა, წერილის სხვა ადგილების დანმარებით. მუხლების კონტექსტიდან ამოღება, განსაკუთრებით ძველი აღთქმიდან და ადამიანებისათვის თავში ბრაზხუნი სწორი გზა არ არის. ყოველთვის მაკვირვებდა წერილის, განსაკუთრებით ძველი აღთქმის, არასწორი გამოყენება. რა თქმა უნდა, იმ მუხლებს ავიღებთ, რომლებიც მოგვწონს და რომელიც არ მოგვწონს ან არ გვესმის, ვტოვებთ. გული მტკივა, როცა მრავალ მეგობარსა და მორწმუნეს ვხედავ ამ მდგომარეობაში. ადამიანები ადვილად ექცევიან სხვადასხვა ექსტრემალური შეხედულებების გავლენაში, ხშირად იმ იმეულების მეშვეობით,

რომლებიც იშვიათად გვთავაზობენ სრულ ახსნასა და სწორ ფაქტებს ისტორიაში ჩართული ორივე მხარის შესახებ. როცა ასეთ ადამიანებს ვხვდები ისინი ხშირად ძალიან ნეგატიურები, გამწარებულნი და გაბრაზებულნი არიან. ასეთ ადამიანებთან საუბარი მაფიქრებინებს, რომ ასეთი შერჩევითი კითხვა (მხოლოდ ცალსახად პრობლემის შესახებ კითხვა) უარესია, ვიდრე მისი წაუკითხაობა. ნებისმიერმა ელემენტარული განათლების მქონე ადამიანმა იცის, რომ არ შეიძლება ყველაფრის დაჯერება, რასაც კითხულობ, ქრისტიანულ წიგნებშიც კი. ჟურნალები და გაზეთები აზვიადებენ ფაქტებს ან ხანდახან არასწორ ინფორმაციას გვაწვდიან. დიდი გაზეთებიც კი მხოლოდ ცალსახა მოსაზრებებითაა ხშირად გაჯერებული. ადგილი აქვს უსასრულო კულტებისა და ექსტრემალური ჯგუფების პროპაგანდას მათი „საკითხების“ შესახებ მთელ მსოფლიოში. ხანდახან ბოდიშსაც მოიხდიან ხოლმე, მაგრამ ისეთი წვრილია ნაბეჭდი, რომ ადამიანების უმეტესობა მას ვერ კითხულობს. ისიც დამტკიცებულია, რომ ზოგიერთი ელ-ფოსტა და ბლოგი ცრუ აღმოჩნდა. ნებისმიერი სახის კონსპირაცია დაფრინავს აქეთ-იქით, ზოგიერთი მათგანი მთებზე მველი და ზოგი კი უახლესი. ჯანმრთელობა, რელიგია და პოლიტიკა განზოგადების უსასრულო სფეროებია, სანახევრო სიძარტლით, გადაჭარბებული რეაქციებითა და ხშირად სრული უაზრობით. როცა ადამიანები რომელიმე პოლიტიკურ პარტიაში ჩაიკეტებიან (მაინცდამაინც მცდარ პარტიას არ ვგულისხმობ), ხანდახან წარმოუდგენლად მიაჩნიათ, რომ სხვა პარტიებმა, შესაძლოა, რაიმე სწორი თქვან ან გააკეთონ. ხშირად ვხედავ ზოგადი განსჯისა და ბალანსის განცდის ნაკლებობას იმაში, რასაც ხალხი ამბობს და ეს მოიცავს ბევრ ჩემს მიერ მოსმენილ ქადაგებებსაც.

ადამიანები ხშირად ვერ აცნობიერებენ, თუ რამხელა გავლენას ახდენს მათი პიროვნული ტემპერამენტი და წყენა მათ რწმენასა და იმაზე, რაზეც საუბრობენ. რა თქმა უნდა, შავ-თეთრად მოაზროვნეები განსაკუთრებით ზიანდებიან ქვეყნიერებაზე



არსებული უამრავი ნაცრისფერის ფონზე. იესო ქრისტესა და მისი სიტყვისადმი მიძღვნილ ადამიანებს ძირითადი პრობლემა გვაქვს და ვფიქრობთ, რომ ეს აშკარად შავი და თეთრია. არის ისეთი სფეროები სადაც შავ-თეთრი სტილის აზროვნება აუცილებელია, „არ კლა!“ (გცხ. 20.13), მაგალითად, და აქაც, არიან ქრისტიანები, რომლებიც ვერ თანხმდებიან, განსაკუთრებით იარაღსა და ომთან დაკავშირებით. ადამიანები გამინაწყენებია, რომელთა მიერ წამოყენებული დიდი იდეების შემდეგ საკითხის კომპლექსურობაზე მისაუბრია. ის ფაქტი, რომ სამოცდაათი წელი კითხვაში, სწავლასა და ათასობით ეკლესიის მსახურებაში გავატარე ასამდე ერში თითქოს ბევრს არაფერს ნიშნავს. ის, რაც ნამდვილად საშიშია არის ის, რომ როცა ზოგიერთები ექსტრემიზმის გზას დაადგებიან, ნერვიულები ხდებიან (თუ უკვე არ არიან) და საქმეც სამწუხარო მიმართულებას იღებს.

ვშიშობ ეკლესიაშიც წარმოვშობთ ახალი ბრენდის ფარისევლებს, რასაც მოაქვს დაყოფა, არეულ-დარეულობა, დაბოლოს იმედგაცრუება და რწმენის დაკარგვა. ეს ოჯახებშიაც კი ხდება. ნუთუ არ შეიძლება გავაცნობიეროთ, რომ შეიძლება მართლები არ ვართ? არ შეგვიძლია, რომ პრობლემის შესახებ სხვა კუთხითაც წავიკითხოთ რაიმე? (ოჰ, ეს ძალიან რთული საქმეა ჩვენს „გამომიგზავნე ტექსტის“ დროში). ნუთუ არ უნდა ვისწავლოთ მეცნიერებისა და, განსაკუთრებით, ღვთისმოსავი კაცებისა და ქალების ნაწერებისა და გაზიარებულისაგან მსოფლიოში არსებულ თითქმის ნებისმიერ საკითხზე? მუსლიმების (და სხვა მრავალი ხალხების) გენერალიზაციის საკითხებში ხშირად დიდ როლს თამაშობს წინასწარ მცდარი შეხედულებები და სიძულვილის ენა, ეს კი ყველას უნდა გვაწუხებდეს. ზოგიერთი წიგნი ცეცხლს აღვივებს, და უამრავი ადამიანი აცხადებს პრეტენზიას ისლამის შესახებ ცოდნის ფლობაზე. შეიძლება ვცდები, მაგრამ იმდენ სიამაყესა და ქედმაღლობას ვხედავ და ძალიან მცირედ იესოს, თავმდაბლობასა და მონანიებას.

ხანდახან ეს დიდი დამაბრკოლებელი ლოდია მათთვის, ვინც ცდილობს ამ განსხვავებულ ხალხებში სახარების გავრცელებას. როცა ისეთ ვინმეს ვხვდებით ვისაც არ ვეთანხმებით, ვთქვათ პოლიტიკურ ან დოქტრინალურ საკითხზე, განა უფრო მეტად დაინტერესებულნი არა ვართ მათი შეხედულებების ცვლილებით, ვიდრე მათი ქრისტესთან მოსვლით? რატომ არ დავამყარებთ იმ მორწმუნესთან ახლო ურთიერთობას, ვინც ჩვენდამი დიდ სიყვარულს იჩენს? მიზეზი, რატომაც ზოგ ადამიანს ცოტა მეგობარი ჰყავს არის ის, რომ ან არ უყვართ ადამიანები ან მათი მოსენა არ სურთ. ისინი, უბრალოდ, თავისი პატარა სამყაროთი ცხოვრებას აგრძელებენ, და დამამცირებლად უყურებენ იმ ადამიანებს, რომლებიც მათ არ ეთანხმებიან. ვიძელოვნებ, გამოიცანით ორმოცდაათი წლის წინ *სიყვარულის რევოლუციის* დაწერის მიზეზი და რატომ ვურჩევთ ადამიანებს რომ ჰქსიონის წიგნის *გოლგოთის გზის* წაკითხვას. სწორედ ამ მიზეზით გახდა ჩარზ სვინდოლის *მადლის გამოღვიძება* ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი მრავალი ჩვენთაგანისათვის. მრავალ ადამიანს გამოტოვებული აქვს სიტყვა **მონანიება**, რაც, დარწმუნებული ვარ, სრულ შემობრუნებასა და ცვლილებას გულისხმობს ადამიანის ცხოვრებაში.

დარწმუნებული ვარ, რომ დივიდი ფილების ნახვამ ტრანსფორმაციის შესახებ, შეიძლება რწმენა ააშენოს, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ სრულიად არაბიბლიური და არარეალური მოლოდინებიც მოიტანოს. ეს ნამდვილად არ არის ახალი აზროვნება. დომინირებული თეოლოგია განაპირობებს ამ უკიდურესობას და მიმანია, რომ მან დისკრედიტაცია განიცადა. ისტორია გვიჩვენებს, რომ ძალიან რთულია მთელი ერის ან, თუნდაც, ქალაქების გარდაქმნა. პატარა ქალაქი ან სოფელი უფრო ადვილი სამიზნეა, მაგრამ ეშმაკი იქაც იქნება და ხშირად გარეგნული ტრანსფორმაცია ხალხს უბიძგებს კონფორმიზმის, ნომინალური ქრისტიანობისა და სხვადასხვა სახის ფარისევლობისაკენ. ეკლესიის ისტორია ჩემი საყვარელი საგანი იყო ორმოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში და ზურგს

უმაგრებს იმას, რის თქმასაც ახლა ვაპირებ. მაქსიმალური მარილი და ნათელი ჩემთვის სხვა ისტორიაა და თუ ამას ჩვენი გარდაქმნის თეოლოგიაში შემოვიტანთ დიდ დახმარებას გავვიწვევს. ქარიზმატული და ევანგელისტური ჰიპერბოლიზაცია, ის ეპიდემიაა, რაც ღვთის საქმეს ვნებს. რაღა თქმა უნდა, ჩემი მესიოლოგიის თეოლოგია მეხმარება ამ საკითხში პოზიტივის შენარჩუნებაში. იდეა თუ თეორია, რომ ევროპა ქრისტიანობის გამო გახდა ასეთი შესანიშნავი, ნაკლის შემცველიცაა, მაგრამ ჭეშმარიტების უდიდესი ელემენტებისაც. თუ ტრანსფორმაცია გვსურს, მაქსიმალური ყურადღება ჩვენსავე ცხოვრებას უნდა დავუთმოთ, შემდეგ ჩვენს გარემოს და შემდეგ ეკლესიას. ამის შემდეგ, ღმერთი სხვა მრავალი გზით იმოქმედებს და ეშმაკი ორმაგად გააქტიურდება.

დიდი გამოღვიძებების შესახებ, რაც გარდაქმნის ოცნებას ხორცს ასხავს, ბევრი წამიკითხავს. ეს, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, მაგრამ ხშირად გაზვიადებულია და სრულ სურათს არ წარმოადგენს. ჩვენს სწრაფვას უბრალოებისაკენ ამ კომპლექსურობის შუაგულში, ხშირად უფრო მეტი დაბნეულობა მოაქვს.

ყველგან ვხედავთ ქაოსს, ეკლესიაშიც და ქრისტიანულ ორგანიზაციებშიც, როგორ უნდა გავაგრძელოთ ან პოზიტიურები დავრჩეთ? რა თქმა უნდა უამრავი წიგნი და ქაღაღებები გვაქვს ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, მაგრამ ჩემთვის ეს უნდა მოიცავდეს მესიოლოგიასაც, რაც განსხვავებული ხედვაა იმაზე, თუ როგორ მოქმედებს ღმერთი თავის ხალხში. ძალიან რთული იყო ამის აღიარება ჩემთვის, როგორც ქრისტიანი წინამძღოლისათვის, რომ ღვთისა და მის მიერ თავის ხალხში მოქმედების გზის შესახებ მცდარი ხედვა მქონდა. თქვენზე რას იტყვი?

# თუ არ გინდათ, რომ დაშავდეთ, რაგბს ნუ ითამაშებთ

ერთხელ პოლ დანდოსთან ვსადილობდი, უელსელ ხუცესთან. ცოცხალ ეკლესიას ხელმძღვანელობს ნარბერსში, სადაც ხშირად მიქადაგია. მახსოვს, ერთხელ ჩემს შვილიშვილ ჩარლისთან ერთად ვიყავი იქ და წიგნების მაგიდის გაშლაში მეხმარებოდა. ჩარლის ეს აქამდე არასოდეს გაუკეთებია და გაოცებული იყო იმით, რომ ხალხის მიერ მოცემული ფულის ჩვენთვის დატოვება არ შეგვეძლო.

პავლემ შემდეგი ისტორია გაგვიზიარა პატარა რესტორან ლითლ ჰავენში. ეს მოხდა წინამძღოლების შეხვედრაზე და ზოგიერთი ხელმძღვანელი მართლაც გულნატკენი იყო სირთულეებისა და მათი ეკლესიის წევრებისაგან. ვიდრე მოხუცებული სამხრეთ აფრიკელი სიტყვით გამოვიდოდა, ერთ-ერთი მათგანი ლოცვას წარუძღვა და განსაკუთრებით გამნაწყნებლებისათვის ილოცა. წინამძღოლების შეხვედრის მესიჯი იყო: „თუ არ გინდათ, რომ გეტკინოთ, რაგბსაც ნუ ითამაშებთ.“ რა სიმართლეა.

მთელ მსოფლიოში მითქვამს ადამიანებისათვის, და განსაკუთრებით წინამძღოლებისათვის, თუ არ გინდათ რომ გეტკინოთ მაშინ მცდარ პლანეტაზე გიცხოვრიათ. ეს არის დაცემული, აჯანყებული პლანეტის ცხოვრების გზა და უნდა ვისწავლოთ როგორ შევძლოთ ამ არეულობის შუაგულში ცხოვრების გაგრძელება. ჯანსაღი ეკლესიების შემთხვევაშიც კი, მთელი ჩვენი თავმდაბლობის შემდეგაც კი შეცდომებს მაინც ვჩაღვივართ. ადამიანები შესცოდავენ და დამარცხდებიან და

დახმარება დასჭირდებათ. საქმეს არ გაადვილებს ჩვენი ფიქრი, რომ სატანა არის მბრდღვინავი ლომი, რომელიც ეძებს ვინ ჩაყლაპოს. „მღვიძარენი იყავით, იფხიზლეთ, რადგან თქვენი მოწინააღმდეგე ეშმაკი დაძრწის, და ეძებს, ვინ ჩაყლაპოს“ (1 პეტ. 5.8).

ძალიან დამეხმარნენ ის ქალები და კაცები, რომლებმაც ნებისმიერი სახის ტკივილსა და სირთულეებში პრაქტიკულად მიუტევეს და ცხოვრება მხნედ გააგრძელეს. ამავდროულად, თუ ჩვენ წინამძღოლები სულიწმიდით ვიცხოვრებთ, მხოლოდ მცირეოდენ ადამიანს თუ ვაწყენინებთ პიროვნულად. ხშირად მიცდია, გამეგო ჩემს მიერ ნათქვამმა ან გაკეთებულმა გული თუ ვინმეს ატკინა და პატიებისა და ბოდიშის მოხდა მიცდია. საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ, რამდენად ხშირად გვითქვამს გულწრფელად, *მაპატიეთ, ვწუხვარ*. განა ეს სიტყვები ჩვენი გულისა და გონების ლექსიკონის ძირითად ფრაზებს არ უნდა წარმოადგენდეს?

გაუგებრობა ამ პლანეტის ჩვეულებრივი მოვლენაა (სხვა პლანეტებზე ვერაფერს ვიტყვი). ათასობით ანალოგიური შემთხვევა მინახავს დიდი თუ პატარა. დამანგრეველი ჭკორები ხშირად იმიტომ კი არ ვრცელდება რომ ცოდვასთან ან ეშმაკთან გვაქვს საქმე, არამედ რაღაც გაუგებრობისა და კომუნიკაციის ნაკლებობის გამო. მთელი ჩვენი ქორწინების განმავლობაში ვიტანჯებოდით მე და დრენა ამ საკითხში. უმეტეს შემთხვევაში ეს ძალიან უმნიშვნელო საკითხია, მაგრამ მტერს ამის გამოყენებით მოაქვს არეულობა, ტკივილი და წყენა. უნდა ვისწავლოთ ამ საკითხთან მიმართებით უკეთესი მოსმენა, გამოვიჩინოთ ძალისხმევა და გავიგოთ რას ამბობს მოსაუბრე ან რის შესახებ. გამოწვევა, ირწმუნო კარგი და ადამიანური პრინციპი, რომ პიროვნება უმწიკვლოა დანაშაულის დამტკიცებამდე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია. გული მტკივა, როდესაც ფანჯრიდან მოსროლილ ხალხს ვხედავ, რომლებიც მხოლოდ თავისი ძალებით ცდილობენ სირთულეების გადალახვას.

მინდა გთხოვოთ, რომ მოაწყოთ ლოცვითი შეხვედრები ან კონცერტები (ან რასაც დაარქმევთ) თქვენი ცხოვრებისა და

მსახურების ცენტრში. ბევრ რამესთან ერთად ახალგაზრდა ქრისტიანმა ერთ-ერთი რაც ვისწავლე, იყო როგორ მელოცა და როგორ მიმენიჭებინა ლოცვითი შეხვედრებისათვის უპირატესობა, რაც მისი მადლით შექმნილი მთელი ცხოვრების მანძილზე. ასობით წიგნია ლოცვაზე დაწერილი და არ მინდა სხვების ნათქვამი გავიმეორო, მაგრამ მინდა ჩემს მკითხველს შევახსენო, თუ როგორ შეუძლია ლოცვას დაკეტილი კარის გახსნა, პრობლემების და გულისტკივილების მოგვარება. მხნეობა შემემატება, თუ გავიგებ, რომ ადამიანებმა ამის შესახებ ორი თავი წაიკითხეს ჩემს წიგნში *წვეთები გაფუჭებული ონკანიდან* და მას პრაქტიკაში ახორციელებენ.

ამას მივყავარ ჩვენი ღმერთთან სიარულის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტის გაზიარებასთან, გამოწვევა, რომ არ დაიტოვოთ წყენა გულში არაფრისა და არავის მიმართ. ღვთის მადლით, არასოდეს წავსულვარ დასაძინებლად ისე, რომ ვილაცის მიმართ რაიმე წყენა მქონოდა გულში, თუმცა, რა თქმა უნდა, გული უტკენიათ და ადამიანებისაგან იმედგაცრუებული დავრჩენილვარ ასობით შემთხვევაში. ჩემთვის ეს არჩევანი არ არის. ჩვენ უნდა მივუტევოთ და დავიწყებისათვისაც უნდა ვიმუშაოთ. მტრის შეყვარების შესახებ მუხლები, რომლებიც წერილში გვაქვს, უფრო მცდარად და საშინლად წარმოაჩენს ვინმეს მიმართ გულში წყენის დარჩენას. ეცადოთ გაუსწორდეთ ან შური იძიოთ არავითარი ადგილი არა აქვს მოსიყვარულე და ცოცხალი უფლის დისციპლინაში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათთან ყოველთვის შესმატკბილებული მსახურება გვექნება. ხანდახან ეს ნაბიჯი უფრო კმპლექსურია და ყოველთვის შესაძლებელი არც არის. რაც უფრო ზრდასრულნი ვართ ჩვენს რწმენაში, რაც ჩემთვის სირთულეს წარმოადგენდა, ვსწავლობთ, როგორ გავუმკლავდეთ ჩვენს ურთიერთობებში წარმოშობილ კომპლექსურობას. *როგორ შეუძლია ორს ერთად სიარული თუ თანხმობაში არ იქნებიან?* ეს კი სრულიად სხვა საფეხურია პირველ დონესთან შედარებით, პატივისცემა და პატიება. ხშირად საკუთარ თავს უნდა შევახსენოთ, რომ

მხოლოდ ერთი სხეული არსებობს. დიახ, ჩვენ ყველანი ქრისტეს სხეულის ნაწილები ვართ.

როგორ შეგვიძლია მსოფლიოს ევანგელიზაციასა და ყველა ერში ეკლესიების დაარსებაზე ვიფიქროთ, ყველანაირი პრობლემისა და განსაცდელების გონებაში დაშვების გარეშე, იმის ჩათვლით, რომ ზოგიერთები სიცოცხლეს დაკარგავენ ქრისტეს გამო? წამებულებმა, რომლებიც ჩვენს მოძრაობაში იყვნენ, უზარმაზარი გავლენა მოახდინეს ჩვენზე და დაგვეხმარნენ ჩვენი პრიორიტეტების სწორად წარმართვაში **ღვთის სადიდებლად**. ყველას ვთხოვ, წაიკითხონ გერი უითერალის წიგნი *სრულიად მიტოვებული* (თინდალ ჰაუსი, 2005) მისი ცოლის ლიბანში მოწამეობის შემდეგ დაწერილი. ამასთან ერთად, გთხოვთ წაიკითხოთ რ. თ. ქენდალის წიგნი *სრული მიტოვება* (ჰოდერ ენდ სტაუტონ, 2010). დარწმუნებული ვარ, რომ ღვთის გლობალურ არმიაში მსახურება რაგბზე რთული იქნება. გახსოვდეთ, 2 ტიმ. 2:3: „იტანჯე ჩემთან ერთად, როგორც იესო ქრისტეს კეთილმა მეომარმა.“ რადგან უკვე ტიმოთეს შევეხეთ, გთხოვთ, ახლავე წაიკითხოთ მთელი თავი.

# მომჩივნები, მონუნუნეები, დამბლოკავები და ნეგატიურად მოაზროვნეები

აუ, ამ თავის სათაური თქვენზე ხომ არ საუბრობს? იმედი მაქვს, რომ არა! ეს ნამდვილად სასიკვდილო გზაა და მრავალნი დადიან მასზე. ვფიქრობ, რომ ეს თვისებები ნაწილობრივ მეც მქონდა ახალგაზრდა ქრისტიანს და მოგვიანებით, როგორც ქმარს, მამას და ქრისტიან წინამძღოლს. საერთო ჯამში ოპტიმისტი ვარ მრავალი კუთხით, თუმცა ხასიათის უარყოფითი თვისებებიც მაქვს. საკითხი უფრო კომპლექსური ხდება, როცა ღმერთი ჩემს უარყოფით განცხადებებს იყენებს, განსაკუთრებით ეკლესიის მდგომარეობასა და თვით რიგით ქრისტიანებზეც კი.

მაგონდება ერთი შექმთხვევა, უნდა გვესწავლა, რომ **რადიკალური დამოწაფება რადიკალური მადლის გარეშე ძალიან ხშირად მტკივნეული, დამაბნეველი და ქუჩაა, სასიკვდილო დასასრულით.** მიუხედავად ამისა ღმერთმა დიდებული საქმეები მოიმოქმედა ჩვენს რადიკალურ ექსტრემიზმში, სისუსტეებსა და მარცხში. 50/60-იანი წლების ბოლოს, რადიკალური მოწაფეობის პიკზე ვიყავით და პრაქტიკულად ვახორციელებდით ღვეიდ პლატის წიგნის, *რადიკალურის*, აზრს.

კარგად მახსოვს, პაკისტანში, სადაც ორმოცი წლის წინ დავიწყეთ საქმიანობა, მალევე ჩავედი სტუმრად. კარი გაიღო მნიშვნელოვანი შეხვედრისათვის დიდი ქალაქის კათედრალში.



მნიშვნელოვანი ეკლესიების წინამძღოლები მოდიოდნენ, პაკისტანის ეკლესიის ეპისკოპოსის ჩათვლით. მე ვიყავი მთავარი მოსაუბრე და მახსოვს ოემის წამყვანმა ხელმძღვანელმა მთხოვა სიტყვები ფრთხილად შემერჩია ქადაგებისას. მივხვდი, იცოდა, რომ ხანდახან საწყენ სიტყვებს ვამბობდი ან სისულელეებსაც კი, ქადაგებისას! ვუთხარი, რომ ვეცდებოდი. შემდეგ ვილაცამ მკითხა შესაფერისი ჩაცმულობით გამოსვლას თუ ვგეგმავდი. პაკისტანში მაშინ და ახლაც, კოსტუმითა და ჰალსტუხით გამოსვლა დიდ საქმეს ნიშნავდა. აქამდე არავინ მიცნობდა კარგი ჩაცმის მოყვარულად, მაგრამ მეორე დღეს კოსტუმით გამოვცხადდი. მე მგონი, დამკრძალო ბიუროს თანამშრომელივით გამოვიყურებოდი. ვფიქრობ, ეს ის დრო იყო ჩემს ცხოვრებაში, როცა ვცდილობდი ყველაზე ნაკლებად ვყოფილიყავი ნეგატიური, ბნელ და რთულ სიტუაციებშიც კი. ღმერთს უნდოდა ჩემი ცხოვრება შემეცვალა და ნახეთ, რა მოხდა; შუა საუბარში, მტრედმა გადაიფრინა და კოსტუმის სახელო დამისვარა. რა სირცხვილი იყო ეპისკოპოსისა და მთელი შეკრებილი საზოგადოების წინაშე, მრავალი მათგანი პირველად ისმენდა ჩემს სიტყვას! მაგრამ ღმერთი რაღაც ახალს აკეთებდა და უბრალოდ ვთქვი, „დიდება უფალს, რომ აქ სპილოები არ დაფრინავენ.“ რა თქმა უნდა დიდი სიცილი მოჰყვა ჩემს ნათქვამს. დიახ, შეიძლება ცუდ მდგომარეობაში იყოთ, მაგრამ რატომ არ უნდა ვუთხრათ მადლობა ღმერთს და განვადიდოთ? დარწმუნებული ვარ, რომ უარესი სიტუაციაც შეიძლება დაგვიდგეს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მაშინ განადიდოთ ღმერთი, როცა ვიღაც გულსატკენ, რთულ სიატუაციაში გაყენებთ. იმ დროს უნდა გახსოვდეთ ეს მუხლი: „მოხარულებთან იხარეთ და მოტირალეებთან იტირეთ“ (რომ. 12.15). ამავდროულად, შეიძლება გვიხაროდეს გულის სიღრმეში რადგან ვიცით, რომ ღმერთი საშინელი სიტუაციიდანაც კი კარგ შედეგს დააყენებს. ჰანა მილერის (ყოფილი შესანიშნავი ოემერელის) წიგნს კკითხულობ, მისი ცხოვრების შესახებ, იგი ბავშვობაში ჩამოჰყვა იმ ერთ-ერთ ცნობილ მატარებელს, რომელმაც გერმანიიდან

ბავშვები ჩამოიყვანა ინგლისში „პოლოკოსტამდე“. წიგნს *ნაცრის გვირგვინი* ჰქვია (აუთსკერტს, 2013) და ეს შერიგების ისტორიაა მათთვის, რომლებმაც მის მშობლებს სიცოცხლე წაართვეს გერმანიაში განლაგებულ საკონცენტრაციო ბანაკში იმ საშინელ ომში. სხვა მრავალი ანალოგიური წიგნი გვაქვს, რომლის მეშვეობითაც ღმერთს ჩვენი ცხოვრების ცვლილების საშუალება უნდა მივცეთ.

რატომ არის ამდენი ბიბლიის მორწმუნე ადამიანი კრიტიკაში სწრაფი (და მე ერთ-ერთი მათგანი ვარ) ხშირად ფაქტების გაცნობამდე? რატომ მოთქვამს ამდენი ქრისტიანი მრავალ საკითხზე, განსაკუთრებით მთავრობაზე? როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა ფილიპ. 4:4-7 ვკითხულობთ?

*მარადის იხარეთ უფალში და კიდევ ვიტყვი: იხარეთ!  
თქვენი თავმდაბლობა ცნობილი იყოს ყველა  
ადამიანისათვის. ახლოა უფალი. არაფერზე იზრუნოთ,  
მხოლოდ ლოცვასა და ვედრებაში მადლიერებით  
აუწყეთ თქვენი სურვილი ღმერთს. და ღვთის მშვიდობა,  
რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება, დაიფარავს  
თქვენს გულებს და თქვენს ფიქრებს ქრისტე იესოში.*

ღმერთს არ უნდა, რომ მოვთქვამდეთ, ვწუწუნებდეთ, ნეგატიურები და უმადურები ვიყოთ. გთხოვთ, ცოტა ხანს შეჩერდეთ და ნება დართოთ სულიწმიდას თქვენს გულსა და ცხოვრებაში სიახლე შემოიტანოს. ამის შესახებ უკვე ვისაუბრე მეორე თავში, „ცეცხლმაქრები, წიგნები და იგავები,“ მაგრამ აქაც მინდა შევეხო ამ საკითხს, თუ რამდენად არის ეს ურთიერთკავშირში იყო ნეგატიური პიროვნება ან სულ გაღიზიანებულ-გაბრაზებული ადამიანი. რთული იყო ახალგაზრდა ქრისტიანს შედარებინა, რომ მტრული გამოხდომები მქონდა. ერთხელ დავინახე, რომ ჩემს საუბარში ეს გამოძაზვანდა და მალევე მოვინანიე. ეს განსაკუთრებით ადვილად მქლავნდებოდა მანქანის მართვისას. მივხვდი, რომ უმჯობესი იყო მატარებლით თუ ვიმგზავრებდი.

სადაც არ უნდა ცხოვრობდეთ, თქვენს გარშემო აუცილებლად შეხვდებით გამუდმებით მოტირალ და მოწუწუნე ადამიანებს. სინამდვილეში, რას ვაღწევთ ამით? ჩემთვის ეს ძალიან განსხვავდება კონსტრუქციული კრიტიკისაგან. ვკითხულობ დოქტორ ნორმან ვინსენტ პილის წიგნს *შაკარი გონების თპტიმისტს* (თაჩსტონი, 2003) ვკითხულობ ასევე სხვა მსგავს წიგნებს; ეს წიგნები დამეხმარა ჩემი აზროვნების გზის ცვლილებაში.

ძალიან ბევრ დროს ხომ არ ატარებთ ასეთი ბუნების ადამიანთან? თუ ასეა, დაიჯერე, რომ საბოლოოდ თქვენც ისეთი გახდებით, ეს გადაძდება! ადამიანები, რომლებიც ყოველთვის ბნელ მხარეს ხედავენ, ხშირად ამაყობენ ამით, თითქოსდა ყველა ასეთია, და ეს სიამაყე ხშირად დაუცველობასთანაა კავშირში, რაც უფრო საშიშ კომბინაციას ქმნის. ერთ დღეს იმ საგნებისა და საკითხების სია შევადგინე, რომელთა შესახებაც ქრისტიანები წუწუნებენ და ჩივიან:

ოჰ, მუსიკა ძალიან ხმამაღალია.

ოჰ, ბიბლიის არასწორ თარგმანს იყენებენ.

ოჰ, როგორ შეიძლება, რომ ეკლესიაში ასე ჩაიცივან?

ოჰ, ხუცესმა ძალიან დიდხანს იქადაგა.

ოჰ, ნეტავ რატომ აცვია მის ცოლს ასე მდიდრულად და ნეტავ რას აკეთებს თავისუფალ დროს?

ოჰ, სალი რა მსუქანია და ლილი ძალიან ბევრს ლაპარაკობს.

ოჰ, სემს დეზედორის გამოყენება ავიწყდება.

ოჰ, შენიშნე, როგორი ძვირადღირებული ახალი მანქანა უყიდია ხუცესს?

ოჰ, ერთ-ერთი საბჭოს წევრი ბარში დავინახე ამას წინათ.

ოჰ, წითელი ღვინო ჰქონდათ ზიარების ჭიქაში.

ოჰ, დავინახე, ხუცესის ვაჟი ლუდს რომ სვამდა.

ჩემს ადრეულ ასაკში მახსოვს ქრისტიანები პომადაზე და ბიჭის გრძელ თმებზე ბრაზდებოდნენ. სია შეიძლება უსასრულოდ

გაგრძელდეს. როცა ასე ვფიქრობთ და შესაბამისადაც ვიქცევით, რას ვაღწევთ ამით საუკუნო დიდებისათვის? ნუთუ ვერ ვაცნობიერებთ ჩვენი მდგომარეობისა და დამოკიდებულების ფასეულობას? კიდევ ერთხელ ვიტყვი, ხალხს ვთხოვდი, წაეკითხათ ჩარლზ სვინდოლის წიგნი *მადლით გამოღვიძებული*, რომელიც უკვე მრავალ ენაზეა გამოცემული. ამჟამად ახალ წიგნს ვკითხულობ მადლზე, რომელსაც *ფარისენკთომია* ჰქვია: *როგორ მოიშორო სიხარულით შინაგანი ფარისევლობა და სხვა რელიგიურად გადაძვლები დაავადებები* (ინფლუნენ რესორის, 2012) ავტორი პიტერ ჰასი, და შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ რის შესახებაც არის წიგნი. უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი არა მხოლოდ იმითაა დაინტერესებული რას ვიტყვით და გავაკეთებთ, არამედ იმითაც, რას ვფიქრობთ. დამოკიდებულება მნიშვნელოვანი ნაწილია ღმერთთან ჩვენს სვლაში.

თითქმის ყველა სიტუაციაში, და ყველა ადამიანში, არის პოზიტიური და კარგი რამ და ამაზე უფრო მეტი ყურადღება უნდა გავამახვილოთ ვიდრე ნეგატიურზე. ის მუხლიც უნდა გვახსოვდეს „ნუ გაასამართლებთ, და არ გაასამართლებით. რადგან როგორც სხვებს განსჯით ასევე განისჯებით თქვენც“ (მათ. 7.1-2).

რას იტყვით ამ დიდი წესის შესახებ: „ისე მოექცით ადამიანებს, როგორც თქვენ გინდათ რომ მოგექცნენ“ (მათ. 7.12). დიახ, ვიცი, რომ ჩემი წიგნის *სიყვარულის რეკოლუციას* დაუბრუნდით და დარწმუნებული ვარ, რომ მთელი გულით მიიღებთ და პრაქტიკაში გაატარებთ, რასაც ბიბლიაში დიდი ყურადღება ეთმობა. როგორ შეიძლება ეს გამოვტოვოთ? წაიკითხეთ 1 თეს. 5.16 და ისწავლეთ „ყოველთვის იხარეთ.“

როცა პოზიტიურ მდგომარეობას ეხება საქმე ძნელდება ფილიპ. 4.8 მიბაძვა.

*„აბა ასე, ჩემო ძმებო, ყოველივე, რაც ჭეშმარიტია, რაც პატიოსანია, რაც მართალია, რაც წმიდაა, რაც საყვარელია, რაც საქებარია, ყოველივე, რაც სათნო და ქებულია, იმაზე იფიქრეთ.“*

მეგობარმა განათლების სამყაროში ისე ამიხსნა სიტყვა „ბლოკერის“ მნიშვნელობა, თითქოს არ ვიცოდი. ეს არის პიროვნება ვინც ფიქრობს, რომ ყველაფერი კარგად არის განსაკუთრებით მათსავე საქმიანობასა და სწავლებაში და ყველაფერ ახალს ბლოკავენ ცვლილების წინააღმდეგ. თუ გვსურს, გავიზარდოთ და ისეთი ადამიანები გავხდეთ ღმერთს რომ სურს, მაშინ უნდა გავაგრძელოთ სწავლა და ცვლილებები. ხშირი წუწუნი და კრიტიკა ცოლ-ქმრის ურთიერთობას ანგრევს. მე, ღმერთის მადლით, იშვიათად გამიკრიტიკებია ჩემი მეუღლე სახალხოდ და არც ისე ხშირად – პირადად, მაგრამ არაპირდაპირი მინიშნებები და ხუმრობაში გატარებული კრიტიკაც მომინანიებია, რაც ჩემი ცოლის შესახებ არასწორ მინიშნებას მისცემდა მის მსმენელს. მახსოვს, ერთხელ დიდი პატივისცემა გამოვხატე ჩემი ცოლის მიმართ რამდენიმე წინადადებით და კრიტიკას მაინც ვერ გადავურჩი! მიხვდით თუ არა, რომ ცხოვრება სავსეა მარცხით? ოჰ, ჩემმა ნეგატიურმა მიდრეკილებებმაც იფეთქეს. დაე, ღმერთმა ყველას წყალობა მოგვმადლოს!

# განცხადება სოციალურ სატკივარზე და მოქმედება

შეიძლება თუ არა, რომ ადამიანმა სამოცი წლის შემდეგ შეიცვალოს ცხოვრება და თეოლოგია? დიახ, ეს მეც დამემართა და იმ მოძრაობასაც, რომლის დაფუძნებასაც მე შევუწყე ხელი, ოპერეიშენ მობილიზეიშენს. მხოლოდ ერთი თავია ამის შესახებ წიგნში *წვეთები გაფუჭებული ონკანიდან* და ისიც, თითქმის, 12 წლის შემდეგ, რაც ეს დიდი ცვლილებები მოხდა.

საჭიროა ჯონ სტოტს დაუბრუნდეთ, ბილი გრეემსა და 1974 წლის მსოფლიო საევანგელიზაციო კონგრესს შვეიცარიის ლოზანაში, სადაც მსოფლიოს რამოდენიმე ასეული ქრისტიანი წინამძღოლი ხვდებოდა ერთმანეთს. მე პატარა საკითხი უნდა წარმომედგინა თემაზე „საევანგელიზაციო ლიტერატურა“ და ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანი უწყება გამოძრჩა. ძალიან დიდი დებატები გაიმართა საკითხზე, თუ როგორ ერწყმის ერთმანეთს სოციალური მოქმედება და პროკლამაცია, დაბოლოს ლოზანას ცნობილ დოკუმენტში ჩაიწერა, რომ მოქმედება აუცილებელია. მრავალი წიგნი და სტატია დაიწერა ამ გადაწყვეტილების მხარდასაჭერადაც და საწინააღდეგოდაც, მაგრამ ამ კონგრესმა, და სხვა მრავალი ადამიანის წიგნებმა და მოძრაობებმა შეცვალეს ისტორიის კურსი. ამ ფონზე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მრავალი ეკლესია და მისიონერი უკვე პრაქტიკულად მუშაობდა მსახურების ამ ორი საკითხის ერთმანეთთან შერწყმისათვის. შეხედეთ გენერალ ბუთს და ხსნის არმიას. რა თქმა უნდა, შეიძლება მათგან მაგალითების სწავლა და ყოველთვის დადებითის არა.

ამ შეხვედრამდე რამოდენიმე წლის წინ, ორგანიზაცია *ოპერატიული წყალობა* წამოიწყო შევედმა ბერთილ ენგვისტმა, ოემის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა. მახსოვს ამ პროექტზე დასტურის მიცემა, განსაკუთრებით იმ იმედით, რომ ფინანსები შევედეთიდან წამოვიდოდა.

ავლანეთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყანა იყო ჩვენს მსახურებაში თავიდანვე, სადაც ამდაგვარი მსახურების ფორმა სავსებით ამართლებდა და ლტოლვილებში მოქმედების საშუალებასაც გვაძლევდა პაკისტანის საზღვარზე, სადაც გორდონ მაგნი (ავლანეთში ამ საქმიანობის დამაარსებელი, რომელიც ქაბულშია დასაფლავებული) მუშაობდა და სადაც მისმა ცოლმა გააგრძელა ეს საქმე. არაჩვეულებრივი მსახურება ჰქონდათ ნებისმიერი სახის ფიზიკური საჭიროებებისათვის და, ამავდროულად, სახარების გავრცელებასაც ცდილობდნენ. რაც ადვილი საქმე სულაც არ იყო.

ჯოსეფ დ'სუზა იყო მაშინ ინდოეთში ხელმძღვანელი, ვისმა მიმართულებამაც გამოიწვია მოძრაობაში ცვლილება. კეთილი მწყემსის ღარბებში მუშაობა კლინიკებსა და სკოლებში ისტორიული მოვლენა გახლდათ და ამჟამად 110-ზე მეტი სკოლაა მთელი ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით დალიტი ბავშვებისათვის, რომელთაც ხშირად უარს ეუბნებიან ნორმალურ განათლებაზე. როგორც უკვე ავლნიშნე, 250 მილიონზე მეტ ადამიანს ინდოეთში იმის ღირსადაც არ თვლიან, რომ ხელით შეეხონ. დღეს მათ ხშირად დალიტებს ეძახიან. მრავალს სჯერა, რომ ეს არის მონობის ერთ-ერთი ფორმა. აქ ჩვენ არ ვსაუბრობთ დაბალი კასტის ადამიანებზე (რომელთა რიცხვიც ასობით მილიონზე მეტს შეადგენს) არამედ განდევნილებზე. ამ ხალხისადმი წუხილი დაგვეხმარა ჩვენი ისტორიის ცვლილებაში. ეს არ უნდა იყოს იქ, რასაც მსოფლიოს ყველაზე დიდ დემოკრატიას უწოდებენ, მაგრამ ეს არის და ღვთის იღუმალი მოქმედების გზით ადვილზე, სადაც მსოფლიოში ყველაზე არეული სიტუაციაა, ასობით ათასი ადამიანი მოდის იესოსთან.

სტატია დავწერე ამის შესახებ და მიხდა რომ გაგიზიაროთ:

## რას იტყვიან ჩვენი შვილიშვილები?

მონობის გაუქმებიდან ორი თუ სამი თაობის შემდეგ, მათი შვილიშვილები, ვისაც მონობის სჯეროდა, პრაქტიკულად ახორციელებდა და მონაწილეობდა ამ საქმეში, ფიქრობდნენ როგორ შეიძლებოდა, რომ ასეთი ბრძენები და სულელები ყოფილიყვნენ მათი წინაპრები. (შესაფერისი სიტყვები შეგიძლიათ თქვენვე შეარჩიოთ). დილის ვარჯიშისას ფილიპიანისის წიგნს ვუსმენდი **რატომ არის საოცრება მადლი**, განსაკუთრებით სეგრეგაციის საკითხი. ჩვენ ახლა გვიკვირს როგორ უნდა ყოფილიყო ის თაობა ასეთი ბრძა, რასისტული (ქრისტიანებიც კი) და ხშირად მოძულენი. ჩვენ ეს არარეალურად გვეჩვენება. სამხრეთ აფრიკაში, სადაც ერთ დროს აპარტეიდი მეფობდა (სოციალური შეხედულება, რომელიც თეთრკანიანებსა და შავკანიანებს ერთმანეთისაგან გამოყოფდა), ახალი თაობა გაოცებულია მათი მშობლების რწმენით და საქმეებით (დიდება ქრისტეს ყოველი გამონაკლისისათვის). როცა ფილმებს უყურებდნენ ან ისტორიას კითხულობდნენ, უჭირდათ ამის დაჯერება და ხშირად რცხვენოდათ კიდეც. რა თქმა უნდა მაშინაც არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც იცავდნენ და ახლაც იცავენ მონობასა და სეგრეგაციას. ახლა ევროპის ნაწილში აღსდგა ამდაგვარი ექსტრემიზმი და რადიკალიზმი. ნეო-ნაციისტური მოძრაობა საკმაოდ ცოცხალია, განსაკუთრებით ამერიკაში.

აი, ჩემი დიდი კითხვა ამ სტატიის ყველა მკითხველისათვის: რა პრობლემა გვაქვს დღეს, რას ვაკეთებთ ისე არასწორად, რის გამოც მომავალი თაობა გაოცდება ჩვენი სიბრძავეთ, ცრუ შეხედულებებით, სიზარმაცითა და სისულელით? ასეა, ახლა თითო გამოიშვერენ ჩემსკენ.

მე დარწმუნებული ვარ, რომ დღეს ეს არის „მიუკარებლობა,“ რამაც შექმნა ადამიანების ჯგუფი,



რომლებიც მონებივით ცხოვრობენ, აპარტიდის აღმატებულ-სეგრეგაციული ფორმით. ეს ყოველდღიურ გავლენას ახდენს 200 მილიონ ადამიანზე, ძირითადად ინდოეთში და სხვა ერებშიც.

თქვენ სად დგახართ ამ პრობლემასთან მიმართებაში? რას ვაკეთებთ მე და თქვენ ამასთან დაკავშირებით? ვკითხულობ გაზეთებს, ვუსმენ ახალ ამბებს და ზეპირად შემოდის ჩამოვთვალა ასობით ცნობილი ადამიანი საზოგადოების ნებისმიერ ფენაში (თქვენ რომელს ერგებით?) და თითქმის არავინ არაფერს აკეთებს ამ გლობალური უსამართლობის წინააღმდეგ! დაე, დასვან კითხვა რას იტყვიან მათი შვილები და შვილიშვილები მათზე. დაე ყველამ გავჩხრიკოთ ჩვენი გულები.

ინდოეთში ვცხოვრობდი და ეს გამომეპარა, მაგრამ მადლიერი ვარ ღმერთისა მათთვის ვინც დამეხმარა და გამომადვილა, რომ ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი მიზანი ამ საკითხში ცვლილების ხილვა გახდა.

ზოგიერთი თქვენგანისათვის შემდეგი ნაბიჯი, შესაძლოა, ჯოზეფ დ'სუზას წიგნი *დალიტების თავისუფლება: ახლა და მუდამ* (დალიტების თავისუფლების ნეთვორკი, 2005) იყოს. გვსურს საჩუქრად გავუგზავნოთ ყველას ეს წიგნი, ვინც მისამართს გამოგვიგზავნის. ჩემი იმეელია [georg.verwer@om.org](mailto:georg.verwer@om.org). გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენი საფოსტო მისამართი.

მოსწავლე კვლავ სწავლობს სამართლიანობასა და მადლს და ცოცხალი ღმერთის მსახურებას.

### **ჯორჯ ვერვერი**

1998 წელს, ჩვენი წინამძღოლების კონფერენციაზე, სამხრეთ აფრიკაში, გამოვაცხადე, რომ ხუთ წელში ოემის საერთაშორისო წინამძღოლობიდან უნდა გადავმდგარიყავი. რაც 2003 წელს მოხდა და პიტერ მეილენმა, მოძრაობის მიერ არჩეულმა (საკმაოდ რთული პროცესი დაბრკოლებებით),

დაიკავა ეს პოზიცია მომდევნო ათი წლის განმავლობაში. ახლა ეს პოზიცია უჭირავს ლაურენს ტონგს, ვინც სინგაპურიდან მუშაობს, საიდანაც არის წარმოშობით.

წინამძღოლობიდან გადადგომისას, ზოგიერთებმა იფიქრეს: **ვერვერი, ბატონი ევანგელიზაციის განმცხადებელი, არასოდეს შეიცვლება.** ასეცაა, რადგან ღმერთი გამძლეა ამისაკენ, რომ ამომერჩია მსახურების ეს თეოლოგია. ეს მე ცხადად დავინახე ბიბლიაში და ისტორიაში. ამან შეცვალა ჩემი აზროვნება, საუბარი და ცხოვრება; განსაკუთრებით, ჩემი დროისა და ფულის გამოყენების გზები. ძალიან ბევრჯერ მიქადაგია ამის შესახებ, და ამ თემაზე ლაპარაკია ასევე წიგნის *წვეთები გაფუჭებული ონკანიდან* ერთ-ერთ თავში.

ჩვენი განსაკუთრებული მსახურების პროექტთან ერთად, რომელზეც პიტერ მეიდენი და ოემის ხელმძღვანელები ფიქრობდნენ, რომ უნდა ჩავრთულიყავი და მეხელმძღვანელა და კვლავ ვყოფილიყავი ორგანიზაციის საქმიანობის ნაწილი, დავიწყეთ იმ პროექტებზე მუშაობა რომელიც დაკავშირებული იყო მსოფლიოს მასშტაბის პრობლემებთან, დაწყებული შიდსის კრიზისითა და გაგრძელებული სუფთა დასალევი წყლის მწვავე დეფიციტით, ასევე სიღატაკის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა სახესთან. საქმის დაწყების შემდეგ მივხვდი, რომ ადამიანის უფლებების დაცვაში აუცილებლად უნდა გვეგულისხმა ჯერაც დაუბადებელი ბავშვების უფლებები. პატრიკ დიქსონთან კონტაქტით დავიწყეთ მრავალ ენაზე ასობით ათასი წიგნის გამოცემა *AIDS მოქმედება* (ბუკპრინტ კრეატივ, 2010). რენდი ალკორნთან კი ათობით ათასი მრავალ ენაზე თარგმნილი წიგნი *უარი აბორტს: დაუბადებელ ბავშვებსა და მათ დედებზე ზრუნვა* (ჰენდრიკსონი, 2012) გამოვეცით. ზოგიერთ ენაზე, ეს იყო პირველი ქრისტიანული დაბეჭდილი წიგნი. ღმერთმა გაგვიხსნა კარი ამ უწყების საქადაგებლად, ტელევიზიასა და რადიოშიც კი, მთელ მსოფლიოში და ჩემი ვებსაიტის მეშვეობით [www.georgeverwer.com](http://www.georgeverwer.com) და სხვა საიტებით, სიტყვა შორს და ფართოდ გავრცელდა.

ამ წიგნში ადვილი არ არის იმ გამოწვევებსა და ცვლილებებზე სასაუბროდ რომელთა წინაშეც ჩვენი მოძრაობა წარსდგა ხსენებული საქმიანობისას. ეს არ იყო ადვილი ქორწინება, ქორწინება კი არც არასოდესაა ადვილი. ზოგიერთებმა იგრძნეს, რომ მნიშვნელოვანი ევანგელიზაცია გვერდზე გადავდეთ და მოძრაობამ მხოლოდ სოციალური პროექტებისა და მატერიალური დახმარების პროექტებისაკენ აიღო გეზი.

დებატები მოეწყო და წერილები დაიწერა. ყველაფერი უფრო კომპლექსური და დაულაგებელი ჩანდა. მრავალგვარი საჭიროებებისათვის თანხის მოძიების სტრესი იზრდებოდა და კრიზისი გარდაუვალი ჩანდა. ამ გადასახედიდან, დიდი მსახურებისათვის თანხების მოპოვებაზე ლოცვის პასუხი ყოველთვის მაკვირვებს. არ მგონია, ვინმემ იცოდეს რამდენად უფრო დიდია ახლა ბიუჯეტი ვიდრე იმ „ძველ დროში“. რამოდენიმეჯერ გაორმაგდა. მე ვფიქრობ, რომ შესანიშნავ ბალანსს ვფლობთ ნებისმიერი სახის ევანგელიზაციის საკითხში. რაც მოიცავს მილიონობით ადამიანთან სახარების მიტანას, რაც ჯერ კიდევ მოძრაობის მთავარი მიზანია და დარწმუნებით შემოდლია ვთქვა – ჩემიც. რისი აშკარა მოწმობაცაა ოემის მიერ გამოცემული წიგნები და აუდიო მასალა. მაგალითად, მე ვსაუბრობ ჩემი მსახურებისა და განსაკუთრებული პროექტების შესახებ, მაგრამ რადგან ოემის სრულ შემოსავალთან ჩემი პროექტების შემოწირულობა შედარებით ძალიან მწირია, ვფიქრობდი, რომ თანხის უმეტესი ნაწილი ევანგელიზაციასა და ეკლესიების დაარსებასთან დაკავშირებულ საქმიანობას უნდა მოხმარებოდა.

განსაკუთრებით მამხნევეს ის, რომ გემის მსახურება და სახარების ხალხთან მიტანის ეს გზა ჯერ კიდევ პრიორიტეტულია, განსაკუთრებით ლიტერატურის გამოყენება. 40 მილიონმა ადამიანმა შეადგა ფეხი გემზე და ათობით მილიონზე მეტ ადამიანს გაუზიარა სიტყვა ეკლესიებსა თუ ზღვის სანაპირო ქუჩებში.

რამ წამიყვანა ამ მიმართულებისაკენ? პირველ რიგში ეს იყო წერილის, ძველი და ახალი აღთქმების სიღრმისეული

შესწავლა. მივხვდი, რომ ყოველთვის მჯეროდა ეს გარკვეულ დონეზე, მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, რომ სხვა ჯგუფებსაც, როგორებიცაა: თეარფანდ, ვორდლ რელიფ და ვორდლ ვიჟენი, უნდა გაენაწილებინათ საქმეში პასუხისმგებლობა. ჯონ სტოტისნაირმა ღვთისმოსავმა კაცმა, ვის სკამზეც ახლა ვზივარ დასასვენებელ კოტეჯში, ჰუკისისში, და მსგავსი აზროვნების სხვა ადამიანებმა მოახდინეს უდიდესი გავლენა. მათაც კი, რომელთაც არ ვეთანხმებოდი, ჩემში აღძრეს გულის გაჩხრეკისა და რადიკალური ცვლილებისათვის მზადყოფნის სურვილი.

დიახ, ოემი უფრო მრავალწახნაგოვანი გახდა. მრავალს ეს არ მოსწონს და მიგვატოვებს, თუმცა სხვები გამოჩნდნენ, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობა, რომელიც უკვე გაიზარდა საქმის გასაგრძელებლად. ერთ-ერთი რამ, რაც გვამხნევებს არის მოძრაობაში ახალგაზრდა წინამძღოლების არმია (დაახლოებით მსოფლიოს ასი ერიდან), რომელთაც ღმერთმა მოუწოდა ხედვის განსახორციელებლად და საქმის წინსვლისათვის.

ჩვენი ცხოვრება, დრენა, მე და ჩვენი მცირერიცხოვანი თანამშრომლები, უფრო კომპლექსურები გავხდით. როგორც ჩანს, ახლა უფრო მცირე დრო გვაქვს საქმის საკეთებლად ვიდრე ადრე, როგორც მაგალითად თვითმფრინავში ფილმის ყურებაა. საკუთარი ლეპტოპი მაქვს გახსნილი, ასობით იმეულით, და ამას ვანიჭებ უპირატესობას. ამ გზაზე სიარულისას განსხვავებული საბადოებისა და სირთულეების სერია აღმოვაჩინეთ, მაგრამ ბოლოს მაინც ღმერთს ვანდობთ საქმეს, როგორც ყოველთვის. საოცარი პასუხები გვიხილავს ჩვენს ლოცვებზე და მადლობა ზოგიერთ დიდებულ წიგნს, რომელთა მეშვეობითაც ახლა ვიცით თუ როგორ გავუმკლავდეთ უპასუხო ლოცვებს. პიტერ გრეიგმა, რომელმაც დააფუძნა ლოცვითი მოძრაობა 24.7 დაწერა წიგნი *ღმერთი დუმს* (რეგალი, 2007); ჩემის აზრით, მისი გარეკანი ნამდვილად ემსახურება მიზანს, როგორც ფილიპ იანსეის *იმედგაცრეება ღმერთთან* (ზონდერვანი, 2009) და რონ ღუნას *როცა ზეცა დუმს* (პატერნოსტერი, 1994).

14 თავი

## ტვირთი და ხედვა, რაც არასოდეს შეცვლილა

მოქცევამდეც მქონდა ბიბლიის სიყვარული. მაგრამ 1953 წლის ზაფხულში ფოსტით მიღებულმა იოანეს სახარებამ და ბილი გრემის 1955 წლის 3 მარტის ქადაგებამ, სრულიად შეცვალა ჩემი ცხოვრების კურსი.

მანამდე, ბიბლიის კლუბის შეხვედრას დავესწარი რამდენჯერმე რამსის საშუალო სკოლაში, რაც შეიძლება ჩემთვის იოანეს სახარებისა და შემდეგი წერილის გამოგზავნის მიზეზი ყოფილიყო...

სიცოცხლის სიტყვის ბანაკი  
შრუნ ლეიქ, ნიუ იორკი  
ივლისის 15, 1953

ძვირფასო ბიბლიის კლუბის წევრო,  
ზაფხული კარგა ხანია დაიწყო და დარწმუნებული ვარ,  
რომ კარგ დროს ატარებთ. მუშაობთ თუ ისვენებთ,  
წარმომიდგენია, რომ თავისუფალი დრო მაინც  
გექნებათ. როგორც ბიბლიის კლუბის პრეზიდენტი,  
ყოველთვის მინდოდა, რომ კლუბის ყველა წევრს  
ბიბლიის ნაწილი მაინც წაეკითხა. სასწავლო წლის  
განმავლობაში, ჩვენი დრო საკმაოდ დაკავებულია  
სასკოლო დავალებების შესრულებით, მაგრამ ახლა  
რადგან მცირეოდენი თავისუფალი დრო გაქვთ, მინდა

მოგიწვიოთ ღვთის სიტყვის ნაწილის წასაკითხად, რომელიც თან ახლავს წერილს, იოანეს სახარება.

რამოდენიმე მიზეზია, რომელიც მოკლედ უნდა ავლნიშნო, თუ რატომ მინდა, რომ ეს წაიკითხოთ. პირველ რიგში ბიბლია თავად გეუბნებათ, რომ „წერილი გამოიძიოთ“ იოან. 5:39. ეს არის ღმერთის ერთ-ერთი მცნება, რომელსაც უნდა დავემორჩილოთ. აგრეთვე, ბიბლიაში ძალიან ბევრი საინტერესო ისტორიაა სასწაულებისა და საოცარი გამოცდილებების შესახებ და ყველა მათგანი სიმართლეა, როგორც ამბობს იოან. 17.17: „შენი სიტყვა ჭეშმარიტებაა.“ ბიბლია ასევე შესანიშნავი წყაროა სიხარულისა და მრავალთა კურთხევისა, ჩემი ჩათვლით. მხოლოდ ამ წიგნში ვნახავთ ღვთიურ შეგონებებს ჩვენი ცხოვრებისათვის. ამ წიგნის კითხვაში დახარჯული დრო იქნება მეტად მნიშვნელოვანი და შთამაგონებელი. ამ მოკლე წიგნში მოცემულია ბიბლიის ყველაზე მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებები, და გზა ნამდვილი სიხარულის, მშვიდობისა და წარმატების.

ეს ზაფხული იმდენად ფასეული იქნება თქვენთვის, რამდენადაც კარგ საქმეებს გააკეთებთ. ღვთის ამ მოკლე წიგნის წაკითხვა ნამდვილად ღირს, და ვლოცულობ, რომ იგი გახდეს თქვენთვის სიხარულისა და კურთხევის წყარო. თუ გაქვთ რაიმე შეკითხვა ან პრობლემა, რაშიაც შემოიძლია დახმარება გაგიწიოთ, გთხოვთ შემატყობინოთ. დიდი სიხარულით გაგიწევთ დახმარებას. ღმერთმა დაგლოცოთ თავის გზაზე.

თქვენი კეთილის მსურველი  
დანიელ კლაპი

ამ წერილის მიღებამდე, ჯიბის სახარების ლიგაში ვიყავი გაერთიანებული და ახალ აღთქმას ჯიბით დავატარებდი. ერთხელ

მათი პრეზენტაცია ვნახე, სადაც სახარებას ქადაგებდნენ და იოანეს სახარებას ავრცელებდნენ. აი ასე ჩაითესა ჩემს გულში ღვთის სიტყვის ყველასთან მიტანის საჭიროება.

აღამიანების უმეტესობამ იცის, რომ ღვთის საქმის მრავალ სფეროში ვმონაწილეობ და ყველა ორგანიზაციასა და ეკლესიას ვაფასებ, რომლებიც ღვთის გლობალური არმიის ნაწილს წარმოადგენენ. რასაც ახლა გიზიარებთ ჩემი გულიდან გამომდინარეობს ბევრი ფიქრისა და მთელი-ცხოვრების მსახურების შედეგად.

ინდოეთში ბოლო მოგზაურობისას, როცა უამრავ აღამიანს ჩამოვართვი ინტერვიუ და დასახული სამუშაო შევასრულე, მაინც გავაცნობიერე, რომ მიუხედავად ფანტასტიური მსახურებისა, მასობრივი ევანგელიზაციის ჩათვლით: რადიო, ტელევიზია, ფილმების ჩვენება, ლიტერატურა, და ასე შემდეგ, ჯერ კიდევ ასობით მილიონ აღამიანს **არასოდეს სმენია ან არ წაუკითხავს სახარება** (სახარებისეული ფილმის ნახვის ჩათვლით). აგრეთვე, მრავალი ჯგუფი გადავიდა ჰოლისტიკურ მსახურებაში, სკოლების მსგავსად დალიტებში რომ გვაქვს, რაც ძალიან დიდ დროსა და თანხას მოითხოვს. არაჩვეულებრივი ევანგელიზაცია და ეკლესიის დაარსების მსახურებაც მიმდინარეობს ამასთან ერთად და მაღლიერნი ვართ ღმერთის ამ საქმეში მიღწეული შედეგებისთვის.

დალიტები შეიძლება მალე გახდნენ ყველაზე დიდი ჯგუფი ინდოეთში, რომელთაც სახარება ეუწყათ, მაგრამ ძნელი სათქმელია 250 მილიონ მოსახლეობაში, სინამდვილეში რამდენ პროცენტს მივუტანეთ სახარება რაღაც ფორმით მაინც, როცა ვიცით, რომ მრავალი მათგანი წერა-კითხვის უცოდინარია? როგორც ამბობენ, დაახლოებით 300 მილიონი კიდევ „სხვა დაბალი“ კასტების წარმომადგენლები არიან, შეიძლება მეტიც, და გამკვირვებია როგორ მოხდა, რომ ამდენ აღამიანს ჯერ კიდევ არაფერი სმენია ან არ იცის ქრისტეში ხსნის მაღლის შესახებ? ეს სიტყვები იმ აღამიანს ეკუთვნის, რომლისათვისაც იესოს შესახებ მხოლოდ ერთხელ მოსმენა საკმარისი არ არის.

170 მილიონ მუსლიმზე მეტი ცხოვრობს ინდოეთში. ოპტიმისტები თუ ვიქნებით, მრავალ მილიონ ადამიანს ექნება სახარებისეული ფილმი ნანახი, ახალი აღთქმა წაკითხული ან მოსმენილი ან უნახავს რადიო და სატელევიზიო გადაცემები ამ საკითხზე. მაგრამ რას ვიტყვით მხოლოდ 70 მილიონიც რომ ყოფილიყო? 100 მილიონი კიდევ დარჩებოდა! გესმით ჩემი გულისტკივილი? ჩინეთის შესახებ ბოლო მონაცემებს არ ვფლობ, მაგრამ მიუხედავად მოქცეულთა რიცხვის სწრაფი ზრდისა, კითხვაც კი არავის დაებადება, რომ ასობით მილიონი ადამიანი კიდევ იქნება რომელთაც არასოდეს სმენიათ კეთილი უწყება.

ახლახანს შევნიშნე დიდი წინგადადგმული ნაბიჯი ბიბლიის წიგნების მრავალ ენაზე დაბეჭდვის საქმეში. ამ ენათაგან ზოგიერთი ძალიან მცირერიცხოვან ხალხს გულისხმობს; კეთილი - მჯერა ამისი. კარგია წაკითხო, რომ მრავალი მილიონი დოლარია გაღებული ამ საქმისათვის. სწორედ ამიტომ მიჭირს იმის გაგება, რომ ჯერ კიდევ არსებობს ასობით მილიონი ადამიანი (ზოგიერთები მილიარდს ამბობენ) ჩვენს გარშემო, რომელთა ენებზეც უკვე თარგმნილი ვგაქვს (ახალი აღთქმა, ბროშურები, დივიდი, ბუკლეტები, სიდი და ასე შემდეგ) და, მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არაფერი მიგვიწვდია ამ ადამიანებისათვის. **რაშიც აზრს ვერ ვხედავ.** შეიძლება ზოგიერთი მკითხველი დამეხმაროს ამის გაგებაში?

ერთი ჯგუფის განცხადება, რომ ძალე კიდევ ერთ მილიარდ ადამიანს მიიყვანენ იესოსთან, მიმაჩნია, რომ დაუჯერებელია, თუმცა მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში ეკლესიათა მასიური ზრდა შეინიშნება, ვინ იცის? ვფიქრობ ჭეშმარიტებაა, რომ მხოლოდ მცირე გავლენას თუ მოვახდენთ ასობით მილიონზე, რომლებიც უფრო მეტად არიან სახარების მოწინააღმდეგენი ან შორს ცხოვრობენ იმ ფენებისაგან, სადაც ეს შედეგი მიიღწევა. მაგალითად, მოქცეული დალიტები ინდოეთში მოახდენენ თუ არა გავლენას ბრაჰმანებზე?

ჩემი ვედრებაა, რომ უფრო მეტი ილოცოთ ამ ასობით მილიონი ადამიანისათვის, რათა მათ სახარების უწყება მოისმინონ. ილოცებთ თუ არა ასეთი მსახურებისათვის ფინანსების



გასაღებად? ფინანსური ძალა უფრო მეტი საეკონომიკური საშუალების ამოქმედების შესაძლებლობას მოგვცემს ათასობით ეკონომისტი-სათვის, რომლებსაც სჭირდებათ ეს. იდეაში, ფული არ უნდა იყოს მთავარი, მაგრამ როცა ეს მთავარია, და ჩემს მსახურებაში ეს ძალიან ხშირად ასეა, მაშინ მოდი, როგორღაც მოვიპოვოთ იგი! ამ საქმის განხორციელებას ვერ შეძლებს მხოლოდ ერთი ორგანიზაცია ან ეკლესია, არამედ მასიური მოძრაობა (რასაც უკვე ადგილი აქვს), რომელსაც ადამიანები, მიუხედავად იმისა, რომ სხვა მსახურებაშიც არიან ჩართულები, მხარს უჭერენ და მათ გარშემო მყოფი მილიონობით ადამიანისათვის სახარების გაზიარებაში დამატებითი წვლილი შეაქვთ. მეტი ძალისხმევა გვჭირდება იმისათვის, რომ ახალ მორწმუნეს ყველა ეკლესიაში ვასწავლოთ, რომ ყოველმა მათგანმა უნდა იზრუნოს მათ ირგვლივ დაკარგულ ადამიანებზე – ეს იქნება გიგანტური წინგადადგმული ნაბიჯი.

ვაპირებ, რომ ჩემს მსახურებაში ამ საკითხს უფრო მეტი დრო დავუთმო და თუ რომელიმე თქვენგანი იცნობთ ვინმეს, სადმე, რომელსაც გული ანალოგიური საქმისათვის უცემს, პიროვნულად მსურს მათთან საუბარი. მადლობელი ვარ, რომ აქამდე წაიკითხეთ ეს წიგნი და ერთი სული მაქვს როდის გავიგებ თქვენგან ინფორმაციას.

რამოდენიმე წლის წინ გადავწყვიტე იმ მსახურებათა სია შემედგინა, რომელთაც, სულ ცოტა, 100 მილიონი ადამიანისათვის დაურიგებიათ სახარება. მას „ასმილიონიანი კლუბი“ დავარქვი. შემძლია ეს სია, რომელიც ორმოცდაათამდე სააგენტოსა და მსახურებას მოიცავს, გამოგზავნით, ცხადია, თუ გსურთ. რა თქმა უნდა მრავალი ადამიანი მრავალ ერში და ენაში ისმენს სახარებას და ხშირადც კითხულობს. ზოგიერთებს სახარების მრავალი სხვადასხვა გამოცემებიც კი აქვთ, ბროშურები და ბუკლეტები. მაგრამ ასობით მილიონ ადამიანს ჯერ კიდევ არაფერი მიუღია.

ბევრი რამ გვაქვს სასიხარულო, მაგრამ ძალიან ბევრი გასაკეთებელი.

## სად მივდივართ აქედან?

ჩემი ძვირფასი მეგობრის სახლში ვიმყოფები ამჟამად, ერთ-ერთ ჩემს საყვარელ ქალაქ, ბელფასტში, ჩრდილო ირლანდიაში. შეიძლება ასჯერ მაინც ვყოფილვარ აქ, და საოცარია იმის ნახვა, რასაც ღმერთი ამ არეულობაში აკეთებს, არადა მჯეროდა, რომ ევროპაში ამაზე უარესი არაფერი იყო.

მთელი ამ წლების განმავლობაში ხშირად მსმენია ეკლესიების კრიტიკა, რომ საკმარისს არ აკეთებდნენ საქმის გამოსასწორებლად. რა ადვილია ეკლესიის დადანაშაულება! თუ ეკლესია ასეთი ცუდი იყო, მაშინ რატომ იყენებდა ცოცხალი ღმერთი მას აქ და ამ ორომტრიალში ასობით ადამიანი დაიხსნა? ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი, რომელმაც საშუალება მომცა და ფართოდ გამიღო კარი ერთ-ერთ თავის ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან საევანგელიზაციო მისიის კონფერენციაზე სასაუბროდ. ეს გახდა ყველაზე აქტიური ნაწილი დიდ ბრიტანეთში, არა მხოლოდ ოემისათვის, არამედ ათეულობით სამისიონერო ჯგუფებისათვის. როგორ შეუძლია ღმერთს გამოიყენოს ისეთი ადამიანი ან ეკლესია, რომელსაც წინასწარ აკვიატებული წარმოდგენა აქვს კათოლიკურ მოსახლეობაზე? ეს სამწუხარო დაყოფები დღემდე არსებობს ქვეყანაში და დიდ პრობლემას წარმოადგენს როგორც ვხვდები... მაგრამ ცოცხალი ღმერთი პრობლემებს აგვარებს. ყოველისშემძლე ღმერთი შეიძლება ხალხის გამო დამწუხრდეს და ამავედროულად ხალხი აკურთხოს. დიან, სწორედ ამას ვეძახი მესიოლოგიას.

ეს ამ წიგნის ბოლო თავია და ჩემი გული და გონება სავსეა იმით, რისი გაზიარებაც თქვენთვის მსურს. მინდა, ცოტა რამ მოგახსენოთ შემდეგ პრობლემაზე, რის შესახებაც დაფიქრებასაც გთხოვთ. შეიძლება ვიკვიროთ, რატომ არ ვისაუბრე უფრო მეტი ამ წიგნში მისიასა და განსაკუთრებით იმ ადამიანებზე, რომლებთან ჯერაც არ მიუღწევია სახარებას, მაგრამ არ მინდა გავიმეორო ის, რაც სხვა წიგნებში უკვე დავწერე. იმ წიგნებზე ვაშენებ და ვიმედოვნებ, ჯერ კიდევ შესაფერისი იქნება თანამედროვეობისათვის, მათთვის, ვისაც არ წავიკითხავთ. ათ წელზე მეტია, რაც ოემის ოფიციალური ისტორია შეგვიძლიათ წაიკითხოთ, რომელსაც *სულიერი რევოლუცია* ჰქვია იან რანდალის ავტორობით, რაც ბევრს ლაპარაკობს ჩემს რწმენაზე და იმაზე, თუ როგორ იმოქმედა ღმერთმა ჩემსა და ოემის ცხოვრებაში. გთხოვთ წაიკითხოთ ეს წიგნი. გთხოვთ დაკვირვებით წაიკითხოთ, რადგან ძალიან ბევრი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ იმის შესახებ, თუ როგორ იყვნენ ღმერთი ყოველნაირ ადამიანს თავისი საოცარი საქმისათვის სხვადასხვა გზით. რამოდენიმე წიგნია გამოცემული გემის მსახურების შესახებ, მათ შორის დები მეროფის უნიკალური წიგნი *ფსალმუნები ზღვიდან* (ამაზონი, 2012).

მინდა გთხოვოთ, დაფიქრდეთ კარიერულ მისიონერობაზე. ზოგიერთებს არ მოსწონთ სიტყვა მისიონერი, რას იტყოდით „ერებში ქრისტეს ელჩზე“ სრული დროით? ეს ის გადაწყვეტილებაა მე და დრენამ ერთმანეთთან შეხვედრამდე რომ მივიღეთ და ახლა ორმოცდათხუთმეტწლიანი ერთად მსახურებისა და მუშაობის წლებს თვალს ვავლებთ. სამოცდაათი წლის ასაკში, დრენა სრული დატვირთვით მუშაობს, როგორც მისიონერი, ფარდის მიღმა, ყოველ დღე. მრავალი ცვლილება განვიცადეთ, მაგრამ ჩვენ არ გვჯერა ჩვენი **მეფის** მსახურებაში პენსიაზე გასვლის. უკვე სტრატეგია მაქვს შემუშავებული, თუ როგორ შეიძლება საწოლში დავრჩე ჩემს ტელეფონთან და ლეპტოპთან და ჩემი საქმიანობის საკმაოდ ნაწილი ასე შევასრულო.

რა სამწუხაროა, რომ დღეს მრავალმა ეკლესიამ შორს მოისროლა საქმეების მე-13 თავი და გრძელვადიან მისიონერებს აღარ აგზავნიან ეკლესიებიდან. ეს ისეთ ეკლესიებსაც მოიცავს მე რომ დიდ პატივს ვცემ. ვიცი არასასიამოვნო ისტორიები ვრცელდება მისიონერების შესახებ (ზოგიერთი მათგანი სიმართლესაც შეეფერება), რამაც კარგად ცნობილ ქრისტიან წინამძღოლებში მცდარი იდეების განვითარებას შეუწყო ხელი. ერთ-ერთი გულის გასატეხი წიგნი დაიწერა ჩემი საყვარელი ადამიანის მიერ, ვისაც ღმერთი იყენებს, თუმცა იგი გვთხოვს, რომ შევწყვიტოთ მისიონერების გაგზავნა სხვადასხვა კულტურებში და, განსაკუთრებით, ამერიკიდან. ესე იგი, მე და დრენა არასოდეს უნდა წავსულიყავით ინდოეთში? აქვთ თუ არა ადამიანებს წარმოდგენა იმის შესახებ, რამდენი მილიონი ადამიანი მივიდა ქრისტესთან და დღესაც მიდიან იმიტომ, რომ მისიონერები გავაგზავნეთ იქ? ზოგიერთ ადგილებში აღარ გეჭირდება ბევრი მისიონერი, მაგრამ სხვა ერებიც ხომ არსებობენ, სულ მცირე, ორმოცი, რომელთაც აუცილებლად სჭირდებათ გრძელვადიანი მისიონერები, მათ ენას რომ შეისწავლიან ისეთები. კარვის მისიონერობისაც მჯერა, რომელთაც თავიანთი სამსახური აქვთ, მაგრამ ძალიან ხშირად, ჩემი დაკვირვებით, სამსახური მათ ენერგიას აცლით (თუ ოჯახიც აქვთ, მითუმეტეს) და მცირე დროლა რჩებათ სახარების გაზიარებისა და ეკლესიის დაარსებისათვის. ყველა გამონაკლისს სიხარულით ვხვდებით. ოემი მიჩნეულია მოკლევადიანი მისიონერების დაბადების ერთ-ერთ მთავარ ორგანიზაციად, მაგრამ ეს არ იყო ჩემი მიზანი დასაწყისში. ჩვენ, პირველი დღიდანვე, ვეძებდით მთელი ცხოვრების მანძილზე მიძღვნილებს.

მექსიკაში დავინახეთ, და უფრო მეტად ევროპაში, რა შესანიშნავად იყენებს ღმერთი მოკლე ვადით მიძღვნილ მისიონერებს, რაც გლობალური ფენომენი გახდა ასობით ათასი ადამიანის ქრისტესთან მისაყვანად. დიან, ძალიან ბევრი შეცდომები იყო ამ გზაზე და ასევე ბევრი დაუღვერობაც.

ამ ყველაფერში ვისწავლეთ, რომ ძალიან ხშირად ფინანსების მოპოვება უფრო რთული იყო, ვიდრე ადამიანების. ჩვენ

დავინახეთ დიდი პასუხები ლოცვაზე ფინანსების მოზიდვასთან მიმართებით და ოემი მიჩნეულ იქნა რწმენის მისიის მოძრაობის ნაწილად, რომლის პიონერებიც გაუცნობიერებლად აღმოჩნდნენ ჰადსონ ტეილორი, ს. ტ. სტადი და სხვა მრავალი მათი მსგავსი ადამიანები. ჯორჯ მიულერიმა, ვისაც ხმამაღლა არ უთხოვია ფული და, რომელმაც თავისი მსახურება ძირითადად ობლებს მიუძღვნა, რწმენითა და ლოცვით იღებდა აუცილებელ თანხებს. მას აგრეთვე მიიჩნევენ ძმების მოძრაობის დამფუძნებლად (ერთ-ერთი ყველაზე დიდებული და ყველაზე მოუწესრიგებელი მოძრაობა ისტორიაში) რომელიც, მის სიცოცხლეშივე აირია და ერთ-ერთ დამფუძნებელს ჯ. ნ. დარბის დაშორდა.

ჩემი პირადი კვლევა, აჩვენებს, რომ ჯორჯ მიულერი იმ დროინდელ კულტურაში, შესანიშნავი სახსრების მომპოვებელი იყო და გადავწყვიტე მისთვის მიმებაძა. ლოცვა და ფინანსებზე ზრუნვა ოემისა და სხვა მსახურებებისათვისაც ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი მოტივაციის მომცემი საქმე იყო ჩემს ცხოვრებაში. შემეძლო წიგნი დამეწერა ამაზე, მაგრამ ვლოცულობ, რომ წინ კიდევ უფრო უკეთესი საქმეები იყოს. ახალი აღთქმა ცხადად გვიჩვენებს, რომ ერთად ლოცვაში საჭიროა უმაღლესი კომუნიკაცია, ღიაობა, გულწრფელობა და ერთიანობა. ჩვენ უკვე ვახსენეთ ამ საკითხთან დაკავშირებული რამოდენიმე წიგნი, მაგრამ ყველაზე ბოლოს ძალიან დამეხმარა წიგნი *სახარების პატრონები* (რეკლამიდ პაბლიშინგ, 2014) ჯონ რინეჰარტის ავტორობით. იგი გვიხიარებს მოსაზრებას, თუ როგორი მნიშვნელობა აქვთ ბიზნესმენებს, რომელთაც ფულის კეთების ნიჭი და უნარი აქვთ და ხშირად სასიცოცხლო მნიშვნელობის მონაწილეობას იღებენ ღვთის მიერ სხვა ცხებული და ნიჭიერი ადამიანების მეშვეობით გაკეთებულ საქმეში.

თუ მისტერიის, მოწყალებისა და მესიოლოგიის (და მადლის) უწყება ვერ გამოხატა ამ წიგნმა, მაშინ მარცხი განმიცდია. თუ ზოგიერთ მკითხველთაგანს ჯერაც არ მიგიღიათ ხსნა ღვთის მადლით და იმის რწმენით, რომ უფალი იესო მოკვდა თქვენი ცოდვებისათვის, **თქვენ** ახლა უნდა გააკეთოთ ეს არჩევანი.

ზოგიერთებმა, მიუხედავად იმისა, რომ ხელახლა შობა და მადლი განიცადეს საკუთარ თავს მაინც ვერ აპატიეს, რის გამოც უფუნქციობა და კომპლექსურობა დაღად დაანდება მათ ცხოვრებასა და მსახურებას. დარწმუნებით დავინახეთ, რომ ღმერთი არა მარტო მუშაობს მოუწესრიგებელ სიტუაციაში, არამედ დამწუხრებულებაცაა, მაგრამ მას შეუძლია იმუშაოს მოუწესრიგებელ ადამიანებთან. **მას სურს თქვენი გამოყენება**, მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი პრობლემა და მარცხი გქონიათ ცხოვრებაში. შეიძლება, ცოდვისა და დაცემის გამო კოჭლობით დადიხართ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მაინც დადიხართ. შესაძლოა, მას სურს, რომ თქვენ მსოფლიოს იმ ადგილებში წახვიდეთ, სადაც წასვლას ვერასოდეს იფიქრებდით. სულ რომ არაფერი, ილოცებთ მაინც ამაზე?

სხვებს, რომლებიც ამ წიგნს კითხულობენ, შესაძლოა, სინამდვილეში არ მიუტევებიათ სხვებისათვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც გული ატკინათ, იმედი გაუცრუათ ან, თუნდაც, უღალატეს. შესაძლოა, გონებაში კი მიუტევეს, მაგრამ არა პრაქტიკულ რეალობაში. შესაძლოა, ეს ჭიდილი დიდხანს გაგრძელდეს, მაგრამ ნაბიჯი აუცილებლად უნდა გადაიდგას. თუ ღმერთი დაგელაპარაკათ ჩემს მიერ გაზიარებულ საკითხებთან დაკავშირებით, მინდა, რომ რამოდენიმე პრაქტიკული ნაბიჯი მიიღოთ მხედველობაში და ეს უწყება თავიდან გულში და პრაქტიკაში გადაიტანოთ:

1. მიიღე გადაწყვეტილება, რომ იყო უფრო ოპტიმისტი და პოზიტიური, და დაიწყე პრაქტიკულად იმის გაზიარება, თუ რა შესანიშნავ საქმეებს აკეთებს ღმერთი ადგილობრივ ეკლესიაში და მსოფლიოში.
2. გაწევრიანდი, სულ მცირე, ერთ ლოცვის ჯგუფში მაინც, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ერებზე და, უფრო მეტად, უწყების უცოდინარ ხალხებზე. იმედი მაქვს, რომ თქვენი ეკლესიის ლოცვით ჯგუფში მაინც იღებთ მონაწილეობას,

მაგრამ ვიმედოვნებ, რომ სხვა საკითხზე ლოცვის ჯგუფსაც შეუერთდებით. შეიძლება, რომელიმე თემაზე დაიწყოთ კიდევ ლოცვითი შეხვედრა.

3. დაიწყე წიგნების, დივიდის (ან ვებსაიტების გაზიარება) დარიგებაში მონაწილეობა, რაც დაგეხმარათ თქვენ და გაუზიარე წერილი ადამიანებს და ქრისტიანული დივიდი თქვენს ნაცნობებს ან მათ, ვინც ღმერთს არ იცნობენ.
4. სასწრაფოდ წადით მოკლე ხნით სამისიონერო მოგზაურობაში. ეცადეთ, უპირატესობა მიანიჭოთ ისეთ მსახურებას, სადაც პირადად მოგეცემათ თქვენი რწმენის გაზიარების საშუალება და ხალხთან ურთიერთობას დაამყარებთ. ეცადეთ, იმუშაოთ ღარიბებში და იქ, სადაც დაძაბული მღვდმარეობა თქვენს რწმენას გამოსცდის.
5. დაიწყე დატკეპნილი გზიდან გადახვევა და სხვა კულტურების მქონე ადამიანებთან შეხვედრა შენს სამეზობლოში. დაიწყე, სულ მცირე, ერთი სხვა ენის შესწავლა. თუ ენა უკვე ისწავლე (მე სკოლაში ვსწავლობდი ესპანურს), მაშინ მიიღე გადაწყვეტილება და სრულად დაეუფლე ენას. რაც შეიძლება დროულად წადი ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხში. გამიზნულად აირჩიე ის საქმე, რომელიც უფრო რთულად გეჩვენება.
6. ისწავლე და პრაქტიკაში განახორციელე დროის ნაყოფიერად გამოყენება. ნაკლები ტელევიზორი და მეტი მოქმედება უნდა იყოს შენი დევიზი. იფრთხილეთ სატელევიზიო მახის, თამაშებისა და უსასრულო საუბრების წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ამ ყველაფრისათვის არსებობს ზომიერი დრო და, უფრო მეტიც, (მზიარული სიტუაციებიც), მაგრამ არა მოჭარბებული. ცხადია, თუ შვილები და შვილიშვილები გყავთ ეს დრო უნდა გაიზარდოს. ურწმუნო მეგობრებთან არ უნდა ვიყოთ ნერვიულები, ექსტრემალურები და დაძაბულები.

გაიხსენეთ 1 კორ. 9.22: „უძლურთათვის გავხდი უძლურით, რათა უძლური შემეძინა. ყველასათვის ყველაფერი გავხდი, რათა ზოგიერთები მეხსნა როგორმე.“

7. იფიქრე ბიბლიის კოლეჯში წასვლაზე. ამის გაკეთება ინტერნეტითაც შეიძლება და დაუსწრებლაც. ორმოცდაცამეტწლიანი კავშირი გვაქვს კაპერნერეთის სამმოსთან, რომელსაც მოკლევადიანი ბიბლიის სკოლები აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ამ, თუ სხვა, გზით უფრო მეტი დროის გატარება გჭირდებათ ღვთის სიტყვასთან. განსაკუთრებით ვთხოვ ადამიანებს სახარების ზოგიერთი ადგილის დახეპირებას, რაც ჩემი ცხოვრების გარდაქმნაში დამეხმარა მოქცევამდეც კი. დიახ, ბიჭი სკაუტების „ღვთისა და ქვეყნის ჯილდოს“ მისაღებად სახარების ადგილები უნდა დამეხეპირებინა. რომ. 8 იყო ეს თავი. მეორე დღეს გავოცდი ჯილდო რომ გადმომცეს.
8. მიიღე გადაწყვეტილება და პრაქტიკაში გაატარე ყოველდღიური მადლიერება. ვინმემ რამე თუ მოგცათ ამ ბოლო ხანებში – წიგნი, ან ჭიქა ჩაი, ან სადგურამდე მანქანით წაგიყვანათ მადლობა გადაუხადეთ? ერთი მეგობარი მყავს, რომელიც გადაჭარბებით უხდის მადლობას ხალხს. განა მხოლოდ ის უნდა იყოს ერთადერთი? ძალიან ბევრ წიგნს ვჩუქნი ირგვლივ მყოფთ. ადამიანების უმეტესობა არასოდეს იხდის მადლობას, გარდა პირადად გადაცემის შემთხვევისა, როცა ავტომატურად ამბობს ადამიანი მადლობას, მაგრამ მოგვიანებით, როცა ის მადლობის წერილს მიიღებს, ეს ძალიან გააოცებს მას. მადლობას ვუხდი ღმერთს, რომ მომიტევა როცა მადლიერი არ ვიყავი ან საკმარისი სიყვარულით არ გადავუხადე ადამიანებს მადლობა.
9. ბეჯითად იშრომეთ კარგად რომ დაიძინოთ, სწორად იკვებეთ და ივარჯიშეთ. ეს მთელი ჩემი ცხოვრების პრაქტიკას



წარმოადგენს და ჭეშმარიტად ვუწვევ რეკომენდაციას. ახალი ალტქმის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მუხლი ჩემთვის 1 კორ. 9.24-27 არის:

*„არ იცით, რომ ასპარეზზე მორბენალნი ყველანი ვარბიან, მაგრამ მხოლოდ ერთი იღებს ჯილდოს? მაშ, ირბინეთ ისე, რომ მოიპოვოთ ჯილდო. ყველა, ვინც იღწვის, თავს იკავებს ყველაფრისაგან. ისინი – ხრწნადი გვირგვინის მისაღებად, ჩვენ კი – უხრწნადის მოსაპოვებლად. ამიტომ მე უძიზნოდ კი არ მივრბივარ, ისე კი არ ვიბრძვი, თითქოს ჰაერს ვებრძოდე, არამედ ვთრგუნავ და ვიმონებ ჩემს სხეულს, რათა სხვებისთვის მქადაგებელი, თვითონ არ აღმოვჩნდე უღირსი.“*

10. მიიღე უფრო მეტ ხალხთან ურთიერთობის გაგრძელების გადაწყვეტილება, ილოცე მათთვის სადაც შეძლებ. მიმართე მრავალფეროვან ხერხებს, მაგრამ არ დაივიწყო პირისპირ ყავაზე, ჩაიზე ან ჭიქა წყალზე შეხვედრა. ერთად სადმე წასვლა სიყვარულის, ზრუნვის, მომსახურებისა და ქადაგების მიზნით კიდევ უფრო უკეთესია. მომწონს იმეელებისა და ფეისბუქის გამოყენება, მაგრამ სატელეფონო კავშირები შეძვირდა; ადამიანები უფრო ნაკლებად იყნებენ მას. ვფიქრობ, რომ რაღაც განსაკუთრებულია ადამიანის ხმის მოსმენა. დიდება ღმერთს სკაიპისა და სხვა მსგავსი გზებით ადამიანებთან საუბრის შესაძლებლობისათვის. ეს თან უნდა მოიცავდეს მიტევებას, რადგან ადამიანები გაწყენინებენ ან უარყოფას იგრძნობ მათგან. დიდი შეცდომა იქნება, თუ თქვენ არ აიღებთ ინიციატივას. მე ისეთ ადამიანებთან მაქვს კავშირი ფული რომ სჭირდებათ და ამისათვის ფინანსები მაქვს (რომელსაც ეწოდება განსაკუთრებული პროექტები), მაგრამ გამოიცანით რატომ არ იღებს მრავალი ადამიანი თანხას? **ისინი არასოდეს** ითხოვენ. სხვათა შორის, შესანიშნავი წიგნები არსებობს თანხების მოძიების შესახებ, რომელთაგან დიდი კურთხევა

მიმიდია, განსაკუთრებით *საოჯახო ბიზნესის დაფინანსება* (სტევარდშიზი, 2006) მაილს ვილსონისა და *მეგობრების მოძიება* (ვაივამი, 2012) ბეტი ბარნეტის ავტორობით.

11. ეცადეთ, მიიღოთ დამრიგებლის რჩევები და იყოთ ვინმეს წინაშე ანგარიშვალდებული, მაშინაც კი, თუკი ეს თქვენთვის არასრულყოფილად გამოიყურება. თუ დაქორწინებული ხართ, დარწმუნდით, რომ საკმარის დროს ატარებთ თქვენს მეუღლესთან და ოჯახთან. ნუ მოეღობათ, რომ ადვილი იქნება. მთელი ჩვენი ცხოვრება, დრენას და მე ერთად ლოცვის პრობლემა გვქონდა. და დაიმახსოვრეთ, თუ სერიოზულად ებრძვით ცდუნებას ან პორნოგრაფიას, **თქვენ** მართლა გჭირდებათ დახმარება.

თუ ჩემი წიგნის კითხვა დაასრულეთ, მაშინ კარგი იქნება თუ თქვენგან იმეებს მივიღებ და მეტყვით, რას აკეთებს ღმერთი თქვენს ცხოვრებაში. კარგი იქნება ვიცოდეთ ჩემი სხვა წიგნები თუ წაგიკითხავთ: *სიყვარულის რევოლუცია*, *ლიტერატურის ევანგელიზაცია*, *რეალობისათვის შიმშილი* (ადრინდელი სახელი – *მოდის იცხოვრე! მოკვდი!*), *არა, უკან დაბრუნებას!* (პატერნოსტერ, 2008) და *წვეთები გაფუჭებული ონკანიდან*. ძნელი დასაჯერებელია, რომ ორმოცდაათ ენაზე 1 მილიონი წიგნი გავრცელდა. დიდება ღმერთს!

ჩემთვის, ამ წიგნის გასრულება გრძელი მარათონი იყო, მაგრამ წინ დასასრულს ვხედავ და მადლიერი ვარ ნებისმიერი **დახმარებისათვის** ზემოდან ამ გზაზე სიარულისას. მადლიერი ვარ ღმერთის ყველა შესანიშნავი ადამიანისათვის, რომელთაც ჩემს ცხოვრებაზე გავლენა მოახდინეს ამ სამოცდაჩვიდმეტი წლის მანძილზე და თავს ვხრი ღმერთის წინაშე მადლიერებით და მსახურებით.

# რეკომენდირებული ლიტერატურა

ალექსანდრე სტრაუზი, *თუ ერთმანეთს კბენთ და ჭამთ* (ლევისი და როთი, 2011).

ალექსანდრე სტრაუზი, *სიყვარულით ნაწინამძღოლები* (ლევისი და როთი, 2006).

ალექსანდრე მურეი, *თავდაბლობა* (კრიეიტსპეისი, 2012).

ბეთი ბარნეტი, *მეგობრების მოძიება* (ვაივაში, 2012).

ბილი გრეემი, *თავისუფლება შვიდი სასიკვდილო ცოდვისაგან* (ზონდერვანი, 1963).

ბილი გრეემი, *მშვიდობა ღმერთთან* (ტომას ნელსონი, 2000).

ბილი გრეემი, *ბედნიერების საიდუმლოება* (ტომას ნელსონი, 2002).

ბრენან მანინგი, *რეგამაფინი სახარება* (ტომას ნელსონი, 2006).

ჩარლზ სვინდოლი, *მადლით გამოღვიძებული* (ტომას ნელსონი, 2006).

ქრის რაითი, ჯონ სტოტი: *სურათი მისი მეგობრების მიერ* (აივიპი, 2011).

ჩუა მიი ჰიანი, *ისწავლო წინამძღოლოზა* (აუთენტიკ ინდოეთი, 2010).

დევიდ პლატი, *რადიკალი* (რანდომ ჰაუსი, 2010).

დებიე მეროფი, *ფსალმუნები ზღვიდან* (ამაზონი, 2012).

ელაინ როტონი, *დულოსის ისტორია* (ბუკრიქსი, 2014).

ელიზაბეტ ელიოტი, *ბრწყინვალეების ჭიშკარში* (აუთენტიკ მედია, 2005).

გერი ვითეროლი, *სრული მიტევეზა* (ცინდალ ჰაუს, 2005).

გორდონ მაკდონალდი, *პირადი ცხოვრების ორგანიზება* (ტომას ნელსონი, 2012).

გორდონ მაკდონალდი, *დანგრეული პირადი სამყაროს აღდგენა* (ტომას ნელსონი, 2014).

ჰანა ზაქ მილეი, *გვირგვინი ნაცრიდან* (აუთსკერტსი, 2013).

ჰოის ბირკსი, *ახალი კაცი* (ეიჩ ბი პაბლიშინგ, 2012)

იან რანდალი, *სულიერი რევილუცია* (აუთენტიკ მედია, 2008).

ჯ. დევის ლანდი, *მსახურული წინამძღოლოზა გვიან შემსწავლელთათვის* (პატერნოსტერი, 2002).

ჯ. ოსვალდ სანდერსი, *სულიერი წინამძღოლოზა* (მუდი, 2007).

ჯონ სტოტი, *ფუნდამენტალური ქრისტიანობა* (აივიპი, 20112).

ჯოზეფ დესუზა, *დალიტების თავისუფლება ახლა და სამუდამოდ* (დალიტების თავისუფლების ნეთვორკი, 2005).

მაილს ვილსონი, *საოჯახო ბიზნესის დაფინანსება* (სტეკარდშიპ, 2006).

ნოე, (ფილმი), დირექტორი დარენ არონოვსკი (20014).

ნორმან ვინსენტ პილი, *შეცდომის გონების ოპტიმიზტი* (თაჩსტონ, 2003).

ოსვალდ მითი, *ენება სულებისათვის* (მელხი, 1986).

პატრიკ დიქსონი, *მოქმედება შიდსის წინააღმდეგ* (ბუქპრინტ კრეატივი, 2010).

პიტერ გრეივი, *ღვთის დუმილი* (რეგალ, 2007).

პიტერ ჰაასი, *ფარისევლობა: როგორ მოვიშორეთ შინაგანი ფარისევლობა სიხარულით და სხვა რელიგიური გადამდები დაავადებები* (ინფლუენს რესოურსისი, 2012).

ფილიპ იანსეი, *იმედგაცრეუება ღმერთთან* (ზონდერვანი, 2009).

ფილიპ იანსეი, *რატომ არის ასეთი საოცარი მადლი?* (ზონდერვანი, 2002).

ქოუ ვადისი (ფილმი), დირექტორი მერვინ ლეროი (1951).

კენდალი რ. ტ. *წმინდა ცეცხლი* (ქარიზმა ჰაუს, 2014).

კენდალი რ. ტ. *სრული მიტევება* (ჰოდერ ენდ სტაუტონი, 2010).

რენდი ალკორნი, *მადლისა და ჭეშმარიტების პარადოქსი* (მალტნომაჰი, 2003).

რენდი ალკორნი, *უარი აბორტს: დაუბადებელ ბავშვებსა და მათ დედებზე ზრუნვა* (ჰენდრიკსონი, 2012).

როდნი ჰიუი და ჯორჯ სიმპსონი, *ლოგოს ჰოუფ* (ბუკრიქსი, 2014).

რონ ღუნ, *როცა ზეცა დუმს* (პატერსონი, 1994).

როი ჰესიონი, *გოლგოთის ვზა* (1980).

ტომ ჰოვესტოლი, *ექსტრემალური სამართლიანობა* (მუდი, 1997).

ვივ ტომასი, *მეორე არჩევანი* (პატერნოსტერი, 2000).

უილიამ მაკდონალდი, *ჭეშმარიტი მოწაფეობა* (გოსპელ ფოლიო, 2003).

თეოდორ ეპი, *სიყვარული არის პასუხი* (ბექ თუ ზე ბაიბლ, 1960).

# ჯორჯ ვერვერის სხვა ნიგნები

თანმიმდევრობისათვის:

შიმშილი რეალობისათვის (აუთენტუიკ ლაიფსტაილ, 1996)  
ძველი სათაური – მოდი! იცხოვრე! მოკვდი!

წვეთები გაფუჭებული ონკანიდან (ათენტური მედია, 2011)

კომფორტის ზონის მიღმა (ბეთანი ჰაუსი, 2000)

„მადლით გაღვიძებული წინამძღოლობა“ ბუკლეტი, რომელიც მოიცავს თავებს „მადლიდან“ და „წინამძღოლობა“ კომფორტის ზონიდან (ბეთან ჰაუსი, 2000)

ცხოვრების რევოლუცია (ათენტური მედია, 2008)

წიგნთა წიგნი: იგავები დივიდი (ბიბლიკალ ფრეიმვორკს, 2015)

წიგნთა წიგნი: იგავების სახელმძღვანელო, პოლ გრაჰამის მიერ დაწერილი (ბიბლიკალ ფრეიმვორკსი, 2015)

ჯორჯი-რეალურად დივიდი (2015)

ლიტერატურის ევანგელიზაცია (ათენტუიკ ლაიფსტაილ, ხელახალი გამოცემა 2003) – ჯორჯის პირველი წიგნი

არა, უკან დაბრუნებას! (პატერნოსტერი, 2008)

## ჯორჯი – რეალურად (დივიდი)

გაჰყევით ჯორჯს მოგზაურობისას ინდოეთში, მექსიკაში, ჰონ კონგში, დიდ ბრიტანეთში და მის სამშობლოში ნიუ ჯერსიში და აღმოაჩინეთ, რომ ღვთის მადლს შეზღუდვები არ აქვს. ეს ერთი თვალის გადავლებით გაკეთებული დოკუმენტი წარმოგვიჩენს ენერჯიას, ენთუზიაზმს, ხედვას და თავმდაბლობას ერთი კაცის ცხოვრებისა და მისიის შესახებ. ოპერეიშენ მობილიზეიშენის დამაარსებლის, ჯორჯის ისტორია შთაგვაგონებს, გვიწვევს და გვამხნევეს მათ, ვინც ფიქრობს: ნეტავ ღმერთი თუ ოღესმე გამოიყენებს მათ მისი დიდებისათვის.

დივიდი-დაახლოებით 55 წუთი

ახლანდელი ფასებისათვის ეწვიეთ [www.cwr.org.uk/store](http://www.cwr.org.uk/store)  
შეძენა შეგიძლიათ ინტერნეტით ან ქრისტიანული წიგნების მაღაზიებში.



# სარჩევი

მიძღვნა .....	5
სამადლობელი.....	6
წინასიტყვაობა .....	7
შესავალი .....	10
მესიოლოგია .....	14
ცეცხლმაქრები, წიგნები და იგავები .....	22
ერთობა განსხვავებულობაში .....	32
პარადოქსი, კომპლექსურობა, მისტერია და მესიოლოგია.....	37
ეკლესია, მისია და ჰოლივუდი .....	47
უნდა ვიყოთ თუ არა ასეთი დოგმატურები? .....	53
რომანსი, ქორწინება, ფული და უფრო მეტი მოწყალება.....	58
შეცდომების საზღაური .....	69
წინამძღოლები, რომელთაც ღმერთი იყენებს .....	77
მსახურება, სიარული და ოცნება .....	83
თუ არ გინდათ, რომ დაშავდეთ, რაგბს ნუ ითამაშებთ .....	90

მომჩივნები, მოწუწუნებები, დამბლოკავეები და ნეგატიურად მოაზროვნეები . . . . .	94
განცხადება სოციალურ სატკივარზე და მოქმედება. . . . .	100
ტვირთი და ხედვა, რაც არასოდეს შეცვლილა . . . . .	107
სად მივდივართ აქედან? . . . . .	112
რეკომენდირებული ლიტერატურა. . . . .	121
ჯორჯ ვერვერის სხვა წიგნები . . . . .	125